

სს ლიბერთი ბანკი

პილარ 3-ის ანგარიში 2025

## სარჩევი

1	შესავალი .....	3
2	ძირითადი მონაცემები და ბიზნეს სტრატეგია .....	6
3	საკუთრებისა და ჯგუფის სტრუქტურა .....	14
4	კორპორაციული მართვა .....	16
5	ანაზღაურება.....	49
6	რისკის მართვა.....	53
7	კაპიტალის მართვა და კაპიტალის ადეკვატურობა .....	66
8	საკრედიტო რისკი.....	72
9	საბაზრო რისკი .....	86
10	საოპერაციო რისკი .....	88
11	ლიკვიდობის რისკი.....	95
	დანართი.....	98

## 1 შესავალი

### 1.1 ინფორმაციის გამჟღავნება პილარ 3-ის ფარგლებში ბაზელ 3 კაპიტალის ჩარჩოს შესაბამისად

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია სს ლიბერთი ბანკის („ბანკი“) პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის წარმოდგენა, რომელიც მოითხოვება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) # 92/04 ბრძანების „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებზე“ დაყრდნობით. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება პილარ 3-ის გამჟღავნების მოთხოვნებს, რომელიც შეიქმნა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტისა და ევროკავშირის # 575/2013 რეგულაციის საფუძველზე „პრუდენციული მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო კომპანიებისთვის“ (Capital Requirements Regulation - “CRR”).

### 1.2 დამოწმება

პილარ 3-ის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია შემოწმდა და დამტკიცდა სს ლიბერთი ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ. აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბანკის შიდა მართვის პროცედურების შესაბამისად. პილარ 3-ის ანგარიში სრულად შეესაბამება სებ-ის რეგულაციის No 92/04 „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები“, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის ივნისში და ასევე სებ-ის მიერ განსაზღვრულ სხვა რეგულაციებს. სებ-ის რეგულაციის მიხედვით, პილარ 3-ის ანგარიშში გამჟღავნებული ინფორმაცია არ საჭიროებს აუდიტორულ შემოწმებას დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის აუდირებული.

### 1.3 მომზადების საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ყველა რაოდენობრივი მაჩვენებელი აღრიცხულია დამოუკიდებლად სებ-ის მიერ დადგენილი ადგილობრივი სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. CRR-ის 432-ე მუხლი არამატერიალური, საკუთარი ან კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ, უფლებას აძლევს ინსტიტუტებს არ გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელიც ითვლება არამატერიალურად. სებ-ის რეგულაციის 3.3. მუხლი, „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების“ შესახებ ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, კერძოდ იმ ინფორმაციის არ გამჟღავნებას, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკზე. სხვაობები აღრიცხვისა და კონსოლიდაციის მარეგულირებელ სფეროებს შორის, იხილეთ დანართის მე-12 ცხრილში. კონსოლიდაციის რეგულირების მეთოდები იხილეთ დანართის მე-13 ცხრილში.

## 1.4 სიხშირე და მედია საშუალებები

სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად, ბანკი გააგრძელებს პილარ 3-ის ანგარიშის წარდგენას ყოველწლიურად, ხოლო კონკრეტული რაოდენობრივი ცხრილების წარდგენას ყოველკვარტალურად. წინამდებარე დოკუმენტის ასლი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ვებ-გვერდზე: (<https://libertybank.ge/ka/chven-shesakheb/investorebistvis/pinansuri-inpormatsia/regulatory-financial-reporting-to-the-national-bank-of-georgia>) და სებ-ის ვებ-გვერდზე: (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=673>).

## 1.5 პილარ 3-ის ინფორმაციის გამჟღავნება და ადგილმდებარეობა

ქვემოთ ცხრილში აღწერილია თუ როგორ ასრულებს ბანკი CRR-ს, ასევე სებ-ის რეგულაციის თითოეულ მუხლს.

*პილარ 3-ის ანგარიშში გასამჟღავნებელი მთავარი ინფორმაცია, რომელიც ასახულია CRR და სებ-ის რეგულაციაში*

CRR ნომ.	პილარ 3-ის გამჟღავნების საგანი	მუხლი სებ-ის რეგულაციაში	პოზიცია პილარ 3-ის ანგარიშში
431	გამჟღავნების მოთხოვნების სფერო	მუხლი 3.8	სექცია 1.1, 1.2
432	არამატერიალური, საკუთარი ან კონფიდენციალური ინფორმაცია	მუხლი 3.3	სექცია 1.3
433	გამჟღავნების სიხშირე	მუხლი 3.1; 3.5	სექცია 1.4
434	გამჟღავნების საშუალებები	მუხლი 3.4	სექცია 1.4
435	რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა	მუხლი 6.2	სექცია 6
436	გამოყენების სფერო	მუხლი 6.1; დანართი 2: ცხრილი 21	სექცია 1.3
437	საკუთარი სახსრები	დანართი 1: ცხრილი 9; 10	სექცია 7.2
438	კაპიტალის მოთხოვნები	დანართი 1: ცხრილი 5; 9.1; 11; 13	სექცია 7
439	კონტრაგენტის საკრედიტო რისკის პოზიცია	დანართი 1: ცხრილი 15	დანართი: ცხრილი 10
440	კაპიტალის ბუფერები	დანართი 1: ცხრილი 9.1	სექცია 7.1
441	გლობალური სისტემური მნიშვნელობის ინდიკატორები	N/A	N/A
442	საკრედიტო რისკის შესწორებები	მუხლი 6.3; დანართი 1: ცხრილი 16-19	სექცია 8.1, 8.2.5, 8.3 და 8.5
443	დაუტვირთავი აქტივები	N/A	N/A
444	ECAIs-ს გამოყენება	მუხლი 6.3	სექცია 8.2.6
445	საბაზრო რისკის პოზიცია	მუხლი 6.3 (გ)	სექცია 9
446	საოპერაციო რისკი	მუხლი 6.3 (გ) დანართი 2: ცხრილი 22; 23	სექცია 10
447	კაპიტალის რისკები, რომელიც არ გაითვალისწინება სავაჭრო პორტფელში	N/A	N/A
448	საპროცენტო განაკვეთის რისკი	N/A	სექცია 9.2
449	სეკურიტიზაციის რისკის პოზიციები	N/A	N/A
450	ანაზღაურების პოლიტიკა	მუხლი 7; დანართი 2: ცხრილი 24-27	სექცია 5
451	ლევერიჯი	N/A	სექცია 7.4
452	IRB მიდგომის გამოყენება საკრედიტო რისკებზე	N/A	N/A
453	საკრედიტო რისკების მიტიგაციის გამოყენება	მუხლი 6.3 დანართი 1: ცხრილი 12	სექცია 8.6
454	AMA-ის გამოყენება საოპერაციო რისკზე	N/A	N/A
455	შიდა საბაზრო რისკის გამოყენება	N/A	N/A

## 2 ძირითადი მონაცემები და ბიზნეს სტრატეგია

### 2.1 ძირითადი მონაცემები

სს ლიბერთი ბანკი („ბანკი“), რომლის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, სიდიდით საქართველოში მესამე უმსხვილესი ბანკია, მთლიანი აქტივებით – 6,053 მილიონი ლარი, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც 23.3%-ით აღემატება წინა წლის მონაცემს. ბანკი საქმიანობს მხოლოდ საქართველოში და აქვს ყველაზე დიდი საცალო ქსელი, რომელიც აერთიანებს 461 ფილიალსა და სერვის ცენტრს.

#### სს ლიბერთი ბანკის რეიტინგები

Fitch Ratings		რეიტინგი	პერსპექტივა	თარიღი
ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი	გრძელვადიანი	B+	სტაბილური	10-აპრილი-25
	მოკლევადიანი	B	-	
მხარდაჭერის რეიტინგი		WD	-	
მხარდაჭერის რეიტინგის დონე		WD	-	

Moody's		რეიტინგი	პერსპექტივა	თარიღი
საბანკო რეიტინგი (უცხოური)	გრძელვადიანი	Ba3	ნეგატიური	26-მარტი-25
კონტრაგენტის რისკის რეიტინგი (უცხოური)	გრძელვადიანი	Ba2	-	


Fitch-ის სტაბილური პერსპექტივა ლიბერთი ბანკზე 2025 წლის დეკემბერში განპირობებულია მისი შესაბამისი დამოუკიდებელი პროფილით. სტაბილური პერსპექტივები ასახავს რომ FITCH არ ელოდება ლიბერთი ბანკის რეიტინგის შემცირებას ბანკის დაბალი რეიტინგის გათვალისწინებით.

2022 წელს, Moody's-ის პერსპექტივა ლიბერთი ბანკისთვის შეიცვალა სტაბილურიდან ნეგატიურზე. აღნიშნული ცვლილება ასახავდა საქართველოს მთავრობის მიმართ ნეგატიურ შეხედულებას, რაც განპირობებული იყო გეოპოლიტიკური მოვლენებით და რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამატებითი ცვლილებები არ განხორციელებულა და შეფასება კვლავ ნეგატიური რჩება.


ბანკის წმინდა მოგებამ 2025 წელს შეადგინა 126 მილიონი ლარი, რაც ძირითადად გამოწვეულია სესხებიდან მიღებული საპროცენტი შემოსავლების ზრდით. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანმა სააქციო კაპიტალმა შეადგინა 733 მილიონი ლარი, რაც 22.4%-ით მეტია წინა წლის მონაცემთან შედარებით.

რისკის მიხედვით შეწონილმა რისკის პოზიციებმა (Risk Weighted Exposure - “RWE”) 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 4,273 მილიონი ლარი. 2024 წლის დეკემბერთან შედარებით საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები გაიზარდა 608 მილიონი ლარით, საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები - 92 მილიონი ლარით, ხოლო საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები გაიზარდა 0,381 მილიონი ლარით.


საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი




საზედამხედველო კაპიტალი მლნ ლარებში



RWE მილიონ ლარებში




RWE რისკის ტიპების მიხედვით მლნ ლარებში



2025 წელსაც ბანკი აგრძელებს ლიკვიდური აქტივების ეფექტურად გამოყენებას და ლიკვიდური სახსრებით სესხების დაფინანსებას. ლიკვიდობის პოზიცია საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი 134.31% შეადგინა.

**ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი**



**2.2 ბანკის ძირითადი ინდიკატორები და ფინანსური ანგარიშგება**

*ცხრილი 2.2.1 ძირითადი ინდიკატორები*

საზედამხედველო კაპიტალი (ლარი)	4Q-2025	3Q-2025	2Q-2025	1Q-2025	4Q-2024
ძირითადი პირველადი კაპიტალი	607,993,591	580,489,555	552,245,890	525,336,628	494,557,061
პირველადი კაპიტალი	623,376,491	587,477,568	557,970,332	530,968,494	499,122,445
საზედამხედველო კაპიტალი	742,614,719	699,486,527	672,934,382	636,735,177	597,044,234
რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	4,273,149,151	3,987,212,648	3,866,746,278	3,794,115,454	3,572,886,205

კაპიტალის კოეფიციენტები	4Q-2025	3Q-2025	2Q-2025	1Q-2025	4Q-2024
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	14.23%	14.56%	14.28%	13.85%	13.84%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	14.59%	14.73%	14.43%	13.99%	13.97%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	17.38%	17.54%	17.40%	16.78%	16.71%

მოგება	4Q-2025	3Q-2025	2Q-2025	1Q-2025	4Q-2024
მთლიანი საპროცენტო შემოსავლები/საშუალო წლიურ აქტივებთან	13.08%	13.07%	12.96%	12.76%	13.35%
მთლიანი საპროცენტო ხარჯები/საშუალო წლიურ აქტივებთან	6.24%	6.17%	6.09%	6.00%	6.18%
საოპერაციო შედეგი/საშუალო წლიურ აქტივებთან	3.13%	3.11%	2.88%	3.07%	3.37%
წმინდა საპროცენტო მარჟა	6.84%	6.90%	6.88%	6.76%	7.17%
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROAA)	2.28%	2.33%	2.33%	2.30%	2.28%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROAE)	18.85%	19.33%	19.45%	19.35%	18.91%

აქტივების ხარისხი	4Q-2025	3Q-2025	2Q-2025	1Q-2025	4Q-2024
უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	3.77%	3.48%	3.35%	3.48%	3.63%
სმდრ / მთლიან სესხებთან	3.26%	3.35%	3.33%	3.57%	3.87%
უცხოური ვალუტის სესხები / მთლიან სესხებთან	23.77%	22.11%	22.40%	23.23%	23.32%
უცხოური ვალუტის აქტივები / მთლიან აქტივებთან	25.15%	23.43%	22.93%	24.06%	25.01%
მთლიანი სესხების წლიური ზრდა	17.43%	11.79%	9.26%	5.76%	18.72%

ლიკვიდობა	4Q-2025	3Q-2025	2Q-2025	1Q-2025	4Q-2024
ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	21.22%	18.59%	16.42%	16.52%	17.96%
უცხოური ვალუტის ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	25.81%	26.22%	26.03%	27.11%	28.81%
მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	27.64%	31.19%	29.81%	28.64%	27.36%

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (საშუალო)	4Q-2025	3Q-2025	2Q-2025	1Q-2025	4Q-2024
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	1,034,057,568	1,090,337,239	803,044,835	752,020,604	632,679,811
ფულის წმინდა გადინება (სულ)	769,906,057	806,081,536	751,542,242	693,153,802	602,779,630
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	134.31%	135.26%	106.85%	108.49%	104.96%

**ცხრილი 2.2.2 საბალანსო უწყისი\***

<b>GEL</b>	<b>31/12/2025 IFRS</b>	<b>31/12/2024 IFRS</b>
<b>აქტივები</b>		
ნაღდი ფული	392,478,999	324,672,621
ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	132,857,600	116,848,311
ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	102,605,013	109,526,446
სავალდებულო წესით რეალური ღირებულებით შეფასებული არასავაჭრო ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით	-	-
სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები	382,662	330,648
სავალო ფასიანი ქაღალდები	875,279,271	502,086,305
გაცემული სესხები და მოთხოვნები	4,192,685,491	3,547,783,070
ინვესტიციები შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	-	-
ძირითადი საშუალებები	212,501,509	196,245,658
საინვესტიციო ქონება	2,445,723	2,044,719
სხვა არამატერიალური აქტივები	87,426,541	71,952,385
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	-	-
<b>სხვა აქტივები</b>	<b>54,382,328</b>	<b>40,198,676</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>6,053,045,136</b>	<b>4,911,688,839</b>
<b>ვალდებულებები</b>		
სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ვალდებულებები	286,724	449,376
საკუთარი შეხედულებისამებრ რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით	-	-
დეპოზიტები	4,156,563,414	3,232,523,432
ნასესხები სახსრები	908,683,736	841,414,327
<b>სხვა ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>41,453,361</b>	<b>39,919,883</b>
ანარიცხები	3,447,424	1,721,183
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	3,447,424	830,986
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	2,171,521	15,593,509
სუბორდინირებული ვალდებულებები	15,946,748	129,902,616
სხვა ვალდებულებები	157,798,401	50,193,453
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>5,319,488,631</b>	<b>4,312,548,765</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>		
სააქციო კაპიტალი	44,490,459	44,490,459
პრივილეგირებული აქციები	45,654	45,654
საემისიო კაპიტალი	41,370,267	41,370,267
(-) გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-
გადაფასების რეზერვი	31,125,125	21,463,473
რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახული სავალო ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებები	2,455,860	3,458,037
გაუნაწილებელი მოგება	614,079,137	488,312,184
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>	<b>733,556,503</b>	<b>599,140,074</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>6,053,045,134</b>	<b>4,911,688,839</b>

\*ინფორმაცია გარესბალანსო ელემენტების შესახებ იხილეთ დანართის 1-ელ ცხრილში.

**ცხრილი 2.2.3 მოგება-ზარალის უწყისი**

GEL	31/12/2025 IFRS	31/12/2024 IFRS
საპროცენტო შემოსავალი	722,742,350	607,674,469
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	699,904,654	590,859,458
რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	22,837,696	16,815,001
(საპროცენტო ხარჯები)	(344,770,514)	(281,309,736)
(ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები)	(344,770,514)	(281,309,736)
(სხვა ვალდებულებები)	-	-
საკომისიო შემოსავალი	63,969,924	59,419,120
(საკომისიო ხარჯი)	(34,342,447)	(29,994,971)
წმინდა შემოსულობა ან (-) ზარალი იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტით, რომელიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით	72,545	(107,662)
შემოსულობა ან (-) ზარალი სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებებიდან, წმინდა	214,665	17,211,464
შემოსულობა ან (-) ზარალი არასავაჭრო ფინანსური აქტივებიდან, რომელიც სავალდებულო წესით შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით, წმინდა	-	-
საკურსო სხვაობა [შემოსულობა ან (-) ზარალი], წმინდა	21,202,120	5,254,242
არაფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან მიღებული შემოსულობა ან (-) ზარალი, წმინდა	685,889	386,029
სხვა საოპერაციო შემოსავალი	15,901,396	16,586,895
(სხვა საოპერაციო ხარჯი)	(24,624,280)	(24,132,353)
(ადმინისტრაციული ხარჯები)	(202,462,928)	(180,402,750)
(შრომის ანაზღაურების ხარჯი)	(159,513,922)	(138,530,659)
(სხვა ადმინისტრაციული ხარჯი)	(42,949,007)	41,872,09
(ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები)	(37,956,696)	(37,321,084)
(ანარიცხები ან (-) ანარიცხების ანულირება)	(1,726,240)	(261,648)
(გაცემული გარანტიები და შესრულების პირობა)	(1,715,205)	(261,648)
(სხვა ანარიცხები)	(11,035)	-
(გაუფასურება ან (-) გაუფასურების ანულირება იმ ფინანსური აქტივების, რომლებიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით)	(34,239,472)	(31,455,795)
(რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით)	180,464	(29,647)
(ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები)	(34,419,936)	(31,426,148)
არაფინანსური აქტივების გაუფასურება ან (-) გაუფასურების ანულირება	(244,815)	(1,134,074)
<b>მოგება ან (-) ზარალი დაბეგვრამდე</b>	<b>144,421,495</b>	<b>120,412,147</b>
<b>(მოგების გადასახადის ხარჯი ან (-) შემოსავალი)</b>	<b>(18,419,669)</b>	<b>(16,424,572)</b>
<b>მოგება ან (-) ზარალი დაბეგვრის შემდეგ</b>	<b>126,001,826</b>	<b>103,987,575</b>

## 2.3 ბიზნეს სტრატეგია

2021-2022 წლებში შეიცვალა და დამტკიცდა ბანკის ახალი სტრატეგია უნივერსალური საბანკო მომსახურების მიმართულებით, რომელსაც აქტიურად მიყვება უკვე რამდენიმე წელია და შესაბამისად აისახა როგორც ბანკის პორტფელის დივერსიფიკაციის მიმართულებით, ასევე მომგებიანობასა და რისკ პროფილზე. ბანკის სტრატეგია უნივერსალურ საბანკო მომსახურებასთან ერთად მოიცავს პროდუქტებისა და პროცესების ციფრულ ტრანსფორმაციასთან მიახლოებას, რაც გააუმჯობესებს საქართველოს რეგიონებში ფინანსების ხელმისაწვდომობას ყველა სამომხმარებლო სეგმენტში.

ბანკი აერთიანებს ყველაზე დიდ საცალო ქსელს საქართველოში, რომელიც მოიცავს სრული მომსახურების ფილიალებს, სერვისცენტრებს, მცირე ზომის გაყიდვების ობიექტებს, აგრეთვე ისეთი ტიპის ობიექტებს, რომლებიც მესამე მხარის ბიზნესშია განთავსებული.

### 2022 წლიდან ბანკი ერთგულია ახალი ხედვისა და მისიის, კერძოდ:

- **ხედვა:** ჩვენი ხედვაა გავაუმჯობესოთ საქართველოში თითოეული ადამიანის, ოჯახისა და ბიზნესის ცხოვრება.
- **მისია:** ჩვენ მთელი გულით ვზრუნავთ ადამიანებზე, მათ ოჯახებსა და ბიზნესებზე. ჩვენ ვიქნებით ხელმისაწვდომი ყველგან, სადაც ჩვენი მომხმარებლები არიან და მივაწვდით მათზე მორგებულ და სწრაფ მომსახურებას.

### 2026 და შემდგომი წლის გეგმები:

- MSME სეგმენტში მოწინავე პოზიციის განმტკიცება;
- საცალო საბანკო პროდუქტების მიმართულებით პოზიციების გამყარება;
- კორპორატიული სეგმენტის ეტაპობრივი განვითარება - ზრდის სტრატეგია დაფუძნებული ბანკის რისკ აპეტიტზე და ბაზრის შესაძლებლობებზე.
- ბაზრის პოზიციის შენარჩუნება და ლარიზაციის მაღალი დონის შენარჩუნება:
  - საქართველოში მესამე უმსხვილესი ბანკის პოზიციის შენარჩუნება აქტივების მოცულობით.
  - ლარიზაციის მაღალი დონის შენარჩუნება როგორც აქტივებში, ისე ვალდებულებებში.

### უნივერსალური საბანკო მომსახურება

- ლიბერთი ბანკი შეინარჩუნებს უნივერსალურ საბანკო მოდელს ძირითადი აქცენტით საცალო და MSME სეგმენტებზე. კორპორატიული და კერძო საბანკო ბიზნესი დარჩება მტკიცე საყრდენი უნივერსალური ბანკის მშენებლობის თვალსაზრისით.
- ხარისხიან უნივერსალურ საბანკო მომსახურებასთან ერთად, ლიბერთი ბანკი ყურადღებას გაამახვილებს ინოვაციური პროდუქტების შემუშავებაზე, პროცესების გამარტივებაზე, ციფრული ტრანსფორმაციის ხარისხის ამაღლებასა და ახალი მომხმარებლების მოზიდვაზე, მათ შორის ისეთ კლიენტებზე, რომლებიც ჯერ არ სარგებლობენ საბანკო მომსახურებით.

### ციფრული საბანკო მომსახურება

- ბანკი აპირებს გააგრძელოს ციფრული საბანკო შესაძლებლობების გაუმჯობესება და შექმნას მომხმარებლის უმაღლესი დონის ციფრული გამოცდილება მობილური და ინტერნეტბანკის პლატფორმების საშუალებით.
- ბანკი ასევე მიზნად ისახავს ახალი მომხმარებლებისთვის პროცესების დაჩქარება/გამარტივებას.

- უფროსი თაობისა და სოციალურად დაუცველი სეგმენტისთვის ფართო ფინანსური განათლების შესაძლებლობების შეთავაზებებთან ერთად, ასევე შემუშავდება ინოვაციური პროდუქტები.

**დაფინანსება**

- ლიბერთი ბანკი მიზნად ისახავს გააუმჯობესოს და დაადივერსიფიციროს დაფინანსების სტრუქტურა. ამასთან დაკავშირებით, ბანკი აპირებს გააძლიეროს თანამშრომლობა და კომუნიკაცია საერთაშორისო განვითარების ფინანსურ ინსტიტუტებთან, რათა შეძლოს გრძელვადიანი დაფინანსების მოზიდვა კონკურენტულ ფასად.

**კორპორაციული და სოციალური პასუხისმგებლობა**

- ბანკი აქტიურად უწყობს ხელს გარემოსთვის სასარგებლო, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის CSR პროექტებს, რომლებიც მიმართულია უფროსი თაობის და საზოგადოების მოწყვლადი ნაწილის საჭიროებებზე, ასევე თანამშრომლების ჯანმრთელობაზე ზრუნვაზე.

**ცხრილი 2.3.1 ბანკის მთავარი სტრატეგიული მაჩვენებლები (ფასს-ის შესაბამისად)**

მომგებიანობა	31 Dec 2025	31 Dec 2024
უკუგება აქტივებზე, (გაწლიურებული), %	2.34%	2.29%
უკუგება კაპიტალზე, (გაწლიურებული), %	19.04%	18.71%
საპროცენტო მოგება/საშუალო საპროცენტო შემოსავლიანი აქტივები (გაწლიურებული), %	14.05%	14.64%
ფონდირების ხარჯი (გაწლიურებული),%	6.59%	6.62%

აქტივების ხარისხი	31 Dec 2025	31 Dec 2024
უმოქმედო სესხები/მთლიანი სესხები,%	3.78%	3.46%
რისკის ხარჯი	0.88%	0.94%

ათას ლარში	31 Dec 2025	31 Dec 2024
მთლიანი სესხები	4,275,972	3,687,911
კომერციული სესხები	1,481,065	1,119,052

### 3 საკუთრებისა და ჯგუფის სტრუქტურა

#### 3.1 საკუთრების სტრუქტურა

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვემოთ მითითებული აქციონერები ფლობდნენ განთავსებული ჩვეულებრივი აქციების 1%-ზე მეტს. სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ განთავსებული ჩვეულებრივი აქციების 1%-ზე ნაკლებს.

**საკუთრების სტრუქტურა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

აქციონერი	31 Dec 24	
	საკუთრების წილი, %	ხმის მიცემის უფლებები, %
სს „გალტ ენდ თაგარტ“ (ნომინალური მფლობელი)	96.09%	99.22%
სხვა აქციონერები (1%-ზე ნაკლები წილის მფლობელები)	3.91%	0.78%
<b>სულ</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

**საკუთრების სტრუქტურა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

აქციონერი	31 Dec 25	
	საკუთრების წილი, %	ხმის მიცემის უფლებები, %
სს „გალტ ენდ თაგარტ“ (ნომინალური მფლობელი)	97.07%	99.09%
სხვა აქციონერები (1%-ზე ნაკლები წილის მფლობელები)	2.93%	0.81%
<b>სულ</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

ბანკი არის ღია სააქციო საზოგადოება და მისი ჩვეულებრივი აქციებით ვაჭრობა შესაძლებელია საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

2017 წლის 13 ოქტომბერს Georgian Financial Group B.V. (“GFG”), ნიდერლანდების სამეფოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულმა და ორგანიზებულმა კომპანიამ, შეისყიდა ბანკის აქციების 74.64%-იანი წილი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით GFG-ის აქციების წილი შეადგენდა 75.66%-ს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაიზარდა 91.99%-მდე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, GFG-ის წილი მთლიან განაღდებულ აქციებში შეადგენდა 95.99%. 2025 წლის 31 დეკემბრისთვის GFG კუთვნილი აქციების რაოდენობა უცვლელი დარჩა. აღნიშნულ აქციებს GFG ფლობს ნომინალური მფლობელის, სს „გალტ & თაგარტის“ საშუალებით. შესაბამისად, ზემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნული „გალტ & თაგარტის“ ნომინალურ მფლობელობაში არსებული განაღდებული აქციების 97.07%-იანი წილიდან, 95.99% წარმოადგენს GFG კუთვნილ აქციებს, ხოლო ხმის უფლების მქონე 99.09%-იანი წილიდან, 97.99% წარმოადგენს GFG-ს კუთვნილ აქციებს.

2023 წელს ბანკმა გააუქმა მის საკუთრებაში არსებული მისივე სახაზინო აქციები (საკუთარი აქციები) და თანამშრომელთა აქციებით ანაზღაურების გეგმის (ESOP) ფარგლებში გამოშვებული, მაგრამ გაუნაღდებელი აქციები. 2023 წელს ბანკის აქციონერთა საერთო კრებამ შეამცირა ბანკის ნებადართული კაპიტალი, ხოლო ნებადართული კაპიტალის ფარგლებში დამატებით გამოუშვა

40,636,780 ჩვეულებრივი აქცია, რომელსაც ბანკი გამოიყენებს მხოლოდ „პრივილეგირებული აქციების“ ჩვეულებრივ აქციებად კონვერტაციის მიზნით, განადგებული „პრივილეგირებული აქციების“ მფლობელთა მიერ შესაბამისი კონვერტაციის მოთხოვნის შემთხვევაში.

2025 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრეები, რომლებიც ფლობდნენ ბანკის განადგებული ჩვეულებრივი აქციების 5%-ზე მეტს, იყვნენ:

ბენეფიციარი მფლობელები	
ირაკლი ოთარ რუხაძე	30.66%
ბენჟამინ ალბერტ მარსონ-ნაითი	30.66%
იგორ ალექსევი	30.66%

### 3.2 ჯგუფის სტრუქტურა

ბანკი არის ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებული საწარმოების მშობელი კომპანია, რომლებიც კონსოლიდირებულია აუდიტის მიერ შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებებში (ფასს-ის შესაბამისად). საზედამხედველო და სხვა მნიშვნელოვანი მიზნებისთვის, აღნიშნული კომპანიები არ არის კონსოლიდირებული და ბანკს მოეთხოვება შეასრულოს ყველა საზედამხედველო მოთხოვნა დამოუკიდებლად.

#### ბანკის საკუთრების წილი

სახელი	რეგისტრაციის ქვეყანა	31 დეკემბერი 25	31 დეკემბერი 24	რეგისტრაციის თარიღი	საქმიანობები
შპს Bus Stop	საქართველო	100%	100%	27-აგვისტო-09	გარე რეკლამირება
სახალხო ფონდი	საქართველო	100%	100%	5-თებერვალი-07	საქველმოქმედო საქმიანობა

## 4 კორპორაციული მართვა


### 4.1 კორპორაციული მართვის სტრუქტურა

კორპორაციული მართვის ჩარჩო მიმოიხილავს ბანკის კორპორაციული მართვის სტრუქტურას, პრინციპებს, პოლიტიკასა და პრაქტიკებს, რომლებიც ბანკს საშუალებას აძლევს დააკმაყოფილოს ბანკის აქციონერების, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს საფონდო ბირჟის მოლოდინები.

აქციონერთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად ბანკის კორპორაციული მართვის სისტემა ექვემდებარება მიმდინარე მიმოხილვას, შეფასებასა და გაუმჯობესებას. სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად წერგავს მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკებს, რომლებიც განკუთვნილია იმისთვის, რომ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ინტერესები შეუსაბამოს აქციონერთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებს და ხელი შეუწყოს ორგანიზაციის ყველა დონეზე ეთიკური ქცევისა და რისკის მართვის უმაღლეს სტანდარტებს.

ბანკის ჩვეულებრივი აქციებით ვაჭრობა შესაძლებელია საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

ბანკის კორპორაციული მართვის ჩარჩო სრულად შეესაბამება ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს. სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოების მიერ გამოყენებული დადგენილი პოლიტიკა და პროცედურები აღწერილია პილარ 3-ის ანგარიშის სხვა სექციებში. სამეთვალყურეო საბჭოს, მისი კომიტეტების, მენეჯმენტის, აქციონერების და სხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის ფუნდამენტური ურთიერთობები ეფუძნება ბანკის მმართველობის სტრუქტურას, რომელიც ქვემოთაა წარმოდგენილი. მათი საშუალებით დგინდება ბანკის მმართველობის ეთიკური ღირებულებები, სტრატეგიული და კორპორაციული მიზნები და განისაზღვრება ამ მიზნების მიღწევისა და მონიტორინგის ჩატარების გეგმები. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ბანკის საერთო ორგანიზაციული სტრუქტურა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:



## 4.2 აქციონერთა წლიური საერთო კრება

აქციონერთა წლიური საერთო კრება (Annual General Meeting - “AGM”) არის ბანკის აქციონერების სავალდებულო ყოველწლიური შეკრება. აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორატი წარმოადგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას აქციონერებისთვის კომპანიის საქმიანობის შედეგების და სტრატეგიის შესახებ. ხმის უფლების მქონე აქციონერები გადაწყვეტილებას იღებენ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სამეთვალყურეო საბჭოში წევრების არჩევა, მათი ანაზღაურების განსაზღვრა, დივიდენდის გადახდა, გარე აუდიტორის შერჩევა და მოქმედი კანონმდებლობით ან/და ბანკის წესდებით განსაზღვრული სხვა საკითხები.

### 4.2.1 წლიური საერთო კრების მოწვევა

„მეწარმეთა შესახებ“ კანონისა და ბანკის წესდების შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს კრების ჩატარების დროს, ადგილს, დღის წესრიგსა და კანონით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას, ქვეყნდება მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე საერთო კრების ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 21 (ოცდაერთი) დღით ადრე. საერთო კრებაზე განხილულ საკითხებზე კენჭისყრის შედეგები ასევე ქვეყნდება ბანკის ვებგვერდზე.

ბანკის წესდების შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრება მოწვეული უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის მიერ ყოველწლიურად, ბანკის საბუღალტრო დოკუმენტაციის წლიური გარე აუდიტის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვისა და, ნებისმიერ შემთხვევაში, წინა ფისკალური წლის დასრულებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში. ის საკითხები, რომლებიც არ იქნა განხილული წლიური საერთო კრების მიერ და შედის წლიური საერთო კრების პასუხისმგებლობის ფარგლებში, განიხილება და გადაწყდება რიგგარეშე საერთო კრებებზე (Extraordinary General Meetings).

- “EGM”). რიგგარეშე საერთო კრებების რაოდენობა წლის განმავლობაში არ არის შეზღუდული და შესაძლოა შეიცვალოს წლიდან წლამდე. EGM შესაძლებელია დროდადრო მოწვეულ იქნას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის მიერ ან ბანკის განაღდებული აქციების სულ მცირე 5%-ის (ხუთი პროცენტი) მფლობელი აქციონერის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. აქციონერებს, რომლებიც არ ესწრებიან წლიურ საერთო კრებას, უფლება აქვთ გასცენ მინდობილობა მესამე პირზე, რომელიც მათ ნაცვლად შეძლებს ხმის მიცემას.

აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან მისი არყოფნის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი როგორც ამას განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არყოფნის შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი ან მისი შემცვლელი. გენერალური დირექტორის ან მისი შემცვლელის არყოფნისას აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს ბანკის ერთ-ერთი დირექტორი, როგორც ამას განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. ბანკის დირექტორების არყოფნის შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს პირი, რომელსაც აირჩევს დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა უბრალო უმრავლესობა.

AGM-ის ან/და EGM-ის სააღრიცხვო თარიღისთვის რეგისტრირებულ ყველა აქციონერს უფლება აქვს დაესწროს კრებას და მონაწილეობა მიიღოს ხმის მიცემაში (საჭიროების შემთხვევაში). აქციონერი უფლებამოსილია აქციონერთა საერთო კრებაზე თავისი ხმის უფლება გამოიყენოს წარმომადგენლის მეშვეობით სათანადოდ მომზადებული და ნოტარიულად დამოწმებული ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და აქტებით გათვალისწინებული სხვა ფორმით შედგენილი მინდობილობის საფუძველზე. ნომინალური მფლობელების მიერ აქციონერების წარმომადგენლობა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ბროკერებსა და დილერებს) რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და აქტებით. აქციონერთა წარმომადგენლობა საერთო კრებაზე შესაძლოა ასევე განხორციელდეს ნებისმიერი სხვა სახით, რაც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

#### 4.2.2 წლიური საერთო კრების ფუნქციები

საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის წესდების თანახმად, წლიურ საერთო კრებაზე აქციონერებს შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება შემდეგ საკითხებზე:

კორპორაციული მართვა

- წესდების მიღება, დამტკიცება და ცვლილება.
- ბანკის კონსოლიდაცია, გაერთიანება, დაშლა, ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და/ან ტრანსფორმაცია.
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გათავისუფლება.
- ბანკის ნებადართული და განთავსებული კაპიტალის გაზრდა ან შემცირება.
- ბანკის მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვა

დამტკიცების უფლებამოსილებები

- სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს ანგარიშების დამტკიცება ან უარყოფა.
- წლიური ანგარიშის და ანგარიშგებების დამტკიცება.
- დამოუკიდებელი აუდიტორების შერჩევა, დანიშვნა და გათავისუფლება.
- სამეთვალყურეო საბჭოს და/ან დირექტორთა საბჭოს წინადადების დამტკიცება მოგების განაწილების შესახებ ან მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანოები არ წარმოადგენენ საერთო წინადადებას.

კონტროლის უფლებები

- გადაწყვეტილებების მიღება ბანკის მიერ ქონების, უფლების, აქტივის შეძენასთან, გასხვისებასთან, გადაცემასთან, გაცვლასთან (ან დაკავშირებულ გარიგებებთან) ან უფლებრივად დატვირთვისთან დაკავშირებით, რომლის ღირებულება აღემატება ბანკის საკუთარი კაპიტალის 20%-ს.

4.2.3 2025 წელს ჩატარებული აქციონერთა კრება და მიღებული გადაწყვეტილებები

2025 წლის 05 ივნისს დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე მოწვეულ იქნა აქციონერთა ყოველწლიური საერთო კრება. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება და საერთო კრების დღის წესრიგი „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნდა მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ბანკის ავტორიზებულ ვებ-გვერდზე. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, მათ შორის:

05 ივნისი, 2025

- ბანკის 2024 წლის აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;
- ბანკის მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის გაცემა;
- ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება;

4.2.4 კომუნიკაცია და მედია განცხადებები

წლიური საერთო კრების და რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების დრო, ადგილი და დღის წესრიგი ქვეყნდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიანი ელექტრონული პორტალის ბანკის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე კრების ჩატარების თარიღამდე არანაკლებ 21 (ოცდაერთი) დღით ადრე. კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, საერთო კრებაზე განხილულ საკითხებზე კენჭისყრის შედეგები ასევე ქვეყნდება ბანკის ვებგვერდზე.

4.3 სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობებია:

- ბანკში კორპორაციული მმართველობის უმაღლესი სტანდარტების ხელშეწყობა;
- აქციონერთა ინტერესების შესაბამისად ბანკის განვითარების ხელშეწყობა, მდგრადი ღირებულებების შექმნა და უზრუნველყოფა;

- მმართველობითი ორგანოების მიერ ბანკის გრძელვადიანი ზრდის ხელშეწყობა და შიდა კონტროლის ეფექტური სისტემის შენარჩუნება;
- ბანკის წლიური ბიუჯეტისა და განვითარების სტრატეგიის დამტკიცება.

### 4.3.1 სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

წესდების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 21 (ოცდაერთი) წევრით. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 ივნისიდან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა ახორციელებდეს აღმასრულებელ ფუნქციებს.

სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა 4 (ოთხი) წლის ვადით, მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. თუ წევრის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება მომდევნო საერთო კრების ჩატარების თარიღამდე, მისი უფლებამოსილება გაგრძელებულად მიიჩნევა მომდევნო საერთო კრების ჩატარებამდე;

სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარე (ან მისი არყოფნის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და განსაზღვრავს სხდომის დღის წესრიგს. ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დღის წესრიგში დაამატოს საკითხი ან მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება.

სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი სხდომის ჩატარება დასაშვებია სატელეფონო, ვიდეო კონფერენციის ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით, მათ შორის მისაღები გადაწყვეტილების ელექტრონული ფოსტით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის გაგზავნით და მათგან ამავე ფორმით დასტურის მიღებით.

„კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ („კოდექსი“) შესაბამისად, კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ 2 (ორი) წევრისა, უნდა წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ წევრებს. ბანკი სრულად იაზრებს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრებით დაკომპლექტების მნიშვნელობას და აღნიშნულის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს 5 წევრიდან 4 არის დამოუკიდებელი. ამასთან, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის დამოუკიდებლობა დასტურდება (ბანკის მიერ) მის დანიშვნამდე, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული დამოუკიდებლობის შესახებ კითხვარითა და ეროვნული ბანკისთვის წარსადგენი შესაბამისობის ანალიზით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებული იყო შემდეგნაირად:

31-დეკემბერი-25	სამეთვალყურეო საბჭოს წევრები
თავმჯდომარე (საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)	მურთაზ კიკორია
საბჭოს წევრი	ირაკლი ოთარ რუხაძე
საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	ბრუნო ხუან ბალვანერა
საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	მაგდა მალრაძე
თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი	მამუკა წერეთელი

### 4.3.2 სამეთვალყურეო საბჭოს განათლება და გამოცდილება



**უნარები და გამოცდილება:**

ირაკლი ოთარ რუხაძე სს "ლიბერთი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ 2017 წლის ოქტომბერში იქნა არჩეული და იგი აღნიშნულ პოზიციას 2021 წლამდე იკავებდა. 2011 წლიდან იგი გახლდათ შპს Hunnewell Partners (UK) LLP-ის პარტნიორი ლონდონში. ირაკლი წარმოადგენდა Salford Capital Partners-ის LP Salford Georgia-ს აღმასრულებელ დირექტორსა და პარტნიორს თბილისში. აღმასრულებელი დირექტორის რანგში ირაკლი რუხაძე ხელმძღვანელობდა Salford-ის ქართულ ოპერაციებს და, ამავე დროს, პასუხისმგებელი იყო სპეციფიურ მიმართულებებზე

(ტელეკომუნიკაცია, უძრავი ქონება) ქვეყნის საზღვრებს გარეთ. მან წარმატებით განახორციელა ბევრი ცნობილი ბიზნეს გარიგება საქართველოში. მისი ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით, საქართველოს ეკონომიკამ დაახლოებით \$ 150 მილიონის ინვესტიცია მოიზიდა. 2001-2003 წლებში ირაკლი გახლდათ შპს Argo Ventures-ის დამფუძნებელი და პარტნიორი ბოსტონში, მასაჩუსეტში. კომპანია ორიენტირებულია კერძო კომპანიებისათვის კონსულტაციების გაწევაზე – არაუზრუნველყოფილი კაპიტალის საკითხებზე კონსულტაციების ჩათვლით. კლიენტებს შორის იყო Global Realty Outsourcing - აშშ-ს უძრავი ქონების ანალიზის სფეროში წარმატებული კომპანია, რომლის ინვესტორთა სიაში ამჟამად ირიცხებიან Citigroup და First Union Securities. გარდა აღნიშნულისა, ირაკლი წარმოადგენდა შპს Caucasus Advisors LLC-ის დამფუძნებელსა და აღმასრულებელ დირექტორს ბოსტონში, მასაჩუსეტში, და მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში შედიოდა მრავალმილიონიანი საინვესტიციო ფონდის მართვა კავკასიის რეგიონში არსებულ კომპანიებში ინვესტირების მიზნით. ირაკლი ასევე იკავებდა ჩართულობის მენეჯერის პოზიციას McKinsey & Company Inc.-ში ბოსტონში, მასაჩუსეტსში და დიუსელდორფში, გერმანიაში, სადაც იგი უძღვებოდა კონსულტაციებს და ჩართული იყო პრობლემების მოგვარების კუთხით კლიენტის კომპანიის საქმიანობის გასაუმჯობესებლად. 2021 წლის 30 დეკემბრიდან კორპორაციული მართვის საუკეთესო პრინციპების შესაბამისად, ირაკლი რუხაძემ დატოვა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიცია და განაგრძობს საქმიანობას სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მანდატით, ხოლო საბჭოს ხელმძღვანელად არჩეულ იქნა დამოუკიდებელი წევრი, მურთაზ კიკორია.

**განათლება:**

ირაკლი ოთარ რუხაძემ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხით დაამთავრა Tuck School of Business at Dartmouth College; იგი ასევე გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მათემატიკისა და ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხით.

### მურთაზ კიკორია



#### უნარები და გამოცდილება:

მურთაზ კიკორია სს "ლიბერთი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2019 წლის ივნისში იქნა არჩეული. 2019 წლის ივლისში იგი აირჩიეს სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო 2021 წლიდან იგი წარმატებით იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას. მურთაზს საბანკო და საფინანსო სექტორთან დიდი გამოცდილება აკავშირებს. იგი იკავებდა გენერალური დირექტორის პოზიციებს სექტორის წამყვან კომპანიებში/ჯგუფებში, კერძოდ, 2015-2016 წლებში სს „საქართველოს ბანკში“ და 2012-2014 წლებში - „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფში“. მას ასევე აქვს მრავალწლიანი გამოცდილება სს

„საქართველოს ბანკში“ ფინანსური დირექტორისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში (EBRD) უფროსი ბანკირის თანამდებობაზე. შესაბამისად, მისი ცოდნა და გამოცდილება ფინანსებში, კაპიტალის ბაზრებსა და ზოგადად ბაზარზე მეტად მნიშვნელოვანი და ღირებულია ბანკისთვის. მურთაზის გამორჩეული გამოცდილება საბანკო და საფინანსო სფეროში კიდევ უფრო გაღრმავებულია მისი მართვის, კონტროლისა და ზედამხედველობითი უნარებით, რომლებიც მან შეიძინა 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ეროვნულ ბანკში საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების განყოფილების უფროსად მუშაობისას. რის შემდეგაც, 2016-2018 წლებში წარმატებით განაგრძო მუშაობა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის პოზიციაზე. 2021 წლის 30 დეკემბრიდან მურთაზ კიკორიამ დაიკავა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა.

#### განათლება:

მურთაზმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (ფინანსები და კრედიტები). მისი აკადემიური ცოდნა ასევე მდიდარია მრავალი მნიშვნელოვანი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციით, ტრენინგებითა და სემინარებით საბანკო ოპერაციების შესახებ, ფინანსური ბაზრების, დაფინანსების, მოლაპარაკებებისა და ხელმძღვანელობის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ და სხვა საბანკო სექტორთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი საკითხებით.

### მაგდა მალრაძე



#### უნარები და გამოცდილება:

მაგდა მალრაძე სს "ლიბერთი ბანკს" 2019 წლის აგვისტოში შემოუერთდა. 2019 წლის ოქტომბერში იგი არჩეულ იქნა ანაზღაურების კომიტეტის, ხოლო 2022 წლის სექტემბრიდან აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ. მაგდა სამეთვალყურეო საბჭოს ერთადერთი ქალი წევრია. მას განსაკუთრებული გამოცდილება აქვს პროექტის მენეჯმენტში, სტრატეგიულ დაგეგმვაში, ფინანსებში, მონიტორინგში, კონტროლსა და ანგარიშგებაში. იგი ამჟამად ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას იკავებს. მისი ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით კომპანიამ

წარმატებით განახორციელა რამდენიმე პროექტი. ამჟამად აღნიშნული ორგანიზაცია ახორციელებს გრძელვადიან პროექტს, რომელიც ათობით მილიონ აშშ დოლარს მოიაზრებს. პროექტის მთავარი მიზანი საქართველოში ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების შემუშავებაა, ასევე მოიაზრება საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, აღჭურვა და აკადემიური პერსონალის პროფესიული

განვითარების მენეჯმენტი. 2008-2013 წლებში მაგდა მუშაობდა ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს უმაღლესი განათლების მიმართულების აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერის პოზიციაზე. პროგრამა ძირითადად ორიენტირებული იყო განათლების განვითარებაზე სამხრეთ კავკასიაში, ადგილობრივი, რეგიონალური და გლობალური აკადემიური ქსელის შექმნით. მისი მცდელობისა და დაუღალავი ძალისხმევის შედეგად, საქართველოში განხორციელდა მრავალი გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა. გამოკვეთილი უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების წყალობით, მაგდა სამეთვალყურეო საბჭოს სძენს მრავალფეროვნებას, დამოუკიდებლობას, პროფესიონალიზმისა და კონტროლის მაღალ დონეს. სამეთვალყურეო საბჭო და ზოგადად ბანკი დაბალანსებულია ბიზნეს ოპერაციების შესრულებისა და რისკების მართვის თვალსაზრისით.

**განათლება:**

მაგდამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის წოდება. იგი ასევე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ურთიერთობების კურსდამთავრებული ეკონომისტის წოდებით.

**მამუკა წერეთელი**



**უნარები და გამოცდილება:**

დოქტორი მამუკა წერეთელი აირჩიეს ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2018 წლის დეკემბერში. 2019 წლის იანვარში იგი დაინიშნა აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საბჭოს უფროს დამოუკიდებელ წევრად, ხოლო 2022 წლის სექტემბერში- ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტის თავმჯდომარედ. დოქტორი წერეთელი არის America-Georgia Business საბჭოს პრეზიდენტი, Georgian House of Greater Washington, LLC-ის დამფუძნებელი და დირექტორი და American Foreign Policy Council-ში Central Asia-Caucasus Institute-ის უფროსი

მკვლევარი. ის ასევე American University’s School of International Service-ის ფაკულტეტის წევრია (Washington, DC & John Hopkins SAIS).

2013 წლის 11 მაისამდე მამუკას ამერიკის უნივერსიტეტის School of International Service (SIS)-ის Center for Black Sea-Caspian Studies-ის დირექტორის თანამდებობა ეკავა. მანამდე ის ასისტენტ პროფესორად მუშაობდა (2007-2011) და ამერიკული უნივერსიტეტის დამხმარე ფაკულტეტის წევრი იყო (2002-2007). 2006-2007 წლებში მამუკა George Washington University-ში Elliott School of International Affairs-ის დეკანატის წევრი იყო, სადაც ასწავლიდა ენერჯო და სამოქალაქო უსაფრთხოებას.

12 წლის განმავლობაში მამუკა America-Georgia Business Council (AGBC)-ის აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა. ამჟამად ის ორგანიზაციის პრეზიდენტია. საბჭო არის საქართველოში აშშ-ის ბიზნეს ინტერესების ხელშეწყობის და აშშ-საქართველოს სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი ინსტრუმენტი. მამუკას სახელს უკავშირდება AGBC-ს მიერ ორგანიზებული 20-ზე მეტი ყოველწლიური კონფერენცია, რომელიც ქართულ-ამერიკულ ეკონომიკურ პარტნიორობას მიძღვნილი საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ყველაზე პოპულარული ფორუმების სერია გახდა. ყოველწლიური კონფერენციების გარდა, მამუკა უძღვებოდა და ორგანიზებას უწევდა საქართველოში პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებულ სტრატეგიულ დაგეგმვის მრავალ სესიას. ამ სესიებს სხვადასხვა დროს ესწრებოდნენ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (IMF, World Bank, IFC, EBRD) წარმომადგენლები, აშშ-ს

ექსპორტიორი სააგენტოები (Ex-Im Bank, OPIC, TDA), დონორი სააგენტოები (USAID, MCC), აშშ-ის და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, რეგიონის კერძო კომპანიები და ექსპერტები. 2007-2008 წლებში მამუკა წერეთელი ხელმძღვანელობდა ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს საქართველოსთვის ტურიზმის სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის პროექტს, რომელიც დაფინანსებული იყო US Trade and Development Agency-ის მიერ.

**განათლება:**

დოქტორმა წერეთელმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და აქვს ეკონომიკური გეოგრაფიის მაგისტრის წოდება. მას აგრეთვე აქვს University of Maryland College მეცნიერებების მაგისტრის წოდება და რუსეთის ეკონომიკისა და პროგნოზის ინსტიტუტის მეცნიერების აკადემიის დოქტორის წოდება.

**ბრუნო ხუან ბალვანერა**



**უნარები და გამოცდილება:**

ბრუნო ხუან ბალვანერა სს „ლიბერთი ბანკს“ 2022 წლის აგვისტოში სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის სტატუსით შემოუერთდა, ხოლო 2022 წლის სექტემბრიდან წარმატებით იკავებს რისკების კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციას. ბრუნო ბალვანერას აქვს 35 წელზე მეტი გამოცდილება საბანკო/საინვესტიციო სფეროში, მათ შორის 23 წელი სხვადასხვა პოზიციებზე EBRD-ში, როგორც სათავო ოფისში (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი), ასევე რეგიონალურ ოფისებში (სანქტ-პეტერბურგი, მოსკოვი, თბილისი და ნურსულთანი). 2013-2018 წლებში ბრუნო ბალვანერა იყო რეგიონალური დირექტორი კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში,

რომელიც იმართებოდა თბილისიდან, შემდეგ კი ცენტრალური აზიის რეგიონის მმართველი დირექტორი 2020 წლამდე, სადაც ზედამხედველობას უწევდა საინვესტიციო საქმიანობას 6 ქვეყნის მასშტაბით.

ბრუნო ბალვანერას გამოცდილება მოიცავს კერძო სექტორში ინვესტიციებს მდგრადი განვითარების მიმართულებით და ასევე, წარმატებულ ექსპერტულ ცოდნას ინვესტიციების, რისკების, შესაბამისობის, სამართლებრივი, სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების, ინკლუზიურობის და განახლებადი ენერჯის მიმართულებით.

ბრუნო ბალვანერას ეკავა რამდენიმე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობა, მათ შორის 2020 წლის ბოლოს არჩეული იყო არა-ადმასრულებელ დირექტორად Asaka Bank-ში (უზბეკეთი), ხოლო 2022 წლის აგვისტოში აირჩიეს Qishloq Qurilish Bank-ში (QQB) (უზბეკეთი) სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად და ნომინაციისა და ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარედ. ის ამჟამად აგრეთვე არის კერძო ინვესტორი ფინტექ მიმართულებით, ჩართულია საერთაშორისო ბიზნესსა და აკადემიურ სწავლებაში და ასევე, არის სტრატეგიის კონსულტანტი.

**განათლება:**

ბრუნო ბალვანერა ფლობს University of Chicago Booth (USA)-ის სტრატეგიის, აგრეთვე ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს. მან აგრეთვე დაამთავრა მექსიკის ITAM-ის უნივერსიტეტი ფინანსების, ხოლო Universidad Iberoamericana პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით.

### 4.3.3 სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვნება და დამოუკიდებლობა

სამეთვალყურეო საბჭო მიიჩნევს, რომ უნარების, პროფესიული კარიერის, ცოდნისა და გამოცდილების მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია ბიზნესის ეფექტურად წარმართვისთვის. სამეთვალყურეო საბჭო მისი ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტით მუშაობს, რათა უზრუნველყოს უნარების, გამოცდილების, დამოუკიდებლობისა და საბანკო ცოდნის სათანადო დაბალანსება დაკისრებული პასუხისმგებლობების შესასრულებლად.

სამეთვალყურეო საბჭო შესაბამისობაშია კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსთან საბჭოში დამოუკიდებელი წევრების რაოდენობით. ამასთან, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები დაკომპლექტებულია მხოლოდ დამოუკიდებელი წევრებისგან. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს უკავია და/ან მანამდე ეკავა მაღალი თანამდებობა სხვადასხვა დაკავშირებულ სფეროში, რის შედეგადაც მათ თავისი გამოცდილებით და ხედვით ღირებული კონცეფციები შეაქვთ სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობაში და მნიშვნელოვანი წვლილი - გადაწყვეტილების მიღების პროცესში. არც ერთ ფიზიკურ პირს ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობა დანიშნამდე ფასდება კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსისა და კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, ბანკმა დაამტკიცა ადმინისტრატორთა დანიშვნის, შესაფერისობისა და მრავალფეროვნების განახლებული პოლიტიკა, რომელშიც კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრა ადმინისტრატორის პოზიციების ჩამონათვალი, დეტალურად დადგინდა მათი შერჩევის პრინციპები, კრიტერიუმები და მოთხოვნები პირის განათლებასთან, გამოცდილებასთან, პიროვნულ/პროფესიულ თვისებებსა და უნარ-ჩვევებთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

### 4.3.4 სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები

იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამეთვალყურეო საბჭო ჩართული იქნება ეფექტური კონტროლის განხორციელების პროცესში, კონკრეტული გადაწყვეტილებები საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებას. ქვემოთ განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციის საკითხები:

სტრატეგია და მართვა

- ზედამხედველობა ბანკის საერთო მართვაზე;
- ბანკის კომერციული და საინვესტიციო სტრატეგიების, წლიური ბიუჯეტების დამტკიცება და მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;
- ბანკის საქმიანობის კონტროლი;

ფინანსური ანგარიშგება და კონტროლი

- ბანკის ოპერირების მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველყოფა;
- ხმის მიცემის უფლებების გამოყენება ბანკის ნებისმიერ მსხვილ შვილობილ კომპანიაში;
- ფინანსური და საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტაციის და აქტივების შემოწმება;

რისკების მართვის ჩარჩო და რისკის დასაშვები დონე

- ბანკის ყველა მნიშვნელოვანი რისკის დადგენა და კონტროლი;
- რისკის მართვის სტრატეგიისა და რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა და დამტკიცება;
- კონკრეტული ზომების განსაზღვრა იმ შემთხვევაში, თუ ბანკის რისკის პროფილი გადაჭარბებს მისაღები რისკის დონეს;

შიდა კონტროლის მექანიზმები

- სამეთვალყურეო საბჭოს რეგულაციების ან მსგავსი წესების მიღება, შეწყვეტა ან შეცვლა სამეთვალყურეო საბჭოს შიდა ორგანიზაციასთან დაკავშირებით;
- სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტ(ებ)ის შექმნა;
- კომიტეტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, კონკრეტული ზომების მიღება;
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების მარეგულირებელი სამოქმედო პოლიტიკების დამტკიცება.

კონტრაქტები

- მნიშვნელოვანი სესხების დამტკიცება, თუ ჯამური რისკის პოზიცია აღემატება ბანკის საკუთარი კაპიტალის 5%-ს;
- ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების შესაბამისად;
- ნებისმიერი აქტივის შექმნა/გასხვისება, ან სხვა სახის ხელშეკრულების გაფორმება რომლის ღირებულება აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს;
- იურიდიულ პირთან ან კომპანიასთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გაფორმება ან შეწყვეტა, თუ იგი წარმოშობს წელიწადში 1,000,000 აშშ დოლარის ოდენობის ვალდებულებას ან ამავე ოდენობის თანხის მიღების უფლებას;

დანიშნულება და ანაზღაურება

- ცვლილებები დირექტორთა საბჭოს სტრუქტურაში, ზომასა და შემადგენლობაში;
- დირექტორთა საბჭოს წევრების, აუდიტის და სამეთვალყურეო საბჭოს სხვა კომიტეტების წევრების არჩევა და გათავისუფლება;
- დირექტორთა საბჭოს წევრთა ანაზღაურების განსაზღვრა;
- ბანკის აქტივების დამოუკიდებელი რეგისტრატორის შერჩევა, დანიშვნა და გათავისუფლება;

კორპორაციული მართვა

- დირექტორთა საბჭოს საქმიანობის ზედამხედველობა;
- დირექტორთა საბჭოსთვის ინსტრუქციების მიცემა ბანკის სხვადასხვა პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შესახებ;
- ბანკის ზოგადი კორპორაციული მართვის სისტემის ანალიზი, წლიური ანგარიშგების და დირექტორთა საბჭოს წინადადებების განხილვა მოგების განაწილების შესახებ;
- აქციონერთა რეგარემუ საერთო კრების მოწვევა;
- ახალი შვილობილი კომპანიის დაფუძნება;

სხვა

- ნებისმიერი დავის წამოწევა, წარმოება ან გადაწყვეტა, როდესაც დავის თანხა აღემატება 500,000 აშშ დოლარს, ან დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმესთან ან ბანკში მმართველ პოზიციაზე მყოფ პირთან;
- ნებისმიერ პირთან ერთად ამხანაგობის ან ერთობლივი საწარმოს დაარსება;
- ნებისმიერი პოლიტიკური შენატანის ან პოლიტიკური დონაციის განხორციელება;

სამეთვალყურეო საბჭო აგრეთვე არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ყველა იმ საკითხთან მიმართებაში, რაც მნიშვნელოვანია ბანკისთვის სტრატეგიული, ფინანსური ან რეპუტაციული თვალსაზრისით.

#### 4.3.5 სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა და კრებები

სამეთვალყურეო საბჭოს კრებები („კრება“) ტარდება მინიმუმ კვარტალში ერთხელ ბანკის იურიდიულ მისამართზე ან სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის მოთხოვნით ნებისმიერ სხვა ადგილას. ყველა სხვა წევრთან შეთანხმებით, თავმჯდომარეს (თავად ან ნებისმიერი წევრის მოთხოვნით) შეუძლია მოიწვიოს კრება ზეპირი ფორმით ან სხვაგვარად დროის მოკლე პერიოდში. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება წარმოდგენილ იქნან სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრების მიერ. თითოეულ წევრს უფლება აქვს წარმოადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს მხოლოდ ერთი სხვა წევრი.

სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ შემდგარია კვორუმი. კვორუმი შემდგარია, თუ სხდომას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სულ მცირე ნახევარზე მეტი. თუ სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხზე, ინტერესთა კონფლიქტიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში, კვორუმი შემდგარია, თუ სხდომას ესწრება ინტერესთა კონფლიქტის არ მქონე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს მოიწვიოს ახალი სხდომა 10 (ათი) დღის ვადაში, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, კენჭისყრაში მონაწილე საბჭოს წევრთა რაოდენობის მიუხედავად. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სხდომის თავმჯდომარის ხმა.

სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი სხდომის ჩატარება დასაშვებია სატელეფონო, ვიდეო კონფერენციის ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით, მათ შორის მისაღები გადაწყვეტილების ელექტრონული ფოსტით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის გაგზავნით და მათგან ამავე ფორმით დასტურის მიღებით.

სხდომის ჩატარებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებ(ებ)ის მიღების შემდეგ დგება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს გააჩნია 1 (ერთი) ხმა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოს განხილვაში ან ხმა მისცეს დღის წესრიგის ისეთ საკითხს, რომელთან დაკავშირებითაც ასეთ წევრს გააჩნია ინტერესთა შეუთავსებლობა (კონფლიქტი). იმ შემთხვევაში, თუ სხდომაში მონაწილეობას ვერ იღებს თავმჯდომარე, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მთლიანობაში, 2025 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭო ოფიციალურად შეიკრიბა 20 (ოცი)-ჯერ და გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა როგორც უშუალო შეხვედრით ჩატარებული სხდომის ფორმატში, ისე სატელეფონო კონფერენციის საშუალებით. კრებების დროს სამეთვალყურეო საბჭო იღებს განახლებულ მონაცემებს ძირითადი ბიზნეს მიმართულების, ფინანსური მდგომარეობის, შიდა საოპერაციო ფუნქციებიდან კონტროლის და რისკის მართვის, შესაბამისობის, შიდა აუდიტის და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული მნიშვნელოვანი ტრანზაქციების შესახებ. 2025 წელს ჩატარებულ სხდომებზე, სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ისეთი მნიშვნელოვანი

დოკუმენტები, როგორცაა ბიზნეს უწყვეტობის განახლებული პოლიტიკა, გაჯანსაღების გეგმა, რისკის აპეტიტის განახლებული დებულება, მწვანე დაფინანსებისა და მისი შემადგებელი დოკუმენტები და სხვ. უშუალოდ სხდომების გარდა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და წევრებს ხშირი საქმიანი და კონსტრუქციული კავშირი აქვთ როგორც ერთმანეთთან, ისე გენერალურ დირექტორთან, კონტროლის ფუნქციების ხელმძღვანელ პირებთან და სხვა მნიშვნელოვან ბიზნეს ერთეულებთან. ქვემოთ ცხრილში მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე დასწრების დეტალები 2025 წლის განმავლობაში:

**სამეთვალყურეო საბჭოს კრებები**

წევრები	დაგეგმილ კრებებზე დასწრების უფლება	დაგეგმილ კრებებს დაესწრო	დასწრება, %
ირაკლი ოთარ რუხაძე	17	17	100%
მამუკა წერეთელი	20	20	100%
მურთაზ კიკორია	20	20	100%
მაგდა მალრაძე	19	19	100%
ბრუნო ხუან ბალვანერა	20	20	100%

**4.3.6 სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება**

სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად ზრუნავს თავისი ეფექტურობის გაუმჯობესებაზე და აღიარებს, რომ მისი შეფასების პროცესი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ამ მიზნის მისაღწევად. სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს ეფექტურ ორგანოს, რომელიც ქმნის კომპეტენციის და გამოცდილების სათანადო ბალანსს და აერთიანებს მოსაზრებების და პერსპექტივების მრავალფეროვნებას. კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების თანახმად, ლიბერთი ბანკმა დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭოს შეფასების პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ახორციელებს როგორც საკუთარი საქმიანობის, ისე კომიტეტებისა და საბჭოს ინდივიდუალური წევრების ეფექტურობის შეფასებას, როგორც ერთიანი კოლეგიური ორგანოს, ისე დამოუკიდებელი წევრებისა და თავმჯდომარის სათანადო ჩართულობის, კვალიფიციურობის, შესაფერისობისა და ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით შეფასების პოლიტიკის მიხედვით. ყოველ სამ წელიწადში შეფასება ასევე ხორციელდება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, 2025 წლის საბჭოსა და საბჭოსთან არსებული კომიტეტების მუშაობის ეფექტიანობა შეაფასა დიდი ოთხეულის წევრმა PricewaterhouseCoopers-მა (“PwC”). შეფასება განხორციელდა 5 დონიანი შეფასების სისტემით (basic, developing, defined, managed, optimized), 5 ძირითადი მიმართულებით: სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასების პოლიტიკის ეფექტურობა, სამეთვალყურეო საბჭოს როლი და პასუხისმგებლობები, სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული კომიტეტები, ორგანიზაციული და კორპორაციული სტრუქტურა და ბანკის სხვა ფუნქციებთან კოორდინაცია. მთლიანობაში, ხუთივე მიმართულებით, შეფასების საერთო შედეგები არის „გამართული“ (managed, IV დონე) რაც, სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი კომიტეტების ეფექტურ ფუნქციონირებაზე მიუთითებს. ამასთან, ბანკი უზრუნველყოფს შეფასების პროცესში PwC-ს რეკომენდაციების გათვალისწინებასა და დანეგვას, მათ შორის, სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასების კითხვარის სრულყოფას, დამტკიცებული პოლიტიკების პერიოდულად გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში განახლებული რედაქციების დამტკიცებას, ასევე, რისკების კომიტეტზე კომიტეტის წევრებისთვის რისკების დირექტორის მიერ მომზადებული ანგარიშის გარდა შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ანგარიშის წარდგენას, რის საფუძველზეც გაუმჯობესდება მენეჯმენტის მხრიდან სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების პროცესი.

ამასთან, ყოველწლიური თვითშეფასების ფარგლებში, 2025 წლის საქმიანობა შეაფასეს თავად სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა. შეფასების შედეგები საკმაოდ პოზიტიურია, კერძოდ, გამოიკვეთა, რომ სამეთვალყურეო საბჭო ეფექტიანად ახორციელებს მენეჯმენტის, შიდა კონტროლისა და რისკების მართვის ზედამხედველობას. რეგულარული შეხვედრები, დეტალური რეპორტიინგი და ღია კომუნიკაციის სტილი საშუალებას აძლევს თითოეულ წევრს, იყოს სრულად ინფორმირებული და აქტიურად ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. დადებითად შეფასდა თავმჯდომარის ჩართულობა და ყველასთვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის წახალისება. ამავდროულად, თვითშეფასების შედეგებით გამოიკვეთა რამდენიმე კონკრეტული მიმართულება, რაც საბჭოს მუშაობას კიდევ უფრო პროდუქტიულს გახდის. წევრების მხრიდან გამოითქვა რეკომენდაცია, რომ მათთვის წარდგენილი დოკუმენტების სიღრმისეული შესწავლისთვის მეტი დრო გამოიყოს, რაც მსჯელობის ხარისხს კიდევ უფრო აამაღლებს. ასევე, საბჭო ხედავს საჭიროებას, რომ უფრო რეგულარული კომუნიკაცია ჰქონდეს ეროვნულ ბანკთან რეგულაციურ სიახლეებზე და პერიოდულად ჩატარდეს ტრენინგები ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით, რათა მათი კომპეტენცია თანამედროვე ტექნოლოგიურ გამოწვევებს შეესაბამებოდეს. გარდა ამისა, საბჭოს წევრები მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპისთვის რეკომენდირებულია კომიტეტებში წევრების როტაცია, რაც მუშაობის პროცესში ახალი ხედვების გაზიარებას შეუწყობს ხელს. საერთო ჯამში, საბჭოს საქმიანობა შეფასდა როგორც ეფექტიანი, პროგრესზე ორიენტირებული და გაუმჯობესებისკენ მიმართული.

ბანკი ორიენტირებულია სამეთვალყურეო საბჭოს შეფასებისა და თვითშეფასების პროცესის მუდმივ სრულყოფაზე. სწორედ ამ მიზნით, თვითშეფასების კითხვარი პერიოდულად ახლდება და უფრო კომპლექსური ხდება, რათა მაქსიმალურად მოიცვას მმართველობითი საქმიანობის ყველა ასპექტი და უზრუნველყოს საბჭოს მუშაობის ეფექტიანობის სიღრმისეული ანალიზი. ამგვარი მიდგომა ბანკს აძლევს საშუალებას, შეფასების პროცესი იყოს კიდევ უფრო ობიექტური და ბანკი მუდმივად იყოს შესაბამისობაში საუკეთესო კორპორაციულ პრაქტიკასთან.

## 4.4 სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების მიხედვით, სისტემურ კომერციულ ბანკებში სამეთვალყურეო საბჭოსთან უნდა არსებობდეს შემდეგი კომიტეტები:

1. აუდიტის კომიტეტი
2. რისკების კომიტეტი
3. კორპორაციული მართვის კომიტეტი
4. ანაზღაურების კომიტეტი

კომიტეტების რაოდენობის, მოწყობისა და შემადგენლობის მხრივ ბანკი სრულ შესაბამისობაშია კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსთან.

### 4.4.1 აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია შიდა კონტროლის ფუნქციების შესრულების მონიტორინგზე, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების დაგეგმვასა და ზედამხედველობაზე, გარე დამოუკიდებელ აუდიტორებთან კომუნიკაციაზე, კომიტეტი ასევე რეკომენდაციას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს შიდა კონტროლის მექანიზმების შესაძლო სისუსტეზე.

აუდიტის კომიტეტი ზედამხედველობას უწევს ბანკის შესაბამისობას მექრთამეობასა და კორუფციასთან, ინტერესთა კონფლიქტის მართვასა და გამჟღავნებასთან დაკავშირებულ შიდა პოლიტიკებთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუდიტის კომიტეტი თვლის, რომ მისი შიდა კონტროლის ჩარჩო ეფექტურია.

კომიტეტი არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. კომიტეტი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- მაგდა მალრაძე (თავმჯდომარე);
- მამუკა წერეთელი (კომიტეტის წევრი);
- მურთაზ კიკორია (კომიტეტის წევრი).

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამუკიდებელი წევრი, ხოლო კომიტეტის წევრების უმეტესობა უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. შესაბამისად, ბანკი სრულად აკმაყოფილებს კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე ეროვნული ბანკის ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აუდიტის კომიტეტის შეხვედრა უნდა ჩატარდეს მინიმუმ კვარტლურად და, საჭიროების შემთხვევაში, რიგგარეშე სხდომა შესაძლოა მოწვეულ იქნას ნებისმიერ დროს.

აუდიტის კომიტეტის ძირითადი როლები და პასუხისმგებლობები:

- ბანკის საბუღალტრო და საანგარიშგებო წესების განსაზღვრა, ამ წესების დაცვა და ბანკის შიდა აუდიტის მეშვეობით ბანკის აღრიცხვებისა და ჟურნალების შემოწმება;
- მოქმედ კანონმდებლობასთან ბანკის შესაბამისობის ზედამხედველობა;
- შიდა აუდიტის ფუნქციონირების ზედამხედველობა, რომლის მიზანია ბანკში რისკის მართვისა და კონტროლის სისტემებისა და პროცესების ადეკვატურობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა;
- შიდა აუდიტის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცება და ბანკის დირექტორთა საბჭოსგან შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
- შიდა აუდიტის მომსახურების კვარტლური/ნახევარწლიური რეპორტების დამტკიცება და სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთვის შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა;
- შიდა აუდიტის მიერ შედგენილი წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცება და გეგმის კვარტლური გადახედვა;
- შიდა აუდიტის ფუნქციის შეფასება, სათანადო რესურსის მობილიზების უზრუნველყოფა;
- ბანკის გარე აუდიტორებთან თანამშრომლობა.

აუდიტის კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს გარე აუდიტორთან თანამშრომლობა, მისი საქმიანობის ხელშეწყობა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ბანკის აქციონერების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 2025 წლის ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტს ახორციელებს შპს „იუაი“, რომელიც წარმოადგენს დიდი ოთხეულის წევრს. მომავალი საანგარიშგებო პერიოდებისთვის დამოუკიდებელი გარე აუდიტორის შერჩევა განხორციელდება კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის №284/04 ბრძანებით განსაზღვრული წესით.

2025 წელს აუდიტის კომიტეტი ოფიციალურად შეიკრიბა ოთხჯერ.

#### 4.4.2 ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი

2018 წლის დეკემბერში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დააარსა ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შემადგენლობის შერჩევის, დანიშვნების, წევრთა როტაციის, მათი მუშაობის ეფექტურობის შესაფასების და ბანკის კორპორაციული მმართველობის საზედამხებდველოდ.

კომიტეტი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია, იგი ექვემდებარება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 (სამი) წევრისგან, რომლებიც უნდა იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და მასში წარმოდგენილი უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრთა საკმარისი რაოდენობა. ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- მამუკა წერეთელი (თავმჯდომარე);
- ბრუნო ხუან ბალვანერა (კომიტეტის წევრი);
- მაგდა მალრაძე (კომიტეტის წევრი).

ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტის ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

- **ნომინაცია.** სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოსა და მათი კომიტეტების სტრუქტურის, ზომისა და შემადგენლობის რეგულარული გადახედვა კომიტეტის თავმჯდომარესთან კონსულტაციით, სამეთვალყურეო საბჭოს ან/და დირექტორთა საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის გათვალისწინებით.
- კომიტეტმა უნდა განიხილოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და სხვა მაღალი რანგის აღმასრულებელი პირების როტაციის დაგეგმვა მათი საქმიანობის გათვალისწინებით, ბანკისთვის არსებული გამოწვევების, შესაძლებლობების და სამომავლოდ საჭირო უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით.
- კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასების ჩატარება და წარმოქმნილი რეკომენდაციების სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა.
- **კორპორაციული მართვა.** კომიტეტი უზრუნველყოფს საუკეთესო კორპორაციული მართვის პრაქტიკის დანერგვას და მის მუდმივ გამლიერებას, მათ შორის კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკების შემუშავებას და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენას.
- მონიტორინგს უწევს განვითარებად ტრენდებს, ინიციატივებს და საუკეთესო პრაქტიკას კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებით, აფასებს აღნიშნული ტრენდების, პრაქტიკის გავლენას/თავსებადობას ბანკთან და საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს.
- პერიოდულად განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოსთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და ეთიკას და სამეთვალყურეო საბჭოს აძლევს შესაბამის რჩევებს.
- გადახედავს და განიხილავს შიდა შემოწმებასთან ან/და მოკვლევასთან მიმართებაში არსებულ საჩივრებს, რომელიც განხორციელდა შესაბამისობის სამსახურის ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ, ქცევის წესებისა და ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევების იდენტიფიცირების ან/და თავიდან არიდების მიზნით, აგრეთვე, ამ დარღვევებზე გავრცელებულ დისციპლინურ ზომებს და სხვა საჩივრებს.

- სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულად აცნობებს მისი კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარე აქტივობების შესახებ და აფასებს კომიტეტისთვის მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების შესრულებას.

2025 წელს ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი ოფიციალურად შეიკრიბა ორჯერ.

### 4.4.3 რისკების კომიტეტი

რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა/პროცედურების ზედამხედველობასა და შესაბამისობაზე, ასევე რისკის მართვის სტრუქტურის ადეკვატურობის განსაზღვრაზე, ბანკის წინაშე არსებული ყველა რისკის ტიპის მიხედვით.

კომიტეტი დახმარებას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს და აძლევს რეკომენდაციებს რისკების მართვისა და შიდა კონტროლის, რისკის კონტროლის ფუნქციების ადეკვატურობისა და ეფექტურობის შეფასების მიმართულებით, კონკრეტული ტიპის საოპერაციო, საკრედიტო და სხვა ტიპის რისკების იდენტიფიცირებისა და პრევენციის მიზნით.

რისკების კომიტეტი ასევე ატარებს ბანკის რისკის მართვისა და მიტიგაციის პოლიტიკა-პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ბანკის შიდა კონტროლის საერთო ჩარჩო ეფექტურია.

კომიტეტი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია და ექვემდებარება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს. კომიტეტის წევრები არიან:

- ბრუნო ხუან ბალვანერა (თავმჯდომარე);
- მამუკა წერეთელი (კომიტეტის წევრი);
- მურთაზ კიკორია (კომიტეტის წევრი).

კომიტეტი უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისგან და კომიტეტის წევრთა უმრავლესობას უნდა წარმოადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები. ამ მხრივ, ბანკი სრულ შესაბამისობაშია კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსთან.

რისკების კომიტეტის სხდომა უნდა ჩატარდეს არანაკლებ კვარტლურად, საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ დროს შესაძლოა მოწვეულ იქნას კომიტეტის რიგგარეშე სხდომა.

რისკის კომიტეტის მთავარი ფუნქციები და ძირითადი პასუხისმგებლობებია:

- რისკების მართვის ანგარიშგების რეგულარულად დამტკიცება;
- რისკის სტრატეგიისა და რისკის დასაშვები დონის კონტროლი, მათი თანმიმდევრულობა და შესაბამისობა ბანკის სტრატეგიასთან, კაპიტალსა და ფინანსურ გეგმებთან. აღნიშნული მიმართულებით კომიტეტი საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს;
- კაპიტალისა და ლიკვიდობის, ასევე ბანკისთვის რელევანტური ყველა ტიპის რისკის კონტროლი: საკრედიტო, საოპერაციო, საბაზრო, რეპუტაციული და სხვა ტიპის რისკების მართვის სტრატეგიები, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა რისკის დასაშვებ დონესა და კულტურასთან;

- რისკის აპეტიტთან შესაბამისობის ანგარიშგებების განხილვა, რისკის დასაშვები დონიდან თითოეულ გადაცდომასა და შერჩეული ქმედების ადეკვატურობაზე;
- კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის (ICAAP) ანგარიშგების განხილვა და დამტკიცება;
- რისკების დირექტორის (CRO) ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის კონტროლი, მისი საქმიანობის შეფასება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის აღნიშნულ პოზიციაზე დანიშვნისა და/ან გათავისუფლების შესახებ რეკომენდაციების წარდგენა.

რისკების კომიტეტი 2025 წლის განმავლობაში შეიკრიბა სამჯერ.

#### 4.4.4 ანაზღაურების კომიტეტი

ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის და სხვა მატერიალური რისკის ამღები პირებისთვის ადეკვატური და ეფექტური ანაზღაურების სისტემის შექმნაზე და მისი გამართულად ფუნქციონირების ზედამხედველობაზე.

კომიტეტი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია და ექვემდებარება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს. იგი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- მურთაზ კიკორია (თავმჯდომარე);
- ბრუნო ხუან ბალვანერა (კომიტეტის წევრი);
- მაგდა მალრაძე (კომიტეტის წევრი).

ანაზღაურების კომიტეტი უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისგან და მასში წარმოდგენილი უნდა იყოს დამოუკიდებელი წევრების საკმარისი რაოდენობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურების კომიტეტი დაკომპლექტებულია იმგვარად, რომ კომიტეტის შემადგენლობა სრულად შეესაბამება კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებს.

ანაზღაურების კომიტეტის მთავარი ფუნქციები და პასუხისმგებლობებია:

- ანაზღაურების პოლიტიკის რეგულარული გადახედვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბანკის ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და მარეგულირებლის მიერ დამტკიცებულ შესაბამის რეგულაციებთან.
- მატერიალური რისკის ამღებ პირთა სიის რეგულარულად გადახედვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა;
- არაფულადი სახით ანაზღაურების სქემის განხილვა, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების გაცემა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების გაცემა ბანკის ანაზღაურების პოლიტიკით გათვალისწინებული პირების ანაზღაურების შესახებ;
- მატერიალური რისკის ამღებ პირთა საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლების (KPI) შესრულების შეფასება;
- ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის გამჟღავნების პროცესის ხელმძღვანელობა.

2025 წელს ანაზღაურების კომიტეტი ოფიციალურად შეიკრიბა ერთხელ.

#### 4.4.5 კომიტეტების როლი კორპორაციულ მართვაში

სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობების შესრულების ხელშეწყობის, მისი ეფექტურობის ამაღლების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია კომიტეტები, რომლებზეც გარკვეულწილად დელეგირებულია სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები სხვადასხვა მიმართულებით. კომიტეტის საქმიანობა კონცენტრირებულია კონკრეტული მიმართულებით, რაც ზრდის ექსპერტული ჩართულობისა და ხარისხობრივი შესრულების მაჩვენებლის დონეს. კომიტეტების ჩართულობის გაზრდა, მათი პროაქტიულობა ბანკის კორპორაციული მართვის ჩარჩოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კომპონენტია. შესაბამისად, 2020 წელს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცდა კონკრეტული ანგარიშგებების/რეპორტების კალენდარი, რომლის დანერგვაც დაიწყო 2020 წლის მიწურულს. 2021 წლიდან აუდიტისა და რისკების კომიტეტების სხდომები ტარდება ფიზიკური შეხვედრის ფორმატში, კომიტეტების ინფორმირებულობა, ჩართულობა და სახედადამხედველო კონტროლი გახდა ბევრად ნაყოფიერი და პროდუქტიული. პერიოდულად, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტის მიერ ხორციელდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსთვის სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული კომიტეტების სხდომებისა და მათ მიერ განხილული საკითხების, ასევე კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული დამატებითი საკითხების შესახებ ანგარიშგების მიწოდება. აღნიშნულის ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ანგარიშგებების სახით იღებენ ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებულ კომიტეტებზე განხილულ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, რაც ხელს უწყობს მათი ინფორმირებულობის გაზრდას, ჩართულობას და ჯანსაღი და ეფექტური ანგარიშგებისა და კომუნიკაციის სისტემის უზრუნველყოფას.

#### 4.5 დირექტორთა საბჭო

ბანკის ყოველდღიურ საქმიანობებს ახორციელებს დირექტორთა საბჭო, რომლის წევრებსაც საქართველოს კანონმდებლობითა და კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 ოქტომბრის №151/04 ბრძანებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

ბანკი აცნობიერებს დირექტორთა საბჭოს მნიშვნელობას, რომელიც მოიცავს კვალიფიკაციების, გამოცდილების და მრავალფეროვნების სწორ ბალანსს, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ ეფექტურად შეასრულონ დაკისრებული ფუნქციები და მოვალეობები. აღნიშნული მიზნით, ბანკმა 2023 წელს დაამტკიცა ბანკის ადმინისტრატორთა შერჩევის, შესაფერისობისა და მრავალფეროვნების პოლიტიკის განახლებული რედაქცია, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრატორთა, მათ შორის დირექტორთა, შესაფერისობის ფუნდამენტური პრინციპებისა და კრიტერიუმების, ასევე მათი შერჩევის, ნომინაციის, დანიშვნის, გათავისუფლების, შესაფერისობის საკითხების დადგენის საკითხებს. აღნიშნული პოლიტიკის მიზანია ადმინისტრატორთა ისეთი შემადგენლობის ფორმირება, რომელიც საშუალებას მისცემს მათ ეფექტურად განახორციელონ მოქმედი კანონმდებლობითა და ბანკის წესდებით მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები.

### 4.5.1 დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა

საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობების შესახებ“ და საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ განსაზღვრავს მთავარ პრინციპს, რომლის მიხედვითაც კომპანიის საქმიანობის განხორციელებისთვის მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს პასუხისმგებლობები კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობასა და აღმასრულებელ უფლებამოსილებას შორის. დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: გენერალური დირექტორი (Chief Executive Officer - “CEO”) და დირექტორები. გენერალური დირექტორი და თითოეული დირექტორი დანიშნულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. დირექტორატის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს ან დირექტორატის წევრობიდან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ბანკის დირექტორისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია მართვის ყველა საკითხზე, რომელიც ეხება ბანკს. ყველა დირექტორი ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის წინაშე. გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია შეიმუშაოს, წარმოადგინოს და ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის სტრატეგიას და საერთო კომერციულ მიზნებს, რომლებსაც ის განახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოსთან მჭიდრო კომუნიკაციით. გენერალური დირექტორი და დირექტორთა საბჭოს დანარჩენი წევრები პასუხისმგებელი არიან სამეთვალყურეო საბჭოს და შესაბამისი კომიტეტების გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

31-დეკემბერი-25	დირექტორთა საბჭოს წევრები
გენერალური დირექტორი	ბექა გოგიჩაიშვილი
ფინანსური დირექტორი	ვახტანგ ბაბუნაშვილი
რისკების დირექტორი	გიორგი გვაზავა

### 4.5.2 დირექტორთა საბჭოს განათლება და გამოცდილება

დირექტორთა საბჭოს წევრებს გააჩნიათ მრავალმხრივი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, რისკების მართვის, სტრატეგიული დაგეგმვის, საგადასახადო და სამართლებრივი საკითხების, მენეჯმენტის და ხელმძღვანელობის, კორპორაციული მართვისა და მარკეტინგის კუთხით. ისინი გამოირჩევიან ადგილობრივი და რეგიონალური ეკონომიკური და საბაზრო პირობების გონივრული გააზრების უნარებით, სამართლებრივი და საზედამხედველო გარემოს სიღრმისეული ცოდნით. მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მრავალფეროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკში გრძელვადიანი ღირებულების შექმნის კუთხით.

### ბექა გოგიჩაიშვილი



**უნარები და გამოცდილება:** ბექა გოგიჩაიშვილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრად აირჩიეს 2020 წლის ოქტომბერში. იმავე წლის ნოემბრიდან იგი ასევე აირჩიეს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის წევრად. ბექას გააჩნია მრავალმხრივი და გამორჩეული გამოცდილება სხვადასხვა მიმართულებით. ბექას დიდი წვლილი მიუძღვის სამეთვალყურეო საბჭოსა და საბჭოს კომიტეტების როლის გაძლიერებასა და დაკისრებული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში. სწორედ სამეთვალყურეო საბჭოში მისი არჩევის შემდეგ დაიწყო საბჭოსა და მენეჯმენტის გაერთიანებული პერიოდული შეხვედრები, გაუმჯობესდა საბჭოს მიერ მენეჯმენტის კოორდინაცია და ზოგადი ხელმძღვანელობა, ეფექტური გახდა

მენეჯმენტის შესრულების კონტროლი და კომიტეტებთან შესაბამისი რეპორტირება. მის პროფესიულ კარიერაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტიციების მენეჯერის პოზიცია ჰანიველ პარტნერს ჯორჯიაში, ინვესტიციებისა და აქტივების მართვის კომპანიაში, რომელიც დღეისათვის მართავს ათეულობით მილიონი ლარის ღირებულების ინვესტიციებს სხვადასხვა ბიზნეს სექტორში. 2017 წლამდე ბექა მუშაობდა საპარტნიორო ფონდში, სადაც მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავდა საპარტნიორო ფონდის მიერ დასაფინანსებელი პროექტების ფინანსურ ანალიზსა და რისკების შეფასებას და შესაბამისად, დიდწილად განაპირობებდა საპარტნიორო ფონდის წარმატებულ საინვესტიციო საქმიანობას. ბექას ასევე გააჩნია გამოცდილება საბანკო სექტორში. 2013-2014 წლებში იგი მუშაობდა თიბისი ბანკში, სადაც უშუალოდ ახორციელებდა რეპორტირებს და ანგარიშგებას როგორც შიდა მიზნებისთვის, ისე საზედამხებელო შესაბამისობისთვის. 2022 წლის 29 აპრილს ბექამ დატოვა სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიცია ხოლო 29 ივნისიდან დაინიშნა ბანკის გენერალურ დირექტორად, სადაც განახლებული ენერჯითა და ხედვებით განაგრძობს ბანკის მართვას ამჯერად უკვე დირექტორთა საბჭოს წევრისა და გენერალური დირექტორის პოზიციიდან.

**განათლება:** ბექა არის სასექსის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებული მენეჯმენტისა და ფინანსების მიმართულებით. 2010 წელს ბექამ ასევე დაამთავრა კავკასიის უნივერსიტეტი და ფლობს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს ფინანსების სპეციალობით.

### ვახტანგ ბაბუნაშვილი



ვახტანგ ბაბუნაშვილი ლიბერთი ბანკის გუნდს შემოუერთდა 2020 წლის ივლისში, ფინანსური დირექტორის მოადგილის, ფინანსური დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე. 2021 წლის თებერვლიდან მან შეცვალა დავით წიკლაური გენერალური დირექტორის მოადგილედ, ფინანსური დირექტორის პოზიციაზე. ვახტანგს ფინანსურ სექტორში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება გააჩნია. მისი პროფესიონალური კარიერა დაიწყო საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფით“, რის შემდეგაც მას არაერთი მენეჯერული პოზიცია ეკავა ბანკ რესპუბლიკაში (ჯგუფი სოსიეტე ქენერალი), თიბისი ბანკსა და საქართველოს ბანკში. თიბისი ბანკში იგი იყო ფინანსური დირექტორის მოადგილე სადაც ხელმძღვანელობდა ფასდადების

მოდელების განვითარებას საცალო, მცირე და საშუალო, კორპორატიული სეგმენტის კრედიტების მიმართულებით, ხელმძღვანელობდა ორგანიზაციული რისკების მართვას და ფინანსური რისკების მენეჯმენტს. ვახტანგი ფლობს INSEAD-ის MBA ხარისხს, არის კავკასიის ბიზნეს სკოლის

კურსდამთავრებული ფინანსების სპეციალობით და მოწვეული ლექტორი კავკასიის უნივერსიტეტში საბანკო და ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტის მიმართულებით.

**გიორგი გვაზავა**



**უნარები და გამოცდილება:** გიორგი გვაზავამ ბანკის დირექტორთა საბჭოში დავით აბაშიძე ჩაანაცვლა. გიორგი არის საბანკო სექტორის პროფესიონალი, მთელი მისი პროფესიული კარიერა ეთმობა ფინანსურ და კონკრეტულად საბანკო სექტორს, სადაც ძირითად იკავებდა სხვადასხვა წამყვან პოზიციას რისკების მართვის მიმართულებით. მას საქართველოს წამყვან ფინანსურ ინსტიტუტებში მუშაობის 15 წლიანი წარმატებული გამოცდილება აქვს. გიორგიმ კარიერა დაიწყო „ვითიბი ბანკი საქართველოს“ საკრედიტო ანალიტიკოსის პოზიციიდან და მას შემდეგ ეკავა სხვადასხვა მენეჯერული და ტოპ მენეჯერული პოზიციები. „ლიბერთი ბანკის“ გუნდთან შემოერთებამდე გიორგი გვაზავა იყო „ვითიბი ბანკი საქართველოს“ რისკების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და უშუალოდ ხელმძღვანელობდა „ვითიბი ბანკი საქართველოს“ საკრედიტო და საოპერაციო რისკების მართვას.

საქართველოს“ რისკების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და უშუალოდ ხელმძღვანელობდა „ვითიბი ბანკი საქართველოს“ საკრედიტო და საოპერაციო რისკების მართვას.

**განათლება:** გიორგი გვაზავა ფლობს ედინბურგის ბიზნეს სკოლის (EBS) მაგისტრის ხარისხს და არის CFA (Level 1) მფლობელი.

**4.5.3 დირექტორთა საბჭოს ფუნქციები**

ბანკის ყოველდღიური საქმიანობების განხორციელებასთან ერთად, დირექტორთა საბჭოს მთავარი ფუნქციები წარმოდგენილია ქვემოთ:

- აქციონერთა ყოველწლიური/რიგგარეშე კრების მოწვევა;
- აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის შედგენა;
- აქციონერთა საერთო კრების მიერ გაცემული ნებართვების საფუძველზე ბანკის აქციების გამოსყიდვა;
- ახალი აქციების წესდებით დადგენილი ნებადართული კაპიტალის მაქსიმალურ ოდენობამდე გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის წლიური ბიზნეს გეგმის, მათ შორის ბიუჯეტის, მოგების და ზარალის პროგნოზის და ბანკის საინვესტიციო გეგმის წარდგენა;
- სესხების გაცემის, ანგარიშსწორებების, დაფინანსების, სალარო მომსახურებების, ბანკის ფულადი სახსრების და ფასეულობების აღრიცხვის და ანგარიშგების, შიდა კონტროლის და აღრიცხვის ორგანიზება და ზედამხედველობა, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის სათანადო მომსახურებას კლიენტებისთვის;
- ბანკის ფილიალების და სერვის ცენტრების ფუნქციონირების ორგანიზება და ზედამხედველობა;
- შიდა აუდიტიდან ან გარე შემოწმებებიდან მიღებული ინფორმაციის გადახედვა, ასევე ფილიალის/სერვისცენტრის ხელმძღვანელი პირების მიერ წარდგენილი ანგარიშების გადახედვა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- აქციონერთა საერთო კრების და/ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფა;

- პროცედურების, შინაგანაწესის, პროდუქტებისა და მომსახურების პირობების, სხვა შიდა დოკუმენტების შემუშავება;
- გადაწყვეტილების მიღება პერსონალის შერჩევის, გათავისუფლების, ტრენინგის და ანაზღაურების შესახებ (იმის გათვალისწინებით, რომ დირექტორთა საბჭოს წევრებისა და სხვა მატერიალური რისკის ამღები პირების ანაზღაურების საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო და ანაზღაურების კომიტეტი);
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი რისკის მართვის პრინციპების მონიტორინგი და ბანკის რისკის პროფილის რისკის აპეტიტის (Risk Appetite Statement – „RAS“) განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში მოქცევის უზრუნველყოფა.

დირექტორთა საბჭო ასევე არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ყველა იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც სპეციალურად არ არის განსაზღვრული სამეთვალყურეო საბჭოსთვის და/ან აქციონერთა საერთო კრებისთვის.

#### 4.5.4 დირექტორთა საბჭოს საქმიანობა და კრებები

დირექტორთა საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალურად წარმოადგინოს ბანკი ნებისმიერი პირის წინაშე. ნებისმიერი გარიგება ან ბანკის ნებისმიერი შიდა რეგულაცია, ბრძანება ან ინსტრუქცია შეიძლება დამოწმდეს გენერალური დირექტორის ხელმოწერით ან დირექტორთა საბჭოს ყველა დანარჩენი წევრების ხელმოწერებით. გენერალურ დირექტორს შეუძლია მინიჭოს უფლებამოსილება სხვა დირექტორებს და შესაბამის პირებს, დამოუკიდებლად წარმოადგინონ ბანკი სხვადასხვა გარიგებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით.

დირექტორთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს დირექტორთა საბჭოს სხდომებზე. დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილებები საქმიანობის მიმართულებების მიხედვით დელეგირებულია დირექტორთა საბჭოსთან არსებულ კომიტეტებზე, ხოლო უშუალოდ დირექტორთა საბჭო იკრიბება მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად. მთლიანობაში 2025 წელს დირექტორთა საბჭო შეიკრიბა ორჯერ გადაწყვეტილებები მიიღო ბანკისთვის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე, კერძოდ, შეიქმნა ბანკის დავების განმხილველი კომისია და განისაზღვრა მისი წევრების შემადგენლობა, ასევე, 2025 წლის 15 მაისის კრების ოქმით განსაზღვრა აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი და მოიწვეულ იქნა აქციონერთა საერთო კრება.

#### 4.5.5 დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შეფასება

სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად აფასებს დირექტორთა საბჭოს საქმიანობებს ბანკის საერთო მიზნების მიღწევის თვალსაზრისით და მიიჩნევს, რომ დირექტორთა საბჭოს გააჩნია გამოცდილების და ცოდნის სათანადო ბალანსი და ეფექტურად გააგრძელებს საქმიანობას.

#### 4.5.6 დირექტორთა საბჭოს კომიტეტები

##### 4.5.6.1 საკრედიტო კომიტეტი

საკრედიტო რისკის მართვისა და საკრედიტო რისკით გამოწვეული დანაკარგების შემცირების მიზნით, ბანკში არსებობს საკრედიტო კომიტეტების რამდენიმე დონიანი სისტემა, რომელიც განიხილავს კორპორატიულ, მიკრო, მცირე, საშუალო, საცალო და ბითუმი ლომბარდის საკრედიტო

პროდუქტებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკებს და იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული საკრედიტო პროდუქტის პირობების დამტკიცებაზე.

ყველა დონის საკრედიტო კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს მისთვის დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში. საკრედიტო კომიტეტების იერარქიაში ყველაზე მაღალი დონის კომიტეტის წევრები არიან რისკების დირექტორი და გენერალური დირექტორი ან შესაბამისი ბიზნეს მიმართულების დირექტორი. საკრედიტო რისკის მართვის ფუნქცია წარმოდგენილია ნებისმიერი რგოლის კომიტეტში თავმჯდომარის უფლებამოსილებით და სარგებლობს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიმართ ვეტოს გამოყენების უფლებით. ამასთან, იმ საკრედიტო კომიტეტების მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, რომლის წევრიც არის ბანკის გენერალური დირექტორი, რისკის მართვის ფუნქციის წარმომადგენლის თანხმობასთან ერთად, საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის სავალდებულოა მისი თანხმობაც.

დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით 2024 წელს განახლდა ბანკის საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილების მიღების წესი და დეტალურად განისაზღვრა მათი უფლებამოსილებები და აღნიშნულ უფლებამოსილებათა ფარგლები.

#### 4.5.6.2 საოპერაციო რისკების კომიტეტი

რისკების ადრეული იდენტიფიკაციის, რისკის ეფექტური მართვისა და მონიტორინგის მიზნით, ბანკის დირექტორთა საბჭოსთან არსებობს საოპერაციო რისკების კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია საოპერაციო რისკების ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტების მომზადებაზე, საოპერაციო რისკის მართვის ფუნქციის ეფექტურობაზე და შესაბამისი რეკომენდაციების სამეთვალყურეო საბჭოსთვის მიწოდებაზე. კომიტეტი უზრუნველყოფს საოპერაციო რისკის მართვის ფუნქციის დამოუკიდებელ და შეუფერხებელ საქმიანობას.

კომიტეტის თავმჯდომარეა რისკების დირექტორი. კომიტეტი იკრიბება არანაკლებ თვეში ერთხელ, ან საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად.

#### 4.5.6.3 ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტი

ბანკის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე მონიტორინგის განხორციელებისა და ბანკის ინფორმაციული აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად ბანკის დირექტორთა საბჭოსთან არსებობს ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოების ჩარჩოზე და რისკის მართვის სისტემაზე, რისკის მართვის სატრატეგიის შესაბამისობაზე ბანკის მიზნებთან, აფასებს ძირითად რისკის პოლიტიკებსა და ზოგადად, რისკის მართვას.

კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია ინფორმაციული და კიბერ საფრთხეების იდენტიფიცირება და აღნიშნული მიმართულებით ბანკის დაცულობის კონტროლი, კიბერ საფრთხეებზე სათანადო რეაგირების ზომების არსებობა.

გენერალური დირექტორი, რისკების დირექტორი, ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარი ოფიცერი და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების ხელმძღვანელი პირი წარმოდგენენ კომიტეტის წევრებს. კომიტეტის წევრებად დამატებით შესაძლოა მოწვეულ იქნან შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი პირები და ბანკის სხვა თანამშრომლები. კომიტეტი იკრიბება თვეში ერთხელ.

#### 4.5.6.4 ინფორმაციული ტექნოლოგიების აღმასრულებელი კომიტეტი

ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ბანკში არსებული პროცესების ოპტიმიზაციის, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში განხორციელებული ინვესტიციების მართვისა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით დირექტორთა საბჭოსთან ფუნქციონირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების აღმასრულებელი კომიტეტი.

კომიტეტი განიხილავს ბანკის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებულ იმ იდეებს, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა ინფორმაციული ტექნოლოგიების ჩართულობა, განიხილავს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში შესულ განაცხადებს ახალი პროექტების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს მათ პრიორიტეტულობას, განიხილავს ინფორმაციული ტექნოლოგიების საქმიანობაში არსებულ ხარვეზებს, ახდენს პოტენციური რისკებისა და ეფექტური საქმიანობის ხელშემშლელი გარემოებების იდენტიფიცირებას.

კომიტეტის თავმჯდომარეა გენერალური დირექტორი, ხოლო წევრები დირექტორთა საბჭოს წევრები და შესაბამისი მიმართულების მენეჯერები. კომიტეტი იკრიბება თვეში ერთხელ.

#### 4.5.6.5 მარკეტინგისა და გაყიდვების კომიტეტი

ბანკის საქმიანობის მარკეტინგული დაგეგმვის, ცნობადობის გაზრდის, ბანკსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მიზნით დირექტორთა საბჭოსთან ფუნქციონირებს მარკეტინგისა და გაყიდვების კომიტეტი. კომიტეტი წარმოადგენს პლატფორმას, ხოლო კომიტეტის სხდომები საშუალებას, რომლის გამოყენებითაც ბანკის ბიზნესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები მარკეტინგის თანამშრომლებთან ერთად უზრუნველყოფენ მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვას. კომიტეტი ასევე ორგანიზებას უწევს ბანკის სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობის (CSR) ფარგლებში ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას და ბანკის ბრენდის განვითარებასთან დაკავშირებით მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებას, მისი განხორციელებისთვის საჭირო საშუალებების იდენტიფიცირებას.

კომიტეტი იკრიბება თვეში ერთხელ და ახდენს როგორც მიმდინარე საკითხებისთვის პრიორიტეტების განსაზღვრას, ისე უკვე განხორციელებული კამპანიებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეჯამებას და მიღწეული შედეგის შეფასებას.

#### 4.5.6.6 აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი (ალკო)

ბანკის აქტივებისა და პასივების ეფექტური მართვის, საზედამხედველო და პრუდენციული ნორმატივებისა და მოთხოვნების დაცვით საბანკო ოპერაციების შემოსავლიანობის მაქსიმიზაციის მიზნით დირექტორთა საბჭოსთან ფუნქციონირებს აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი.

კომიტეტი უზრუნველყოფს ბანკის სახსრების ოპტიმალურ მართვას, პრუდენციული მოთხოვნების დაცვის კონტროლს, საბანკო ოპერაციების შემოსავლიანობის ზედამხედველობას რესურსების ღირებულების გათვალისწინებით და შემოსავლიანობის გაზრდის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრას. გარდა ამისა, კომიტეტი ასევე ახორციელებს სხვადასხვა სახის რისკის (სავალუტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი) კონტროლსა და ანალიზს, მათ შორის საპროცენტო რისკის დონის შეფასებას, ლიკვიდობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი მოცულობის აქტივების შენარჩუნების კონტროლს.

კომიტეტის თავმჯდომარეა გენერალური დირექტორი, ხოლო წევრები დირექტორთა საბჭოს წევრები და ფინანსების, ხაზინის, ორგანიზაციული რისკების მართვის ერთეულების ხელმძღვანელი პირები. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად ან ნებისმიერ დროს, როდესაც საჭიროდ ჩაითვლება.

#### 4.5.6.7 ფულის გათეთრების საწინააღმდეგო (AML) კომიტეტი

ფულის გათეთრების/უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობისა, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისთვის დირექტორთა საბჭოსთან ფუნქციონირებს AML კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისთვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მისი შესრულების კოორდინაციაზე.

კომიტეტი განიხილავს და შეიმუშავებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიმართულებით ბანკის შიდა დოკუმენტების პროექტებს, განიხილავს კლიენტთა რისკის კატეგორიის ცვლილებას და კლიენტის რისკის კატეგორიის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას ანგარიშის გახსნაზე ან ოპერაციების წარმოებაზე.

კომიტეტის თავმჯდომარე არის რისკების დირექტორი.

## 4.6 ეთიკა და პროფესიული ქცევა

ბანკი მოწოდებულია დაიცვას ქცევის უმაღლესი სტანდარტები თავისი საქმიანობის ყველა ასპექტთან დაკავშირებით. ქცევის და ეთიკის სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ვრცელდება ბანკში მომუშავე ყველა პირზე, რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული კონკრეტული პოლიტიკებითა და რეგულაციებით.

### 4.6.1 ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის კოდექსი

2018 წლის დეკემბერში ბანკმა დაამტკიცა ლიბერთი ბანკის ქცევისა და ბიზნეს ეთიკის კოდექსი (კოდექსი). კოდექსი ასახავს ბანკის ბიზნეს ეთიკისა და ღირებულებების ძირითად პრინციპებს. ბანკის პოლიტიკაა აწარმოოს სამართლიანი საქმიანობა და დაიცვას ყველა მოქმედი კანონმდებლობა და წესი, რაც ასევე მოეთხოვება თითოეულ თანამშრომელს.

<p><b>თანამშრომლებთან ურთიერთობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა და საექსპო ან/და ფაქტობრივი დარღვევების განცხადება;</li> </ul>
<p><b>უსაფრთხოების პოლიტიკა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეინარჩუნოს ოფისის უსაფრთხოება;</li> <li>• სამუშაო გარემო ძალადობისა და ნარკოტიკული საშუალებების გარეშე;</li> <li>• აკრძალულია არასანქცირებული ფოტოგადაღება და ჩანაწერები;</li> <li>• დეტალებისადმი ყურადღება და დარღვევების შესახებ დროული განცხადება შესაბამისობის ოფიცერთან ან საინფორმაციო უსაფრთხოების ოფიცერთან;</li> </ul>
<p><b>მომხმარებლებთან ურთიერთობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გამჭვირვალობა და სამართლიანობა;</li> <li>• მომხმარებელთა ნდობის მოპოვება და შენარჩუნება ოპერატიული და ხარისხიანი მომსახურებით, გონივრული და სასარგებლო რჩევების მიცემითა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით;</li> </ul>
<p><b>სამართლიანი გაყიდვები და მარკეტინგი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლიანი ურთიერთობა მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, კონკურენტებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან;</li> </ul>
<p><b>კონფიდენციალობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა მესამე პირებისგან (გარდა იმ შემთხვევისა თუ არსებობს ლეგიტიმური ბიზნეს მიზანი);</li> </ul>

### 4.6.2 ანონიმური მხილების პოლიტიკა

2018 წლის დეკემბერში ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ანონიმური მხილების პოლიტიკა (whistleblowing policy), რომელიც მოუწოდებს შესაბამის პირებს განაცხადონ ნებისმიერი საექსპო ფაქტის ან ქმედების ჩადენის შესახებ, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს კანონმდებლობის, წესებისა და რეგულაციების, ბანკის პოლიტიკის, სტანდარტებისა და შიდა პროცედურების დარღვევას/გვერდის ავლას. პოლიტიკა ასევე ადგენს აღნიშნული განცხადების გაკეთების პროცედურას და შესაბამის გამხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებს/პირებს. პოლიტიკით დაცულია აღნიშნული პირების ანონიმურობა და განცხადების გაკეთების შემთხვევაში მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვა ყოველგვარი ჩაგვრის, შევიწროვების და სხვა სახის დისკრიმინაციისგან, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ არ დადასტურდება განცხადებულია ექვსის ან/და ფაქტის ნამდვილობა.

### 4.6.3 ანაზღაურების პოლიტიკა

სამეთვალყურეო საბჭომ 2025 წლისთვის დაამტკიცა განახლებული ანაზღაურების ჩარჩო, რომელიც სრულ შესაბამისობაში მოვიდა კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან და ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებულ სტანდარტებთან. ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისად ჩამოყალიბებული პრინციპები და სტრუქტურა მხარს უჭერს მმართველობას და რისკების მენეჯმენტს, რისკზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, რაც ზრდის ეფექტურობას, აძლიერებს ბანკის საოპერაციო და რისკების კულტურას და შეესაბამება ბიზნესისა და რისკების სტრატეგიას, მიზნებს, ღირებულებებსა და ბანკის გრძელვადიან ინტერესებს.

ანაზღაურების პოლიტიკის მთავარი მიზნებია: ბიზნეს ტენდენციებისა და პრაქტიკის მუდმივი მონიტორინგი, საზედამხედველო მოთხოვნების დაცვა და ბიზნესის მართვის პრინციპები, თანამშრომლების მოტივაცია და შენარჩუნება, ბანკისა და რისკის პროფილზე გავლენის მქონე თანამშრომელთა ინტერესების თანხვედრა, პოტენციური რისკების შემცირება, თანამშრომლის მიერ ნაკისრ რისკის მოცულობასა და მის კუთვნილ ანაზღაურებას შორის გონივრული თანაფარდობის დაცვა, ანაზღაურების შესაბამისობა ბანკის კაპიტალთან და საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლების (KPI) შესრულებასთან.

დამატებით, ანაზღაურების პოლიტიკა განსაზღვრავს ანაზღაურების კომპონენტებს, პრინციპებს (მაგ: გადავადებისა და შენარჩუნების პრინციპები), ცვლადი ანაზღაურების რეგულირების მექანიზმებს (malus and clawback clauses) და გადახდის მეთოდებსა და ფორმებს, რომელიც განსაზღვრულია ზედამხედველის მიერ ან რეკომენდებულია საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ანაზღაურების სისტემისა და ანაზღაურების პოლიტიკის განახლებული რედაქციების დამტკიცება ეფუძნება 2023-2024 წლებში დამტკიცებულ რედაქციებთან მიმართებით ეროვნული ბანკის მიერ გაზიარებულ რეკომენდაციებს, ასევე კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან და ბაზელის კომიტეტის მიერ დამტკიცებულ შესაბამის პრინციპებთან მაქსიმალურ დაახლოებასა და განერგვას.

ანაზღაურების სისტემის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო ყოველი კალენდარული წლისთვის ამტკიცებს მატერიალური რისკის ამღებ პირთა საქმიანობის შეფასების ძირითად მაჩვენებლებს (KPI). კალენდარული წლის დასრულების შემდეგ, წლიური შედეგების განხილვის შედეგად ბანკის მატერიალური რისკის ამღები პირებისთვის (გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა) ცვალებადი ანაზღაურების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო, წლიური ბიუჯეტის ფარგლებში დამტკიცებული საბონუსე ფონდისა და ანაზღაურების სისტემით დადგენილი წესების გათვალისწინებით. ამასთან, ცვალებადი ანაზღაურების მინიჭებისას გაითვალისწინება როგორც ცვალებადი ანაზღაურების მიმღები პირის საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლების შესრულება, ისე შესაბამისი ბიზნეს ერთეულის საქმიანობის შედეგები, ბანკის ფინანსური მდგომარეობა, კაპიტალის მაჩვენებელი და სხვა ძირითადი პარამეტრები. ცვალებადი ანაზღაურების მინიჭებამ/მიკუთვნებამ არ უნდა გამოიწვიოს ბანკისთვის დაწესებული საზედამხედველო მოთხოვნების დარღვევა ან არ უნდა შექმნას ასეთი დარღვევის საფრთხე.

მატერიალური რისკის ამღები პირებისთვის (გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა) წლიური ცვალებადი ანაზღაურების იმ ნაწილის გადახდას, რომელიც ანაზღაურების სისტემის თანახმად უნდა გაიცეს არაფულადი სახით, ბანკი განახორციელებს ექვივალენტი ოდენობის ნომინალური ღირებულების მქონე ფინანსური ინსტრუმენტის მინიჭებით / მიკუთვნებით, კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსით განსაზღვრული ცვალებადი ანაზღაურების მინიჭების, მიკუთვნების, შემცირების, დაბრუნების, გადავადების პერიოდისა და შეკავების პერიოდისთვის განსაზღვრული წესის დაცვით. ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის რაოდენობა, ვადიანობა, ნომინალი, ძირითადი და საპროცენტო სარგებლის განაკვეთი განისაზღვრება შეტყობინებით, ანაზღაურების სისტემით დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით.

ბანკის ანაზღაურების სისტემის შესაბამისად, ცვალებადი ანაზღაურების მთლიანი ოდენობა შესაძლოა დაექვემდებაროს: (1) ცვალებადი ანაზღაურების მიკუთვნებამდე საქმიანობის შედეგებსა და რისკზე დაფუძნებული კორექტირება (ცვალებადი ანაზღაურების შემცირება); (2) ცვალებადი

ანაზღაურების მიკუთვნების შემდგომ საქმიანობის შედეგებსა და რისკზე დაფუძნებული კორექტირება (ცვალებადი ანაზღაურების დაბრუნება). სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებულ ანაზღაურების კომიტეტს აქვს სრული უფლებამოსილება ცვალებადი ანაზღაურების მიკუთვნებამდე ნებისმიერ დროს სრულად ან ნაწილობრივ შეამციროს მინიჭებული ცვალებადი ანაზღაურება, ხოლო მიკუთვნების შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება გადახდილი/მიკუთვნებული ცვალებადი ანაზღაურების დაბრუნების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ანაზღაურების სისტემით განსაზღვრული ცვალებადი ანაზღაურების საქმიანობის შედეგებსა და რისკზე დაფუძნებული კორექტირების ერთ ან რამდენიმე გარემოებას.

მინიჭებული ცვალებადი ანაზღაურების/მისი ნაწილის შემცირება ან მიკუთვნებული ცვალებადი ანაზღაურების დაბრუნება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ან რამდენიმე გარემოებას: ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში ადგილი აქვს მატერიალური ხასიათის შეცდომას (არასწორი ინფორმაციის გაცხადებას), რომელიც უკავშირდება ცვალებადი ანაზღაურების მიმღები პირის პასუხისმგებლობის სფეროს და აღნიშნული წარმოადგენს მის მიერ ჩადენილი ბრალეული ქმედებით / უმოქმედობით გამოწვეულ შედეგს, ცვალებადი ანაზღაურების მიმღებმა პირმა განზრახ ბრალეული ქმედებით ან/და გაუფრთხილებლობით გამოიწვია ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამახინჯებას, ან თუ მისთვის ცვალებადი ანაზღაურების მინიჭება განხორციელდა ამავე პირის მიერ არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე, ცვალებადი ანაზღაურების მიმღები პირის მხრიდან ადგილი აქვს დაკისრებული მოვალეობების მატერიალურ შეუსრულებლობას, ან მოქმედი რეგულაციების ან/და ბანკის შიდა პოლიტიკა-პროცედურების მნიშვნელოვანი სახის დარღვევას, ცვალებადი ანაზღაურების მიმღები პირი აღარ არის შესაბამისობაში კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 ოქტომბრის №151/04 ბრძანებით (მასში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) ან/და ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლე დოკუმენტით განსაზღვრულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან და სხვ.

ფინანსური წლის განმავლობაში ბანკის მხოლოდ ერთმა თანამშრომლის ანაზღაურებამ გადააჭარბა 1 მილიონ ლარს;

#### **4.6.4 მექრთამეობისა და კორუფციის საწინააღმდეგო პოლიტიკა, მდგრადი გარემოსდაცვითი პოლიტიკა.**

2019 წელს მექრთამეობისა და კორუფციის საწინააღმდეგო პოლიტიკის დანერგვით, ბანკი ახდენს იმ მნიშვნელოვანი ღირებულებების საჯაროდ დეკლარირებას, რასაც ეფუძნება ბანკის ბიზნეს საქმიანობა. აღნიშნული მოიცავს:

- წინდახედულ და გონივრულ ქცევას;
- მომხმარებლისადმი ლოიალურობას და მაღალ პროფესიონალიზმს;
- დასაქმებულების პასუხისმგებლიანობის წახალისებას;
- საქმიანობაში გაშლილი მკლავის პრინციპის გამოყენებას, როდესაც გარიგებაში მონაწილე მხარეები არიან დამოუკიდებლები და თანაბარ პირობებში;
- ნულოვან ტოლერანტულობას კორუფციული მიზნით განხორციელებული ფაქტების მიმართ, როგორცაა ვინმესთვის რაიმე ღირებულის მქონე სარგებლის დაუმსახურებლად შეთავაზება ან მიღება, როგორებიცაა: არასათანადო გადახდებისაჯარო მოხელეების ან კერძო პირების მიმართ, მათი მხრიდან რაიმე სახის უპირატესობის მისაღებად; ეს მოიცავს როგორც ქრთამის

გადახდის დაპირებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ასევე მის მიღებაში ნებისმიერი ფორმით დახმარებასაც.

#### 4.6.5 გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკა

საქართველო წარმოადგენს კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს. კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები თანხმდებიან საერთო პოზიციაზე რომ მაქსიმალურად შეამცირებენ ბიზნესისა და ეკონომიკის გავლენას ბუნებასა და გარემოზე. ბანკი სრულად იზიარებს აღნიშნულ მიდგომას და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) „ფინანსური სისტემების გამწვანების“ პროგრამის ფარგლებში მან შეიმუშავა და 2025 წელს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაამტკიცა „მწვანე დაფინანსების ჩარჩო“ (Green Financing Framework). აღნიშნული ჩარჩო ბანკის გრძელვადიანი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია და ეფუძნება როგორც საერთაშორისო სტანდარტებს (Paris Agreement, TCFD, IFRS S2, EU Sustainability Directive), ისე ადგილობრივ რეგულაციებს, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის კორპორაციული მართვის კოდექსსა და მწვანე ტაქსონომიას.

ბანკის მიერ დამტკიცებული ჩარჩო მოიცავს რამდენიმე ფუნდამენტურ დოკუმენტს: კლიმატის ტრანზიციის გეგმას (Climate Transition Plan), ანგარიშგების ჩარჩოს კლიმატის რისკების მართვისთვის, მწვანე დაფინანსების სტრატეგიასა და მწვანე დაფინანსების ჩარჩოს. კლიმატის ტრანზიციის გეგმის ფარგლებში, ბანკმა დაწერა სათბური აირების (GHG) ემისიების აღრიცხვის სისტემა Scope 1, Scope 2 და Scope 3 კატეგორიების მიხედვით. 2022 და 2023 წლების ემისიების კალკულაციაზე დაყრდნობით, ბანკმა მიზნად დაისახა, ევროპული ბენჩმარკების შესაბამისად, ყოველწლიურად 7%-ით შეამციროს Scope 1 და Scope 2 ემისიები. გარდა ამისა, გეგმა ითვალისწინებს კლიმატთან დაკავშირებული ფიზიკური და ტრანზიციური რისკების მართვას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობის, წარმოებისა და ელექტროენერჯის სექტორებს.

ბანკის მიერ დამტკიცებული მწვანე დაფინანსების სტრატეგია მკაფიოდ განსაზღვრავს ხუთ პრიორიტეტულ ბიზნეს სექტორს მწვანე პორტფელის გასაზრდელად: განახლებადი ენერჯია, ენერგოეფექტური მშენებლობა, წარმოება, სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი. სტრატეგიის საბოლოო მიზანია ერთი მხრივ, მწვანე დაკრედიტების გაზრდა, რომელიც შესაბამისობაში იქნება როგორც მწვანე ტაქსონომიასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის მიერ რეგულაციებთან, ასევე EIB-ს სტანდარტებთან, ხოლო მეორე მხრივ, ისე იმ სექტორების დაფინანსების ეტაპობრივი შემცირება, რომლებიც ხასიათდებიან ნახშირბადის მაღალი შემცველობით. ამ პროცესის გამჭვირვალობისა და საერთაშორისო სტეიკჰოლდერების წინაშე სანდოობის ასამაღლებლად, ბანკმა დაამტკიცა ანგარიშგების ჩარჩო (Reporting Framework), რომელიც TCFD-ისა და IFRS S2-ის სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფს კლიმატთან დაკავშირებული მონაცემების სისტემურ გამჭვირვებას ბანკის წლიურ ანგარიშგებებში.

#### 4.6.6 კორპორაციული სახელმძღვანელო

ბანკი უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს, სადაც თანამშრომლებს ეპყრობიან სამართლიანად და პატივისცემით. ბანკი ისწრაფვის მისცეს შესაძლებლობა თავის თანამშრომლებს მიაღწიონ წარმატებებს და სრულად გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი, მიიღონ ანაზღაურება დამსახურების მიხედვით და არ იგრძნონ რაიმე სახის დისკრიმინაცია ან შევიწროება. ბანკი აფასებს მკაფიო და ღია კომუნიკაციებს თავის თანამშრომლებთან. თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ უნდა

განაცხადონ არაეთიკური ან უკანონო ქმედებების შესახებ და ბანკი გამოიკვლევს ყველა ასეთ საკითხს კეთილსინდისიერად, კონფიდენციალურობის და თანამშრომლის დაცვით.

ქვემოთ მოცემული მაჩვენებლები მითითებულია ბანკის კორპორაციულ სახელმძღვანელოში:

<b>ბანკის პრინციპები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ყველა თანამშრომელი ერთგულად ასრულებს დაკისრებულ სამუშაოს და ძალისხმევას არ იშურებს მაქსიმალური შედეგების მისაღწევად;</li> </ul>
<b>საქმიანობის ეფექტურობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბანკის ყველა თანამშრომელი უნდა ისწრაფოდეს პროფესიონალიზმის გაუმჯობესებისკენ, უზრუნველყოს თავისი მიზნების შესრულება დროულად, დააკმაყოფილოს კვალიფიკაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრულია მათ მიერ დაკავებული პოზიციებისთვის, გონივრულად დაგეგმოს და გამოიყენოს ბანკის რესურსები, განსაზღვროს დელეგირების ოპტიმალური დონე და კონტროლი;</li> </ul>
<b>მოქნილობა და ინიციატივა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბანკი ხელს უწყობს თანამშრომლებს განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები, მიადწიონ დასახულ მიზნებს, უზრუნველყონ კრეატიული მიდგომა და ინიციატივები, გააუმჯობესონ სამუშაო პროცესები და გაზარდონ კლიენტების კმაყოფილება ბანკის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად;</li> </ul>
<b>გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბანკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტებია ჯანსაღი სამუშაო გარემო ბანკში, ურთიერთპატივისცემა თანამშრომლებს შორის და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება სამუშაოს მიმართ;</li> </ul>
<b>გამჭვირვალობა და ნდობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბანკი იყენებს ყველა საინფორმაციო წყაროს: ბიზნეს შეხვედრებს, ჯგუფურ განხილვებს, ინტერნეტს, ინტრანეტს და პრეს კონფერენციებს ობიექტური ინფორმაციის გავრცელების მიზნით;</li> </ul>
<b>თანამშრომლის ქცევის სავალდებულო წესები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თანამშრომელმა ყოველთვის უნდა დაიცვას ბანკის ინტერესები და იმიჯი კლიენტების და პარტნიორების წინაშე. თანამშრომელი უნდა იყოს კეთილსინდისიერი და ობიექტური თავისი კლიენტების, ასევე კოლეგების და დაქვემდებარებული პირების მიმართ, პატივი უნდა სცეს და დაიცვას კოლეგების ინტერესები და აირიდოს კონფლიქტური სიტუაციები;</li> </ul>
<b>აზარტული თამაშები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თანამშრომელს ეკრძალება აზარტულ თამაშებში და ბეთინგში მონაწილეობა ან მათი ორგანიზება, როგორც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.</li> </ul>

### 4.6.7 რეგულაცია ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ

ბანკის მეანაბრების და კრედიტორების ინტერესების დაცვის და ბანკის მიერ აფილირებულ პირებთან გარიგებების ადეკვატური ზედამხედველობის და კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, გადაწყვეტილების მიმღები თანამშრომლები თავისუფალი უნდა იყვნენ ინტერესთა ფაქტობრივი ან პოტენციური კონფლიქტებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ გადაწყვეტილებებზე ან ქმედებებზე და ხელი შეუშალოს ბანკის ინტერესების დაცვის მიზნით ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული მიზნისთვის, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულება, რომელიც არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტის გაცხადებასა და მის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინტერესთა კონფლიქტის მართვისთვის, ბანკი ადგენს დაკავშირებულ/აფილირებულ მხარეებს, ადგენს ასეთი დაკავშირებული მხარეების ჩამონათვალს, ახდენს ასეთი ჩამონათვალის კლასიფიკაციას, განსაზღვრავს ტრანზაქციის განხორციელების პროცესს, კონტროლის/ანგარიშგების განხორციელების წესს და გარიგებების სახეებსა და ლიმიტებს, რომლის დამტკიცების ექსკლუზიური კომპეტენცია ეკუთვნის სამეთვალყურეო საბჭოს.

ბანკი მუდმივად მოწოდებულია დახვეწოს ინტერესთა კონფლიქტის მართვის შიდა პროცესი რაც მიმართულია დაკავშირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებზე სათანადო კონტროლისა და ანგარიშგების, ასევე აღნიშნული ტრანზაქციების მიმართ გაშლილი მკლავის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულის, ასევე 2023 წელს ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის #26/04 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების, შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 2024 წელს განახლდა ბანკის შიდა ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულება და ახლებურად განისაზღვრა დაკავშირებული მხარის განმარტება, გაიზარდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებელი ტრანზაქციების ლიმიტები, დადგინდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები/კრიტერიუმები და ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებების სია და დარეგულირდა შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული სხვა საკითხები.

#### 4.6.8 საინფორმაციო უსაფრთხოება

ბანკმა მკაცრად უნდა დაიცვას თავისი კლიენტების, მომწოდებლების და კოლეგების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესახებ. საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის პრინციპები და ძირითადი წესები ბანკის ტექნიკური ინფრასტრუქტურის ფარგლებში რეგულირდება საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკით. საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის სისტემის საერთო მიზანია ბანკის მიერ გამოყენებული ინფორმაციის დაცვა, ბიზნეს მიზნების მიღწევის პროცესში. საინფორმაციო უსაფრთხოების მართვა უნდა განხორციელდეს ბანკის რისკის მართვის და ბიზნესის უწყვეტობის შესაბამისად, და ამ სახით საინფორმაციო უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევებით გამოწვეული პოტენციური ზიანის შემცირებით. მიზნები შეესაბამება ბანკის ბიზნეს მიზნებს, RAS-ს, სტრატეგიას და ბიზნეს გეგმებს, ძირითადი საინფორმაციო პროცესების და აქტივების კონფიდენციალობის, მთლიანობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის. აქტივების მთლიანობის, ხელმისაწვდომობის და კონფიდენციალობის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეული აქტივის მფლობელს.

აღნიშნული პოლიტიკისა და სახელმძღვანელოების გარდა, ბანკს დამტკიცებული აქვს ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკის, თაღლითობის საწინააღდეგო პოლიტიკის, საოპერაციო რისკების მართვის პოლიტიკისა, აუთოსორსინგული მომსახურების მართვის პოლიტიკისა და ანაზღაურების პოლიტიკის განახლებული რედაქციები.

#### 4.6.9 მრავალფეროვნების პოლიტიკა

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მიხედვით, კომერციულ ბანკებს უნდა გააჩნდეთ ადეკვატური პოლიტიკა-პროცედურები, რაც მათ შორის მოიცავს მრავალფეროვნების პოლიტიკას. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, 2023 წელს სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ადმინისტრატორთა შერჩევის, შესაფერისობისა და მრავალფეროვნების განახლებული პოლიტიკა, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად განისაზღვრა ადმინისტრატორის პოზიციების ჩამონათვალი, დეტალურად დარეგულირდა მათი შერჩევის პრინციპები, კრიტერიუმები და მოთხოვნები პირის

განათლებასთან, გამოცდილებასთან, პიროვნულ/პროფესიულ თვისებებსა და უნარ-ჩვევებთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

#### **4.6.10 შესაბამისობა მეწარმეთა შესახებ კანონთან და კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა და მნიშვნელოვან წილის მფლობელთა შესაფერისობის განახლებულ დებულებებთან**

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის ახალი რედაქციის („კანონი“) შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის 01 იანვრიდან, კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული ყველა საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს „კანონთან“ შესაბამისობა 2026 წლის 01 აპრილამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბანკის მიერ დამტკიცდა სადამფუძნებლო შეთანხმება და წესდების განახლებული რედაქცია („წესდება“), რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანონის მოთხოვნებთან. წესდებით დეტალურად მოწესრიგდა მმართველ ორგანოთა უფლებამოსილებები, აქციონერთა საერთო კრების მოწვევასთან, კაპიტალთან, აქციებთან და ბანკის ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული საკითხები. ბანკი კანონთან შესაბამისობაში მოვიდა 2023 წლის 8 აგვისტოს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანების შესაბამისად, კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა და მნიშვნელოვან წილის მფლობელ აქციონერთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ განახლებული დებულებების გათვალისწინებით, ბანკის ადმინისტრატორთა დანიშვნა/არჩევაზე უფლებამოსილმა სტუქტურულმა ერთეულებმა დაამტკიცეს არსებული ადმინისტრატორების შესაფერისობა. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცდა ადმინისტრატორთა შერჩევის, შესაფერისობისა და მრავალფეროვნების განახლებული პოლიტიკა.

## 5 ანაზღაურება

### 5.1 ანაზღაურების ჩარჩო

ბანკი არის ერთ-ერთი წამყვანი დამსაქმებელი საქართველოში 5180-ზე მეტი თანამშრომლით. ბანკი თვლის, რომ მისი გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია მისი თანამშრომლების შესაძლებლობაზე, აქედან გამომდინარე ანაზღაურების სქემის მთავარი მიზანია ბაზარზე საუკეთესო სპეციალისტების მოზიდვა, დასაქმება და მათი მოტივაცია, ასევე არსებული თანამშრომლების განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა. მეორე მხრივ ბანკის ღირებულებას წარმოადგენს კონკურენტუნარიანი ანაზღაურების პაკეტი პროფესიული ზრდის ფართო შესაძლებლობებით და მოტივაციური სამუშაო გარემოთი.

ბანკი შრომის ბაზარზე იკავებს სოციალურად პასუხისმგებელი და კეთილსინდისიერი მოთამაშის პოზიციას. ბანკი ყველა თანამშრომელს ეპყრობა თანაბრად, განურჩევლად რასის, სქესის ან რაიმე სხვა საკითხებისა, რომ თავიდან აიცილოს დისკრიმინაცია და ნებისმიერი სახის არათანაბარი მოპყრობა; ბანკი თვლის, რომ ყველა თანამშრომელს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა იმუშაოს მისი კვალიფიკაციის შესაბამის პოზიციაზე. ბანკის ანაზღაურების სქემის შესაბამისად, თანამშრომლებს აქვთ კონკურენტუნარიანი ხელფასი ბაზარზე არსებულ მსგავს პოზიციებთან შედარებით. მსგავსი მიდგომა გამოიყენება მოქმედი თანამშრომლებისთვის ანაზღაურების პაკეტის შექმნისას. თანამშრომლის ანაზღაურება მოიცავს ყოველთვიურ ხელფასს და საბონუსე სისტემას. საბონუსე სისტემა ეფუძნება საქმიანობის ეფექტურობას და განისაზღვრება ბიზნეს მიმართულებების და კონკრეტული პოზიციების მიხედვით. ბანკი მუდმივად აწარმოებს ბაზარზე არსებული ხელფასების კვლევას და ანალიზს, რომლის საფუძველზეც ხდება ანაზღაურების ცვლილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება.

ბანკი აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებელთან, როგორც თბილისში ასევე რეგიონებში. საფინანსო სერვისების სტუდენტებისთვის დაიგეგმა გაცნობითი ექსკურსია-ვიზიტი ლიბერთის ფილიალებში ცნობადობის ამაღლების მიზნით. სტუდენტებისთვის ტარდება ონბონდინგის შეხვედრები და ბანკის ფილიალებში გადიან სტაჟირებას. სტაჟირების დასრულების შემდეგ საუკეთესოებს ბანკი ასაქმებს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობთ ტექნიკური (IT) მიმართულების სტუდენტების დაინტერესებას და ბანკში დასაქმებას. ერთ-ერთ უნივერსიტეტში ბანკის მიერ მოეწყო ბანკის ფილიალის სიმულაციური სივრცე სრულად აღჭურვილი საჭირო ინვენტარით. ანალოგიური სივრცე მოეწყო ორ პროფესიულ სასწავლებელში და დამატებით კიდევ ორ პროფესიულ სასწავლებელში მიმდინარეობს სიმულაციური სივრცეების მოწყობა. ბანკის მხარდაჭერის შემდეგ სახელმწიფოს მერე დაფინანსდა საფინანსო სერვისების პროგრამა. ასევე ბანკის ინიციატივით და მონაწილეობით დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა ტიპის ტრენინგები პროფესიული სასწავლებლების ლექტორებისთვის და სტუდენტებისთვის.

ბანკი ორიენტირებულია შექმნას უკეთესი სამუშაო გარემო ყველა თანამშრომლისთვის და ინარჩუნებს მდგრად მაჩვენებლებს. თანამშრომლები, რომლებიც იცავენ ბანკის ღირებულებებს და წვლილი შეაქვთ ბანკის წარმატებაში, იღებენ შესაბამის წახალისებას. გამოიყენება საქმიანობის შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგია და წახალისების სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ფინანსურ, ასევე არაფინანსურ სარგებელს. დაინერგა ტალანტების მართვის პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ბანკის თანამშრომელთა განვითარებას/მოტივაციას/კარიერულ წინსვლას. ფულადი

ბონუსების გადახდის გარდა ბანკი უზრუნველყოფს თანამშრომლებს სრულად ანაზღაურებადი ექსთენიანი სადეკრეტო შვებულებით, ანაზღაურებადი წლიური შვებულებით, ასევე ავადმყოფობის პერიოდის ანაზღაურებით. ბონუსების გაცემა ხდება საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლების ან მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების გათვალისწინებით. დამატებით, ბანკი ხელს უწყობს თანამშრომლების ცოდნის სრულყოფას და ბანკი სტრატეგიული საჭიროებიდან გამომდინარე, მიზნობრივად აფინანსებს სწავლასთან დაკავშირებულ ხარჯებს თავისი თანამშრომლებისთვის, ქვეყანაში, თუ მის ფარგლებს გარეთ.

მიმდინარე წელს ბანკის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით წინა ხაზის ყველა თანამშრომელს უფინანსდება ჯანმრთელობის დაზღვევის საბაზისო პაკეტი. ასევე ბანკი სრულად აფინანსებს საინკასაციო ჯგუფის დაზღვევის სპეციალურ პაკეტს. ამავე დროს, ბანკის ყველა თანამშრომელს აქვს საშუალება აირჩიოს ბაზარზე არსებული ორი წამყვანი სადაზღვევო კომპანიის მიერ შემოთავაზებული კორპორატიული სადაზღვევო პაკეტებიდან სასურველი.

### 5.1.1 საბონუსე ფონდის ზოგადი პოლიტიკა

2010 წელს ბანკმა დანერგა საბონუსე ფონდის გამოყოფის და განაწილების პოლიტიკა საკუთარი თანამშრომლებისთვის. აღნიშნული პოლიტიკა ითვალისწინებს დაბეგვრამდე მოგების წინასწარ განსაზღვრული თანხის განაწილებას წინა წლიდან, ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად. ბექ-ოფისის თანამშრომლებისა და საშუალო რგოლის ხელმძღვანელობისათვის, ბონუსები გამოითვლება ბანკის წლიურ დაბეგვრამდე მოგების საფუძველზე და სრულად დისკრეციულია. თითოეული თანამშრომლისთვის ბონუსის განაწილება ეფუძნება მათი მთავარი ბიზნეს მიზნების (Key Business Objectives - “KBOs”) შესრულების დონეს. KBOs განისაზღვრება შეფასების პერიოდის დასაწყისში. გარდა ამისა, საანგარიშგებო წლის დასაწყისში ბანკის სტრატეგიის გათვალისწინებით, თითოეული თანამშრომლისთვის განისაზღვრება KPIs, რომლის შესრულების ხარისხითაც განისაზღვრება წლის ბოლოს მისაღები ბონუსი. თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან თავიანთი ფუნქციისა და პასუხისმგებლობების შესახებ მათი კომპეტენციების ფარგლებში და მკაფიო ცოდნა აქვთ თავიანთი წვლილის შესახებ ორგანიზაციის მიზნებსა და დავალებებში.

ანაზღაურების პოლიტიკა სხვადასხვა თანამშრომლებისთვის:

ფრონტ ოფისის  
თანამშრომლები

- ფიქსირებული ყოველთვიური ხელფასი და ყოველთვიური/კვარტალური ცვალებადი ბონუსები;
- გამჭვირვალე და სრულად გასაგები საქმიანობის გეგმა, რომელსაც გააჩნია თითოეული ფრონტ ოფისის თანამშრომლისთვის განსაზღვრული კონკრეტული მიზნები, რომლებიც თანხმდება ყოველი თვის დაწყებამდე;
- საკრედიტო მიმართულების თანამშრომლები იღებენ ბონუსებს გაცემული სესხების რაოდენობის, მოცულობისა და ხარისხის მიხედვით;
- საოპერაციო მიმართულების თანამშრომლების ბონუსები გამოითვლება: მომსახურე ერთეულის საერთო გეგმის შესრულების მაჩვენებლის; გაყიდული პროდუქტების რაოდენობის; დეკადის/თვის რეიტინგის მაჩვენებლის მიხედვით;
- ფრონტ ოფისის თანამშრომლების და გაყიდვების წარმომადგენლების ეფექტურობის მაჩვენებლებს ადგენს დირექტორთა საბჭო ან შესაბამისი კურატორი დირექტორი.

ბექ ოფისის  
თანამშრომლები

- ფიქსირებული ყოველთვიური ხელფასი; ყოველთვიური/კვარტალური/წლიური ცვალებადი ბონუსები ნაწილდება დაკავებული პოზიციის და საქმიანობის ეფექტურობის შესაბამისად;
- ბანკს აქვს საქმიანობის ეფექტურობის შეფასების მკაფიო სისტემა ბექ ოფისის თანამშრომლებისთვის. წლიური საინფორმაციო სესიების საფუძველზე მიიღება თანამშრომლების პროფესიული და პერსონალური უნარების სრული სურათი. ამ პროცესს და შედეგებს არსებითი მნიშვნელობა აქვს დირექტორთა საბჭოსთვის, რომელიც ხელს უწყობს ეფექტურობის მაღალ მაჩვენებლებს და უზრუნველყოფს თანამშრომლებისა და ინვესტორების ინტერესების თანხვედრას;
- სათაო ოფისის თანამშრომლების უმეტესობა სარგებლობს ერთიანი საბონუსე ფონდით. ბონუსის მოცულობა ეფუძნება საქმიანობის შედეგებს დეპარტამენტის დონეზე და KPIs-ს ინდივიდუალურ შესრულებას.

ანაზღაურების პოლიტიკა უმაღლესი ხელმძღვანელობისთვის:

დირექტორთა  
საბჭო

- სამეთვალყურეო საბჭო, როგორც კოლეგიური ორგანო, პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების სისტემის ჩამოყალიბებასა და ინდივიდუალური კომპენსაციის განსაზღვრაზე;
- დირექტორთა საბჭოს წევრების ანაზღაურების სისტემა რეგულარულად მოწმდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ; ასევე დირექტორთა საბჭოს წევრების ყველა სახის სამოტივაციო პროგრამა და ფულადი ანაზღაურება ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებას.
- ფიქსირებული ანაზღაურება განისაზღვრება ანაზღაურების კომიტეტის რეკომენდაციის საფუძველზე, პასუხისმგებლობის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით და აისახება ტოპ მენეჯერის შრომით ხელშეკრულებაში.
- დირექტორთა საბჭოს წევრთა ცვლადი ანაზღაურება უნდა შედგებოდეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი ნაწილებისგან და მისი გაცემა დამოკიდებულია KPI-ების შესრულებაზე, რომელიც მოიცავს ფინანსური მაჩვენებლებისა და სტრატეგიული მიზნების შესრულებას.

სამეთვალყურეო  
საბჭო

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებას განსაზღვრავს AGM და მჭიდროდ არის დაკავშირებული კორპორატიულ KBOs მიღწევასთან და ბანკის საერთო ეფექტურობასთან მოცემული კალენდარული წლის დასრულებისთვის;

ბანკში 2023 წლიდან მოქმედებს ანაზღაურების პოლიტიკა და მატერიალური რისკის ამღებ პირთა ანაზღაურების სისტემა, რომელიც პერიოდულად იხვეწებოდა და მიიღო საბოლოო სახე. ანაზღაურების პოლიტიკისა და ანაზღაურების სისტემის განახლებული რედაქციები მოცემულ ეტაპზე სრულად შეესაბამება კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებსა და ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებულ სტანდარტებს. ანაზღაურების პოლიტიკის

შესაბამისად ჩამოყალიბებული პრინციპები და სტრუქტურა მხარს უჭერს მმართველობას და რისკების მართვას, რისკზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, რაც ზრდის ეფექტურობას, აძლიერებს ბანკის საოპერაციო და რისკების კულტურას და შეესაბამება ბიზნესისა და რისკების სტრატეგიას, მიზნებს, ღირებულებებსა და ბანკის გრძელვადიან ინტერესებს. დეტალური ინფორმაცია მატერიალური რისკის ამდებ პირთა ანაზღაურების სისტემის შესახებ მოცემულია ანგარიშგების 4.6.3 ქვეთავში.

## 5.2 პერსონალი, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ბანკის რისკის პროფილზე

ბანკს განსაზღვრული აქვს მატერიალური რისკის ამდებ პირთა სია, რომლის განსაზღვრისას სამეთვალყურეო საბჭომ და ანაზღაურების კომიტეტმა იხელმძღვანელა როგორც მოქმედი კანონმდებლობის, ისე ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნებისა და არსებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მატერიალური რისკის ამდებ პირებს მიეკუთვნებიან ბანკის დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, ასევე კონტროლის ფუნქციის ხელმძღვანელი პირები და იმ ბიზნეს ერთეულების ხელმძღვანელი პირები, რომელთაც გააჩნიათ მენეჯერული უფლებამოსილება და რომელთა საქმიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბანკის რისკის პროფილზე ბანკის მასტაბისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით.

დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და ბანკის სხვა მატერიალური რისკის ამდებ პირთა ანაზღაურების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ცხრილი 15.

## 6 რისკის მართვა


რისკი დამახასიათებელია საბანკო საქმიანობისთვის, თუმცა რისკის მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასების და მონიტორინგის უწყვეტი პროცესის მეშვეობით, რისკის ლიმიტების და კონტროლის სხვა მექანიზმების გამოყენებით. რისკის მართვის პროცესი უმნიშვნელოვანესია ბანკის უწყვეტი მომგებიანობისთვის და ბანკის თითოეული პირი ანგარიშვალდებულია რისკის პოზიციებზე მის მიერ აღებულ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით. ბანკი დგას საკრედიტო რისკის, ლიკვიდობის რისკის, საბაზრო რისკის, საოპერაციო რისკის და სხვა არაფინანსური რისკების წინაშე. ბანკის მიერ მიღებული რისკის მართვის სტრუქტურა ადგენს დასაშვებ რისკების ლიმიტების ფარგლებს თითოეულ რისკთან და ბიზნეს ხაზთან მიმართებაში და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას.

### 6.1 რისკის მართვის ჩარჩო

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა ბანკის რისკის მართვის ჩარჩოს შექმნასა და ზედამხედველობაზე.

ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს ბანკის რისკების დადგენასა და ანალიზს, შესაბამისი რისკის ლიმიტების და კონტროლის მექანიზმების განსაზღვრის და რისკების მონიტორინგის და ლიმიტების დაცვის მიზნით. რეგულარულად ხდება რისკის მართვის პოლიტიკის და სისტემების გადახედვა ბაზრის პირობების, პროდუქტების და შეთავაზებული მომსახურებების ცვლილებების ასახვის მიზნით. ბანკს, მართვის სტანდარტების, პროცედურების და ტრენინგების მეშვეობით, აქვს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის საშუალებები, სადაც ყველა თანამშრომელმა იცის თავისი ფუნქციები და ვალდებულებები.

რისკის მართვაზე ანგარიშვალდებული პირების პასუხისმგებლობა ითვალისწინებს ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ RAS-თან. შესაბამისობა უზრუნველყოფილია RAS პარამეტრების უწყვეტი მონიტორინგით. დირექტორთა საბჭოს აქტიური ჩართულობით, რისკის მართვის ფუნქციები უზრუნველყოფს სათანადო კომუნიკაციას და გამჭვირვალობას ყველა დონეზე, რისკის მიზნობრივ მაჩვენებლებთან, რისკის პროფილის უწყვეტ მონიტორინგთან რისკის დასაშვებ დონესთან მიმართებით, რისკთან დაკავშირებული გაფრთხილებების დროულ ესკალაციასთან და შემარბილებელი ზომების დაგეგმვასთან დაკავშირებით.



ბანკის რისკის მართვის ჩარჩო მოიცავს შემდეგ ოთხ კომპონენტს:

- 1. რისკის მართვის პრინციპები** ითვალისწინებს რისკის მართვის სტრუქტურის რაოდენობრივ საფუძველს, ესენია:
  - რისკების მართვის ეფექტური კულტურის ხელშეწყობა;
  - რისკზე ანგარიშვალდებულება ბიზნეს ხაზების მიხედვით;
  - რისკების დამოუკიდებელი ცენტრალური ზედამხედველობა;
  - გადაჭარბებული კონცენტრაციების თავიდან აცილება და/ან შემცირება;
  - რისკების მკაფიოდ გამოვლენადობის, შეფასებადობის და მართვადობის უზრუნველყოფა
- 2. სტრატეგიული პრინციპები** ითვალისწინებს ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომლითაც იხელმძღვანელებს ბანკი საზედამხედველო ფინანსური მიზნების მიღწევისას და რომლითაც იზომება ახალ ინიციატივებსა და ბანკის მიერ რისკის დასაშვებ დონეს შორის შეთანხმების ხარისხი. სტრატეგიული პრინციპები მოიცავს შემდეგს:
  - ყურადღების გამახვილება მოგების მრავალფეროვნებაზე, ხარისხსა და სტაბილურობაზე
  - ორიენტირება პირითად საქმიანობაზე ბანკის კონკურენტუნარიანი უპირატესობების ეფექტური გამოყენებით
  - დისციპლინირებული და შერჩევითი სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელება;
- 3. საზედამხედველო ფინანსური მიზნები** ორიენტირებულია აქციონერთა ღირებულების და ბანკის საქმიანობის ფრენჩაიზინგის მდგრადობის გრძელვადიან პერსპექტივებზე. აღნიშნული მიზნები ორიენტირებულია კაპიტალის შიდა გენერირებაზე მოგების მდგრადი ზრდის საფუძველზე, რომელიც ხელს უწყობს ბანკის წვდომას კაპიტალზე სათანადო კომერციული პირობებით, და ადეკვატური კაპიტალის შენარჩუნებაზე ბანკის რისკის პროფილთან მიმართებაში.
- 4. რისკის დასაშვები დონის შეფასებები** ითვალისწინებს ობიექტურ მაჩვენებლებს, რომელიც ზომავს რისკს და ახდენს ბანკის მისაღები რისკის დონის ფორმულირებას. ასეთი მაჩვენებლები უზრუნველყოფს კავშირს რისკის მიღების ფაქტობრივ ოპერაციებსა და რისკის მართვის პრინციპებს, სტრატეგიულ პრინციპებს და საზედამხედველო ფინანსურ მოთხოვნებს შორის. აღნიშნული

მაჩვენებლები მოიცავს კაპიტალის და მომგებიანობის კოეფიციენტებს, საბაზრო და ლიკვიდობის რისკის ლიმიტებს და საკრედიტო და საოპერაციო რისკის მიზნებსა და ლიმიტებს.


სამეთვალყურეო საბჭო ერთპიროვნულად პასუხისმგებელია რისკების დადგენას და კონტროლზე; თუმცა, არსებობს ცალკე დამოუკიდებელი ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან რისკების მართვასა და მონიტორინგზე. ბანკის ძირითადი რისკებს მართავს ქვემოთ მითითებული კომიტეტები და ერთეულები, დირექტორთა საბჭოს აქტიური ჩართულობით:

- საკრედიტო რისკს მართავს საკრედიტო რისკის კომიტეტი
- ლიკვიდობის რისკს მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (“ALCO”)
- საბაზრო რისკს მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი
- საოპერაციო რისკს მართავს საოპერაციო რისკის მართვის კომიტეტი
- ინფორმაციის უსაფრთხოების და ტექნოლოგიურ რისკებს მართავს ინფორმაციის უსაფრთხოების კომიტეტი

ბიზნეს ხაზები წარმოადგენენ იმ რისკებზე მთავარ პასუხისმგებელ ერთეულებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ყოველდღიურ საქმიანობებზე და ოპერაციებზე. ბიზნეს პროცესები მოიცავს შესაბამისი რისკის ერთეულის წარმომადგენლების მიერ შესრულებული საქმიანობების კონტროლს. რისკის მართვის ფუნქციების მქონე ერთეულები, რომლებიც დამოუკიდებელი არიან ძირითადი საქმიანობებისგან, მონაწილეობენ რისკების მართვასა და შიდა კონტროლში. ისინი წარმოადგენენ კონტროლის და დაცვის მეორე ხაზს, დაცვის პირველი ხაზი უზრუნველყოფილია ბიზნეს ფუნქციების მქონე ერთეულებით. ქვემოთ ჩამოთვლილი დეპარტამენტები/განყოფილებები პასუხისმგებელი არიან საკრედიტო, ლიკვიდობის, საბაზრო, საოპერაციო და სხვა ფინანსური და არაფინანსური რისკების ყოველდღიურ მართვაზე:

- ორგანიზაციული რისკების მართვა (ERM);
- აქტივ-ვალდებულებების მართვა (ALM) და ბიუჯეტირება
- ხაზინა;
- საკრედიტო რისკების მართვა;
- კრედიტების ადმინისტრაცია;
- საოპერაციო რისკების მართვა (ORM);
- საინფორმაციო უსაფრთხოება;
- უსაფრთხოება;
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა;
- კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს რისკის მართვის დაცვის სამ ხაზს:



### 6.1.1 საკრედიტო რისკის კომიტეტი

საკრედიტო რისკის კომიტეტს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის დონეზე ყველა ტიპის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით საკრედიტო რისკების მართვაზე. კომიტეტი ასრულებს მთავარ როლს ბანკის პორტფელში შესაძლო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების იდენტიფიკაციაში და აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება შეთავაზებულ საკრედიტო რისკთან დაკავშირებული გარიგებების დამტკიცების ან უარყოფის შესახებ. საკრედიტო რისკის კომიტეტმა შეიმუშავა საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც შეესაბამება ბანკის მოქმედ რისკის პროფილს და მომავალი ზრდის გეგმებს. საკრედიტო რისკის დეპარტამენტები და ერთეულები უზრუნველყოფენ საკრედიტო რისკის კომიტეტისთვის ინფორმაციის მიწოდებას. არსებითი საკრედიტო რისკის გარემოს უზრუნველყოფის მიზნით დაინერგა ყოვლისმომცველი კონტროლის და მონიტორინგის სისტემები, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული საკრედიტო რისკის მართვაში ჩართული პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

საკრედიტო რისკის კომიტეტის მთავარი პასუხისმგებლობებია:

- რისკის მართვის სტრუქტურის და პოლიტიკის გადახედვა და დამტკიცება;
- საკრედიტო რისკების დამტკიცება დადგენილი ლიმიტების ფარგლებში;
- საბალანსო და ბალანსგარეშე საკრედიტო და კონცენტრაციის რისკების მართვა და ზედამხედველობა;
- საკრედიტო ლიმიტების განსაზღვრა კლიენტის კატეგორიის და ოპერაციის ტიპის მიხედვით;
- საკრედიტო რისკთან დაკავშირებული შესაძლო ზარალის წინასწარ დადგენა;
- კრედიტების სათანადო ადმინისტრაციის, შეფასების და მონიტორინგის პროცესის წარმოება ყველა ბიზნეს ხაზზე.

### 6.1.2 აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია კაპიტალის, ლიკვიდობის, საპროცენტო და დაფინანსების რისკების მართვა. კომიტეტის თავმჯდომარე არის გენერალური დირექტორი. აქტივ-ვალდებულებების მართვისა და ბიუჯეტირების განყოფილება ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად წარმოადგენს რელევანტურ ანალიტიკურ მონაცემებს. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად ან ნებისმიერ დროს, როდესაც საჭიროდ ჩაითვლება.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის ძირითადი მიზნებია:


<b>კაპიტალის რისკი</b>	<ul style="list-style-type: none"><li>• სეზონის მიხედვით კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და კაპიტალის პროგნოზის ანალიზი;</li><li>• ეკონომიკური კაპიტალის მართვა და ძირითადი ცვლილებების ანალიზი;</li><li>• ადრეული გამაფრთხილებელი ინდიკატორების მონიტორინგი და კაპიტალის კვარტალური სტრეს-ტესტი;</li></ul>
<b>ლიკვიდობის რისკი</b>	<ul style="list-style-type: none"><li>• დაფინანსების გეგმის შემუშავება ბანკის საინვესტიციო შესაძლებლობების გათვალისწინებით ჭარბი ლიკვიდური სახსრების თავიდან ასაცილებლად;</li><li>• ადრეული გამაფრთხილებელი ინდიკატორების მონიტორინგი ყოველთვიური ლიკვიდობის სტრეს-ტესტებთან ერთად და შესაბამისი ქმედებები შედეგების;</li><li>• ლიკვიდობის რისკის მიტიგაციის ინსტრუმენტების და აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის პოზიციის მართვა;</li></ul>
<b>საბაზრო რისკი</b>	<ul style="list-style-type: none"><li>• საპროცენტო რისკის მართვა</li><li>• FX პოზიციის მართვა;</li></ul>
<b>ფასდადება</b>	<ul style="list-style-type: none"><li>• მინიმალური საპროცენტო განაკვეთის დაწესება სესხებისა და გარანტიებისთვის;</li><li>• ფასდადებასთან მიმართებაში გაცემული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კონტროლი;</li></ul>

დამატებით, კომიტეტი აწესებს ლიმიტს ბანკთაშორისი კონტრაგენტის რისკისთვის. კომიტეტი თავისი ძირითადი პასუხისმგებლობების შესრულებით, უზრუნველყოფს შესაბამისი აქტივების და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას. აღნიშნული პოლიტიკა არის მთავარი სახელმძღვანელო ბანკის საბალანსო ანგარიშგებასთან და მის მაჩვენებლებთან დაკავშირებით სრული მონიტორინგის და ღრმა ანალიზის შესრულებისთვის.

### 6.1.3 ორგანიზაციული რისკების მართვა

ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილების მიზანია საფრთხეებისა და შესაძლებლობების საუკეთესო დაბალანსებისთვის რისკის მისაღები დონის შენარჩუნება - რისკის დასაშვები დონისა და საბჭოსა და აღმასრულებელი დირექტორების ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად. ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილება დაინტერესებულია ორგანიზაციის განვითარებასთან ერთად უზრუნველყოს დასახული მიზნების მიღწევა და ორგანიზაციის აქტივების შესაფერისი მართვა, არასასურველი მოვლენების შედეგად დანაკარგების თავიდან არიდების ჩათვლით და ორგანიზაციული რისკების მართვა შიდა და გარე პრუდენციულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფით. ეს მოიცავს ორგანიზაციის ყველა დონეზე არსებულ საკითხებს. მმართველობაში ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილების როლი ილუსტრირებულია 6.1.3.1 ცხრილში:

#### ცხრილი 6.1.3.1 მმართველობასა და ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილების კავშირი



ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილება ხელს უწყობს რისკებთან დაკავშირებული საქმიანობების მართვას, როგორებიცაა რისკების თავმოყრა და ანალიზი, რისკების ანგარიშგება, და მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული კონკრეტული ტიპის რისკში. განყოფილების ძირითადი ფუნქციები მოიცავს:

- ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ ლიმიტებთან შესაბამისობის კონტროლი;
- ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩოს ცვლილების პროცესში ჩართულობა, ახალი რეგულაციების ბანკზე მოსალოდნელი ეფექტების შეფასების პროცესის მართვა და ეროვნულ ბანკთან კომუნიკაცია;
- კაპიტალის ადეკვატურობის კონტროლი, მართვა და ოპტიმიზაცია;
- ლიკვიდობისა და დაფინანსების მართვა, მონიტორინგი და ოპტიმიზაცია ALM-ისა და ბიუჯეტირების განყოფილებასთან ერთად;
- საპროცენტო რისკის მართვა და სტრატეგიული დაგეგმვა;
- კონტრაგენტებთან დაკავშირებული რისკის პოზიციების მართვა;
- FX რისკის მონიტორინგი, მართვა და სტრატეგიული დაგეგმვა;
- სხვა ფინანსური რისკების მონიტორინგი, მართვა და სტრატეგიული დაგეგმვა;
- დაფინანსების, ლიკვიდობის, კაპიტალის და სხვა ფინანსური რისკების ბიუჯეტირების პროცესში აქტიური ჩართულობა;
- ბანკის ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკის და კონტროლის პროცედურების შემუშავების და მონიტორინგის პროცესის მართვა;
- ფასდადებისა და სხვა ფინანსური მოდელების მონიტორინგის პროცესის მართვა ფინანსური რისკების მართვის და შეფასების მიზნით;
- რისკის აპეტიტის დოკუმენტით დაწესებულ ლიმიტებთან ბანკის შესაბამისობის მონიტორინგი და რისკის აპეტიტის დოკუმენტის პერიოდული განახლების მეთვალყურეობა, საჭიროებიდან გამომდინარე;

- ICAAP, ILAAP და გაჯანსაღების გეგმის დოკუმენტის მომზადების პროცესის მართვა;
- სტრეს-ტესტების სცენარების მომზადებისა და ანალიზის პროცესის მართვა, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული სტრეს ტესტების პროცესის მართვა;

## 6.2 დოკუმენტი რისკის დასაშვები დონის შესახებ

### 6.2.1 რისკის დასაშვები დონე

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია შექმნას რისკის მართვის სტრუქტურა და განსაზღვროს ბანკის რისკის დასაშვები დონე. ბანკის რისკის დასაშვები დონე განსაზღვრულია დოკუმენტში რისკის დასაშვები დონის შესახებ (“RAS”). რისკის დასაშვები დონე განისაზღვრება, იმ რისკის ტიპების და დონის სახით, რომლის მიღებისთვის ბანკი მზად არის თავისი აქციონერების და მეანაბრების სახელით მის სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ტრანზაქციულ ბიზნეს ოპერაციებში. რისკის დასაშვები დონე გამოხატულია, როგორც კონკრეტული, რაოდენობრივი ფარგლების პაკეტი სხვადასხვა სარისკო საქმიანობებზე, რომელთაგანაც შესაბამისობაში უნდა იყოს ბანკი.

რისკის მიღების შესაძლებლობა წარმოადგენს ბანკის საერთო შესაძლებლობას მიიღოს პოტენციური ზარალი. რისკის პროფილი არის ბანკის რისკის პორტფელის მოკლე ასახვა დროის კონკრეტულ ეტაპზე (წარსული, აწმყო ან მომავალი). რისკის დასაშვები დონე არ არის ბანკის მიერ რისკის მიღების შესაძლებლობა (და უნდა იყოს მასზე ნაკლები) და ასევე შესაძლოა განსხვავდებოდეს ბანკის რისკის პროფილისგან. რისკის პროფილი ზოგადად დაბალი უნდა იყოს რისკის დასაშვებ დონეზე. რისკის პროფილი შეიძლება მაღალი იყოს რისკის დასაშვებ დონეზე გამონაკლის შემთხვევებში (მაგალითად, ბანკის რისკის დასაშვები დონის გამოხატული ცვლილების და გარე იმპულსების გამო) დროის შეზღუდულ და მოკლე პერიოდებში.

რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტში აღწერილია ბანკის მიდგომები შემდეგ რისკებთან მიმართებაში:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდობის და კაპიტალის რისკი
- საბაზრო რისკი
- საოპერაციო რისკი
- სხვა მნიშვნელოვანი რისკები

ბანკის რისკის დასაშვები დონის ზომები განსაზღვრულია ბანკის სტრატეგიული მიზნების მიღწევის და გაუმჯობესებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის მიზნით:

- კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველყოფა ნებისმიერ დროს;
- ლიკვიდობის და დაფინანსების რისკის სათანადო მართვის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს: LCR და ლიკვიდობის კოეფიციენტის შენარჩუნებას საზედამხედველო მოთხოვნილ მინიმუმზე ზემოთ. სტრეს-ტესტების ჩაბარებას (საბაზო, რბილი და მძიმე შემთხვევები) და სათანადოდ დივერსიფიცირებული დაფინანსების სტრუქტურის მიღწევასა და შენარჩუნებას;
- წინასწარი შეფასება მითითებულ რისკის დასაშვებ დონესთან დაკავშირებით უნდა წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს მნიშვნელოვანი ახალი პროექტების / ინვესტიციების,

ახალი პროდუქტების თვალსაზრისით, და ბაზრის ახალ სეგმენტში ან ბიზნეს ხაზებში შესვლისთვის;

- მდგრადი ეკონომიკური სარგებელის შესაბამისობის შენარჩუნება არსებულ მოვალეობებთან.

დირექტორთა საბჭო ყოველწლიურად, ან მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში უფრო ხშირად, განიხილავს და ამტკიცებს ბანკის რისკის დასაშვებ დონეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი შეესაბამება ბანკის სტრატეგიას, ბიზნეს და საზედამხედველო გარემოს და დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნებს.

ბანკის რისკის დასაშვებ დონესთან დაკავშირებული დოკუმენტები რეგულარულად წარედგინება დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტს.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკის რისკის პროფილი აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ რისკის დასაშვებ დონეს, უნდა არსებობდეს ზომების კონკრეტული პაკეტი დირექტორთა საბჭოს დავალებებთან ერთად, რომელშიც შედის აღნიშნული ზომების განხორციელება ბანკის რისკის პროფილის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რისკის დასაშვებ დონესთან დროის განსაზღვრულ პერიოდში.

დირექტორთა საბჭო და ყველა განყოფილების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია შეასრულოს და დაიცვას რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტი.

### **6.2.2 მონიტორინგი, ანგარიშგება და გადახედვა**

სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა ბანკის საერთო რისკის პროფილის მართვაზე. საკრედიტო რისკის კომიტეტი, ALCO, ინფორმაციის უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების მართვის დეპარტამენტები და ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილება პასუხისმგებელი არიან რისკების მონიტორინგზე და რისკის დასაშვები დონის შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილებას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა RAS პარამეტრების და ლიმიტების უწყვეტ მონიტორინგზე და RAS შესრულების შესახებ ანგარიშგებაზე სამეთვალყურეო საბჭოსთვის ყოველკვარტალურად.

რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტი გადაიხედება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, ან ბანკის საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილების დროს, რა შემთხვევაშიც გადახედვის პროცესს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭოს შეუძლია მიუთითოს სამეთვალყურეო საბჭოს, რომ RAS საჭიროებს გადახედვას, თუმცა სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას როდის დაიწყოს აღნიშნული პროცესი.

გადახედვის კოორდინაციას ახორციელებს ორგანიზაციული რისკის მართვის განყოფილება. რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტში შეთავაზებული ცვლილებები დასტურდება დირექტორთა საბჭოს მიერ და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

## 6.3 რისკის ტიპები

ბანკი თავისი საქმიანობის ფარგლებში სხვადასხვა რისკის წინაშე დგას, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მითითებულია ქვემოთ. რეგულაციები მოიცავს საკრედიტო რისკს, საბაზრო რისკს, საოპერაციო რისკს, ლიკვიდობისა და კაპიტალის რისკს.

### 6.3.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი მხარის მიერ შეთანხმებული პირობების შესაბამისად ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკი. როგორც წესი, აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენენ ბანკის ტრადიციული არასავაჭრო საკრედიტო საქმიანობის, კონკრეტულად სესხების, შემადგენელ ნაწილს.

ბანკს აქვს საკრედიტო რისკის სხვადასხვა კატეგორია:

- დეფოლტის რისკი - არის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სასესხო ვალდებულების გადახდას.
- ქვეყნის რისკი - ქვეყნის კრედიტუნარიანობის მოულოდნელი გაუარესების ან დეფოლტის რისკი, რომელიც გამოწვეულია სოციალური არეულობით, პოლიტიკური არასტაბილურობით, ომით ან სხვა არახელსაყრელი მოვლენებით ქვეყანაში.
- კონცენტრაციის რისკი - ერთი აქტივის ან აქტივების ჯგუფის დიდი პოზიციის დაკარგვის რისკი. ეს რისკი წარმოიქმნება, როცა პორტფელი სექტორის და მსესხებელთა ჯგუფის თვალსაზრისით ნაკლებადაა დივერსიფიცირებული.

### 6.3.2 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური ბაზრის შედეგებზე. საბაზრო რისკის ძირითადი ტიპები მოიცავს საპროცენტო განაკვეთისა და გაცვლითი კურსის რისკს და მათი ცვალებადობის დონეს. საბაზრო რისკი ძირითადად წარმოიქმნება სავაჭრო საქმიანობებიდან. იგი მოიცავს აქციების გადაფასებასთან დაკავშირებულ ზარალის რისკს, ასევე საპროცენტო განაკვეთებისა და გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეულ ზარალს, რაზეც ბაზრის ცვალებადობა ახდენს გავლენას.

### 6.3.3 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი შეიძლება წარმოიშვას შიდა პროცესების, სისტემების ან ადამიანების, გარეშე განზრახული, შემთხვევითი ან ბუნებრივი მოვლენების არაადეკვატურობის ან დარღვევის შედეგად. გარეშე მოვლენები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, თაღლითობას, წყალდიდობას, ხანძარს, მიწისძვრას და ტერორისტის ან ჰაკერის შეჭრას. საკრედიტო ან საბაზრო შემთხვევები, როგორებიცაა დეფოლტი ან ღირებულების რყევები, რომლებიც შედის საოპერაციო რისკის ფარგლებში. კანონმდებლობასთან შეუსაბამობის რისკი შედის საოპერაციო რისკში. კანონმდებლობასთან შეუსაბამობის რისკი არის პოტენციური იმისა, რომ ბანკმა შესაძლოა მიიღოს საზედამხედველო სანქციები, ფინანსური ზარალი და/ან ზიანი მიადგეს მის რეპუტაციას, ბანკის მიერ მოქმედი კანონმდებლობის, წესების და რეგულაციების შეუსრულებლობის გამო. საოპერაციო რისკი არ მოიცავს რეპუტაციის დაკარგვის რისკს.

### 6.3.4 ლიკვიდობისა და კაპიტალის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის ფინანსური რისკი, რომელიც წარმოიქმნება ბანკის მიერ ვალდებულებების დროული გადახდის პოტენციური უუნარობის, ან ამ ვალდებულებების შესრულებისას ზედმეტი ხარჯის გაწევის შედეგად. ბანკი ლიკვიდობის რისკს ორ ტიპად ყოფს:

*საბაზრო ლიკვიდობა* - საბაზრო ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ბანკს არ შეეძლება აქტივის ყიდვა ან გაყიდვა ფასების მატერიალურად შეცვლისა და ტრანზაქციის დიდი ხარჯების გაწევის გარეშე.

*დაფინანსების ლიკვიდობა* - დაფინანსების ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება, როცა ბანკს არ შეუძლია ვალდებულებების გადახდა მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ან ბანკს არ შეუძლია დეპოზიტების გატანის მსურველი მომხმარებლების დაკმაყოფილება.

კაპიტალის რისკი წარმოიქმნება რისკის პოზიციების მხარდასაჭერად კაპიტალის არაადეკვატურობით, რომელიც გამოწვეულია ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობებით, დივიდენდების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობით, ინვესტირების რისკის დასაშვები დონის ან კრედიტ რეიტინგის გაუარესების გამო დაფინანსების ხარჯების ზრდით და ნორმალურ სამუშაო გარემოში საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობით.

### 6.3.5 მაკროეკონომიკური რისკი

მაკროეკონომიკური სიტუაცია გავლენას ახდენს ბანკის მომგებიანობაზე, პორტფელის ხარისხსა და ზრდის ტემპზე. მთავარი ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ ახდენს გავლენას საქართველოს საბანკო სექტორზე არის:

- მშპ-ს ზრდის ტემპი
- უმუშევრობის დონე
- გაცვლითი კურსი
- ინფლაცია
- რეალური საპროცენტო განაკვეთი
- ბიზნესის და მომხმარებლის მოლოდინები
- ფისკალური და მიმდინარე ანგარიშების დისბალანსი
- პოლიტიკური ციკლი

ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია მეზობელი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე. ამ ფაქტორებს შეუძლია გავლენა მოახდინოს ექსპორტზე, ტურიზმზე, ფულის გადარიცხვებსა და უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებზე.

## 6.4 სტრეს ტესტები

დინამიური რისკის ზედამხედველობის და მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ბანკმა შეიმუშავა სტრეს ტესტირების სტრუქტურა, რომელიც აღწერილია ქვემოთ.

### 6.4.1 სტრეს ტესტების სტრუქტურა

ბანკი სტრეს ტესტებს იყენებს სხვადასხვა უარყოფით სცენარებში ფინანსური მოთხოვნების დასაგეგმად. სტრეს ტესტები მოიცავს ყველა არსებით რისკს და შესაძლებლობას აძლევს ბანკს

შეაფასოს არახელსაყრელი ეკონომიკური ტენდენციების ეფექტი სხვადასხვა ტიპის რისკებზე. სტრეს ტესტები ქმნის რისკის მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილს. ბანკი იყენებს სცენარზე დაფუძნებულ მიდგომას ეკონომიკაში უარყოფითი მოვლენების ზემოქმედების შესაფასებლად. სტრეს ტესტები ტარდება ორგანიზაციის დონეზე.

ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილება პასუხისმგებელია სტრეს-სცენარების მეთოდოლოგიის შემუშავებაზე და შესაბამისი პარამეტრების განსაზღვრაზე, მონაცემების შედეგებად გარდაქმნის მიზნით. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი, როგორც საბოლოო მომხმარებელი, ამოწმებს სტრეს ტესტების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებებს გამოსასწორებელი ზომების განხორციელების შესახებ.

#### 6.4.2 სტრეს ტესტების მეთოდოლოგიის და სცენარების განსაზღვრა

სტრეს ტესტების მეთოდოლოგია მოიცავს ოთხ ეტაპს. პირველი ეტაპია შიდა სტრეს-ტესტის სცენარების განსაზღვრა და მომზადება. თითოეული სცენარი მოიცავს მაკროეკონომიკურ ცვლადებს. ბანკს აქვს საბაზო სცენარი, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ტენდენციების პროგნოზს ჩვეულებრივი მოსალოდნელი ეკონომიკური მდგომარეობის დროს და რეცესიული სცენარი, რომელიც წარმოადგენს დარტყმებს ეკონომიკაზე, რომლებიც მოულოდნელი, მაგრამ შესაძლებელია. აღნიშნული სცენარები ასახავს მიმდინარე, ასევე პროგნოზირებულ ეკონომიკურ პირობებს და შესაბამისად კორექტირდება დირექტორთა საბჭოს მიერ. მეორე ეტაპი არის სცენარების ზემოქმედების განსაზღვრა სხვადასხვა ტიპის რისკებსა და კაპიტალზე. სტრეს-ტესტის სცენარების ეფექტის რისკებზე, შემოსავლის და ხარჯის სტრუქტურაზე საჩვენებლად ბანკი გამოთვლის კაპიტალის მოთხოვნის კოეფიციენტებს თითოეულ სცენარში. საბოლოოდ შედეგებს აფასებს დირექტორთა საბჭო თანმიმდევრობის და სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით. მონაცემები შემდეგ წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

ორგანიზაციის დონეზე სტრეს-ტესტირების გარდა, ბანკი იყენებს სხვადასხვა სპეციალურ სცენარებს, რომლებიც დირექტორთა საბჭოს აწვდის ინფორმაციას ბანკზე ზემოქმედებების მქონე კონკრეტული სახის მოვლენების შესახებ.

#### 6.5 აღდგენის გეგმა

ბანკი აღდგენს აღდგენის გეგმას (Recovery Plan), რომელიც ითვალისწინებს შესაძლო აღდგენის გზებს იმ შემთხვევაში, თუ ბანკი აღმოჩნდება პრობლემურ სიტუაციაში. აღდგენის გეგმა წარმოადგენს რისკის მართვის დამატებით ინსტრუმენტს და მისი მიზანია აღდგენის პერიოდის შემოკლება და კრიზისის შემთხვევაში ზარალის მინიმუმამდე დაყვანა. ბანკის საერთო რისკის პროფილის და ბანკისთვის დამახასიათებელი რისკების საფუძველზე, გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ გამომწვევ ფაქტორებს, რომლის შესაბამისადაც დირექტორთა საბჭომ უნდა აამოქმედოს აღდგენის გეგმა.

აღდგენის გეგმაში აღწერილია და განსაზღვრულია მოვლენები, რომლებმაც შესაძლოა გამოწვიოს აღდგენის გეგმის ამოქმედება. იმ კრიტიკული მოცულობების გათვალისწინების მიზნით, რომლებიც იწვევს აღდგენის გეგმის აქტივაციას, ჩატარდა საბაზო პროგნოზირებული (ბიუჯეტში გათვალისწინებული) სცენარის ანალიზი. ვინაიდან წინასწარ არ არის ცნობილი მოვლენის ზუსტი ბუნება, რომელიც გამოიწვევს ზეწოლას ბანკზე, გეგმა სტრესული მოვლენების სიმწვავის საპასუხოდ უნდა იყოს მოქნილი და ითვალისწინებდეს შესაძლო გამოსავლების ჩამონათვალს, რომლებიც

შესაძლოა გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ. გეგმაში აღწერილია შესაბამისი მიტიგაციის ფაქტორები/ქმედებები და არსებულ ზეწოლებზე მათი გამოყენების ეფექტები.

გაჯანსაღების გეგმის ინდიკატორებს ყოველთვიურად აკონტროლებს ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილება. ნებისმიერი პოტენციური გამოწვევა მოვლენა ეგზავნება დირექტორთა საბჭოს და განიხილება შეხვედრაზე. ამოქმედების შემთხვევაში აღდგენის გეგმის სტრატეგია განხორციელდება დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობით.

## 7 კაპიტალის მართვა და კაპიტალის ადეკვატურობა

### 7.1 კაპიტალის მოთხოვნები

2014 წლის 30 ივნისიდან, ბანკი ვალდებულია დააკმაყოფილოს კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრულია სებ-ის პრეზიდენტის 2013 წლის 23 ოქტომბრით დათარიღებულ #100/04 ბრძანებაში - „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ („პილარ 1-ის რეგულაცია“).

საკრედიტო ინსტიტუტის კაპიტალის ადეკვატურობის ძირითადი მაჩვენებლები, მარეგულირებლის თვალსაზრისით, არის საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები, რომლებიც გამოითვლება საზედამხედველო კაპიტალის შეფარდებით რისკის მიხედვით შეწონილ პოზიციებთან (“RWE”). პილარ 1-ის რეგულაციის შესაბამისად, სებ-ი მოითხოვს რომ ბანკებმა შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 8.0%, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი - რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 6.0% და ძირითადი პირველადი კაპიტალი - რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 4.5%, რომელიც გამოთვლილი და ნაჩვენებია უნდა იყოს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში. სავალდებულო მოთხოვნების გარდა ყველა ბანკს მოეთხოვება დამატებით დაიცვან კონსერვაციის, კონტრცეპტურობისა და სისტემური რისკის ბუფერები იმისთვის, რომ უზრუნველყოს ნორმალურ პირობებში კაპიტალის საკმარისი ოდენობის დაგროვება, კრიზისულ პერიოდთან გასამკლავებლად.

დაწესებული პილარ 1-ის მინიმალური მოთხოვნების შესრულებასთან ერთად, კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცვას კაპიტალის დამატებითი ბუფერის მოთხოვნები იმ რისკებისთვის, რომელსაც არ მოიცავს პილარ 1. საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესში გამოვლენილი რისკებზე საპასუხოდ ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს უწესებს მოთხოვნას კაპიტალის დამატებით ბუფერებზე. აღნიშნული დამატებითი ბუფერის განსაზღვრა რეგულირდება "პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესით". პილარ 2-ის მოთხოვნები განისაზღვრება ინდივიდუალურად ბანკების მიხედვით და მოიცავს შემდეგ ბუფერებს:

- არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (CICR) - სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი არსებული 75% რისკის წონის მოთხოვნის ნაცვლად სესხების დოლარიზაციის მიხედვით განისაზღვრება. აღნიშნული ცვლილება ძალაში 2022 წლის 1 იანვრიდან შევიდა.
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი (HHI), რომელიც შედგება სახელობითი კონცენტრაციისა და სექტორული კონცენტრაციის ბუფერებისგან;
- წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი – საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით დაწესებული ბუფერი;
- საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერი (CRA), რომლის დაწესება დაკავშირებულია ადგილობრივი აღრიცხვის სტანდარტებიდან ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლასთან. CRA ბუფერის მიზანია აქტივებისათვის შექმნილი არასაკმარისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით გამოწვეული საკრედიტო რისკის შემცირება და კაპიტალის ადეკვატური ბუფერის განსაზღვრა.
- წმინდა GRAPE ბუფერი – ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის რისკის კატეგორიების შეფასებისა და ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის (GRAPE) შედეგების განხილვის ფარგლებში დაწესებული ბუფერი. წმინდა GRAPE ბუფერის დაწესების მიზანია კაპიტალის ადეკვატური ბუფერის განსაზღვრა GRAPE-ის

ფარგლებში იდენტიფიცირებული იმ რისკებისათვის, რომლებსაც არ მოიცავს ან არასათანადოდ ასახავს ამ წესით განსაზღვრული პილარ 2-ის კაპიტალის ბუფერები.

აღსანიშნავია, პილარ 2-ის კაპიტალის ბუფერები კაპიტალის მოთხოვნების პროპორციულად უნდა იყოს გათვალისწინებული (ძირითადი პირველადი კაპიტალი 4.5%, პირველადი კაპიტალი 6% და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი 8%). შესაბამისად, პილარ 2-ის მიხედვით მოთხოვნილი კაპიტალის 56% ბანკმა უნდა დაიცვას ძირითადი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტებით, 75% კი - პირველადი კაპიტალით. გამონაკლისია მხოლოდ CRA ბუფერი, რომლის დაცვაც სრულად უნდა მოხდეს ძირითადი პირველადი კაპიტალიდან.

როგორც უკვე ვახსენეთ, კომერციულ ბანკებს უწესდებათ კაპიტალის კომბინირებული ბუფერის მოთხოვნა, რომელიც შედგება კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის, კონტრციკლური ბუფერის და სისტემურობის ბუფერისგან.

კოვიდპანდემიის პირობებში 2020 წლიდან ეროვნული ბანკის მიერ კონსერვაციის ბუფერის 2.5% მოთხოვნა იყო შემსუბუქებული, აღნიშნული ბუფერი სრულად აღდგა 2024 წელს.

კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის დაწესების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის №173/04 ბრძანებაში 2023 წელს შევიდა ცვლილება, რის მიხედვითაც კომერციული ბანკები ვალდებული არიან 2024 წლის 15 მარტისთვის დააკმაყოფილონ კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის განაკვეთი 0.25%-ის ოდენობით, 2025 წლის 15 მარტისთვის – 0.5%-ის ოდენობით, 2026 წლის 15 მარტისთვის – 0.75%-ის ოდენობით, 2027 წლის 15 მარტისთვის – 1%-ის ოდენობით. 2025 წელს ლიბერთი ბანკის კონტრციკლურობის ბუფერმა შეადგინა 0.5%.

2025 წლის 31 დეკემბრისთვის სისტემური რისკის ბუფერი 0.5% შეადგენს.

## 7.2 საზედამხედველო კაპიტალი

რეგულაცია ბანკებისგან მოითხოვს საკმარისი კაპიტალის გადადებას მოულოდნელი ზარალის დასაფარად და კრიზისში გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად. ძირითადი პრინციპის მიხედვით, საჭირო კაპიტალის მოცულობა დამოკიდებულია კონკრეტული ბანკის აქტივებთან დაკავშირებული რისკის მოცულობასთან.

მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი მოიცავს პირველად და მეორად კაპიტალს. პირველადი კაპიტალი შედგება ძირითადი პირველადი კაპიტალისა და დამატებითი პირველადი კაპიტალისგან.

პირველადი კაპიტალი წარმოადგენს საკუთარი კაპიტალის უმთავრეს წყაროს, რომელიც ბანკს საშუალებას აძლევს განაგრძოს თავისი საქმიანობა და შეინარჩუნოს გადახდისუნარიანობა. ძირითადი პირველადი კაპიტალი წარმოადგენს პირველადი კაპიტალის უმაღლეს დონეს.

მეორადი კაპიტალი არის საკუთარი კაპიტალის დამატებითი წყარო, რომლის საშუალებითაც ბანკი დაუბრუნებს ინვესტიციებს დეპოზიტორებსა და სუბორდინირებულ კრედიტორებს, გადახდისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს რისკის მიხედვით შეწონილ პოზიციებს კატეგორიებისა და კაპიტალის მოთხოვნების მიხედვით:


**ცხრილი 7.2.1 საზედამხედველო კაპიტალი ბაზელ 3-ის მიხედვით**

'000 ლარი	31 Dec 2025	31 Dec 2024	ცვლილება
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებამდე</b>	<b>728,991</b>	<b>591,117</b>	<b>23%</b>
ჩვეულებრივი აქციები	44,490	44,490	0%
საემისიო კაპიტალი ჩვეულებრივი აქციებზე	36,851	36,851	0%
აკუმულირებული სხვა სრული შემოსავალი	33,571	21,463	56%
გაუნაწილებელი მოგება	614,079	488,312	26%
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალი: საზედამხედველო კორექტირებები</b>	<b>120,997</b>	<b>96,560</b>	<b>25%</b>
აქტივების გადაფასების რეზერვი	33,571	21,463	56%
აკუმულირებული არარეალიზებული გადაფასების მოგება აქტივებზე მოგებასა და ზარალში	0	3,037	-100%
არამატერიალური აქტივები	87,427	71,952	22%
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში/დაკავშირებულ საწარმოებში	0	107	-100%
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალი</b>	<b>607,994</b>	<b>494,557</b>	<b>23%</b>
<b>დამატებითი პირველადი კაპიტალი</b>	<b>15,383</b>	<b>4,565</b>	<b>237%</b>
<b>პირველადი კაპიტალი</b>	<b>623,377</b>	<b>499,122</b>	<b>25%</b>
<b>მეორადი კაპიტალი</b>	<b>119,238</b>	<b>97,922</b>	<b>22%</b>
სუბორდინირებული ვალი	119,238	97,922	22%
<b>საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>742,615</b>	<b>597,044</b>	<b>24%</b>

2025 წელს მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 145 მილიონი ლარით. ძირითადი ცვლილებები გამოიწვია გაუნაწილებელი მოგების გაზრდამ 126 მილიონი ლარით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საზედამხედველო კაპიტალის და რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი აქტივების კვარტალური მონაცემები:

**ცხრილი 7.2.2 საზედამხედველო კაპიტალი ბაზელ 3-ის მიხედვით**



საზედამხედველო კაპიტალის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართის ცხრილი 2 და 3.

### 7.2.1 რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები შეადგენს 4,273 მილიონ ლარს და რისკის ტიპების მიხედვით შემდეგნაირად არის ჩაშლილი: საკრედიტო რისკმა შეადგინა რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 82.5%, საბაზრო რისკმა 0.1%, საოპერაციო რისკმა კი 17.3%.

2025 წელს წინა წელთან შედარებით საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები გაიზარდა 608 მილიონი ლარით, საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები - 92 მილიონი ლარით, ხოლო საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები გაიზარდა 0,381 მილიონი ლარით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს რისკის მიხედვით შეწონილ პოზიციებს კატეგორიებისა და კაპიტალის მოთხოვნების მიხედვით:

#### ცხრილი 7.2.1.1 კაპიტალის მოთხოვნების და რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების (RWE)

##### მინიმალური მოთხოვნები

მილიონი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 Dec 25		31 Dec 24		ცვლილება
	RWE	კაპიტალის მოთხოვნა	RWE	კაპიტალის მოთხოვნა	
<b>საკრედიტო რისკი</b>	<b>3,527.3</b>	<b>593.0</b>	<b>2,919.2</b>	<b>472.0</b>	<b>20.8%</b>
<b>საბალანსო ელემენტები</b>	<b>3,446.4</b>	<b>579.4</b>	<b>2,862.3</b>	<b>462.8</b>	<b>20.4%</b>
ცენტრალური მთავრობა და ცენტრალური ბანკები	116.6	0.0	110.5	17.8	5.5%
კომერციული ბანკები	34.7	5.8	41.6	6.7	-16.6%
საერთაშორისო ორგანიზაციები	5.4	0.9	0.15	0.025	3500.0%
კორპორატიული კლიენტები	950.3	159.8	850.5	137.5	11.7%
საცალო	1,838.9	309.1	1,396.6	225.8	31.7%
საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი პოზიციები	230.6	38.8	241.7	39.0	-4.6%
ვადაგადაცილებული ელემენტები	67.3	11.3	29.7	4.8	126.6%
მაღალი რისკის კატეგორია	6.1	1.0	5.1	0.8	19.6%
სხვა ერთეულები	196.5	33.0	186.0	30.0	5.6%
<b>გარესაბალანსო ელემენტები</b>	<b>80.6</b>	<b>13.5</b>	<b>56.5</b>	<b>9.1</b>	<b>42.7%</b>
<b>კონტრაგენტის საკრედიტო რისკი</b>	<b>0.2</b>	<b>0.03</b>	<b>0.4</b>	<b>0.07</b>	<b>-100.0%</b>
<b>საბაზრო რისკი</b>	<b>6.0</b>	<b>1.0</b>	<b>5.7</b>	<b>0.9</b>	<b>5.3%</b>
<b>საოპერაციო რისკი</b>	<b>739.9</b>	<b>124.4</b>	<b>648.0</b>	<b>104.7</b>	<b>14.2%</b>
<b>სულ</b>	<b>4,273.1</b>	<b>718.4</b>	<b>3,572.8</b>	<b>577.7</b>	<b>19.6%</b>

საკრედიტო რისკში ძირითადი ცვლილებები გამოწვეული იყო სესხების პორტფელის ზრდით.

რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართის მე-4 ცხრილი.

### 7.3 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვა განპირობებულია ბანკის სტრატეგიული და ორგანიზაციული მოთხოვნების შესაბამისად და ითვალისწინებს მარეგულირებელ, ეკონომიკურ და კომერციულ გარემოს. კაპიტალის მართვის მთავარი მიზანია ფუნდამენტური რისკების დასაძლევად კაპიტალის სტაბილური ბაზის შენარჩუნება.

ბანკი ზარალს კატეგორიების მიხედვით განსაზღვრავს. ზოგი ფინანსური დანაკარგი, რომელიც ბანკის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია, ბანკის შემოსავლებით იფარება. თუმცა, გარკვეული შიდა ან გარე ფაქტორებისგან გამოწვეული ზარალი, რომელიც აღემატება შემოსავალს, გადაიფარება კაპიტალიდან.

ბანკის კაპიტალის მართვის მიზნებს წარმოადგენს მუდმივ გადახდისუნარიანობაზე ზრუნვა, კაპიტალის საზედამხედველო და შიდა მოთხოვნების დაკმაყოფილება და დამატებითი კაპიტალის ბუფერის შენარჩუნება ცნობილი (და, ზოგ შემთხვევებში უცნობი) რისკებისგან ბანკის დასაცავად.

#### 7.3.1 კაპიტალის მართვის ორგანიზაცია

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს გადაწყვეტილებებს ცვლილებების შესახებ ბანკის კაპიტალის სტრუქტურაში. სტრატეგია მოიცავს ფუნდამენტურ მიზნებს და საბაზისო პროცედურებს:

მიზნები	პროცედურები
ჩვეულებრივი და სტრესული სიტუაციების შედეგად წარმოქმნილი რისკის გავლენასთან გასამკლავებლად კაპიტალის ადეკვატურობის მართვა	<ul style="list-style-type: none"> <li>საზედამხედველო კაპიტალის დაცვა</li> <li>RAS ლიმიტის ბუფერის შენარჩუნება</li> </ul>
ბიზნესის ზრდის და შესაბამისი რისკების დასაფინანსებლად კაპიტალის ადეკვატური დონის შენარჩუნება.	<ul style="list-style-type: none"> <li>კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთება</li> </ul>
კაპიტალის პოტენციური დეფიციტისთვის სტრატეგიების დადგენა.	<ul style="list-style-type: none"> <li>სტრეს-ტესტების ჩატარება</li> </ul>
კაპიტალის დაგეგმვის, კაპიტალის გაცემის და დივიდენდების განაწილების ღონისძიებების ხელმძღვანელობა.	<ul style="list-style-type: none"> <li>კაპიტალის მართვის მთავარი სტრატეგიების შესაბამისი პროცედურების შემუშავება.</li> </ul>

ბანკი საკუთარ კაპიტალს მართავს კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის საშუალებით.

#### 7.3.2 კაპიტალის ადეკვატურობის დაგეგმვა, მონიტორინგი და ანგარიშგება

კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის ნაწილი ითვალისწინებს კაპიტალის მომავალი მოთხოვნების დაგეგმვას ბანკის ბიზნეს გარემოს, ზრდის და სტრატეგიულ გეგმებთან შესაბამისობით. რისკის პროფილში პოტენციური ძირითადი ცვლილებები და შესაბამისი კაპიტალის მომავალი მოთხოვნები შეფასებულია კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის გამოყენებით. აღნიშნული მონაცემები გამოიყენება სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს მიერ.

კაპიტალის დაგეგმვა შეტანილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, რომელიც ითვალისწინებს რისკის სტრატეგიის და დასაშვები დონის შესაბამისობაში მოყვანას ბანკის კომერციულ მიზნებთან.

კაპიტალის გეგმას შეიმუშავებს დირექტორთა საბჭო და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია კაპიტალის გეგმის და პოზიციის გადახედვასა და მონიტორინგზე. კაპიტალის დაგეგმვა კაპიტალის, რისკის და მოგების პროგნოზის მთავარი ფუნქციაა.

ბანკი რისკის კონტროლისა და მონიტორინგის პროცესის შედეგად აიდენტიფიცირებს რისკებს და განსაზღვრავს შესაბამის ქმედებებს რისკის მართვისთვის. საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები ითვლება ყოველთვიურად და მიეწოდება საქართველოს ეროვნულ ბანკს. ბანკი აკონტროლებს თავისი კაპიტალის ადეკვატურობის პარამეტრებს ყოველთვიურად კაპიტალის ადეკვატურობის დონის შესანარჩუნებლად მიღებული რისკების შესაბამისად. ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღებით ორგანიზაციული რისკების მართვისა განყოფილება აქტივ-პასივების მართვისა და ბიუჯეტირების განყოფილებასთან ერთად უზრუნველყოფს კაპიტალის კონტროლის ყველა პარამეტრის გამოთვლას და დროულად წარდგენას დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია კაპიტალის ადეკვატურობის შემცირება სებ-ის მიერ დადგენილი ზღვრების ან რისკის დასაშვები დონის დოკუმენტის მიერ დადგენილი ზღვრების ქვემოთ, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია შეიმუშაოს სტრატეგია, რომელიც უნდა განახორციელოს დირექტორთა საბჭომ აღნიშნული ტენდენციის კომპენსირებისთვის რისკების შეზღუდვის, შემცირების ან კაპიტალის ბაზის გაძლიერების გზით.

## 7.4 ლევერიჯის კოეფიციენტი

2018 წლის სექტემბერში სებ-მა წარადგინა ლევერიჯის კოეფიციენტი, რომელიც ეფუძნება BIS ბაზელ 3-ის ჩარჩოს. ლევერიჯის კოეფიციენტი მნიშვნელოვანი და შემავსებელია რისკებზე დაფუძნებული კაპიტალის ჩარჩოსთვის. ლევერიჯის კოეფიციენტი მოიცავს ბანკის როგორც ბალანსურ, ასევე გარესაბალანსო ლევერიჯის ელემენტებს. ლევერიჯის კოეფიციენტი გამოითვლება პირველადი კაპიტალის შეფარდებით რისკის პოზიციებთან.

კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ დაიცვან სებ-ის მიერ დაწესებული მინიმალური კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 5%-ს. ბანკის ლევერიჯის კოეფიციენტი ბანკისთვის შეადგენდა 10.2% და 10.3% შესაბამისად 2024 წლის დეკემბერსა და 2025 წლის დეკემბერში.

### ლევერიჯის კოეფიციენტი

მილიონი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 Dec 2025	31 Dec 2024	ცვლილება
<b>საბალანსო ელემენტების რისკის პოზიციები</b>	<b>5,932.0</b>	<b>4,815.1</b>	<b>23.20%</b>
საბალანსო ელემენტები	6,053.0	4,911.6	23.24%
(დაქვითული ელემენტები)	-121.0	-96.5	25.39%
<b>გარესაბალანსო პოზიციები</b>	<b>113.2</b>	<b>92.7</b>	<b>22.11%</b>
გარესაბალანსო ელემენტების ნომინალური ღირებულება	460.4	411.3	11.94%
(გარესაბალანსო ელემენტების საკრედიტო კონვერსიის ფაქტორის ეფექტი)	-347.2	-318.6	8.98%
<b>წარმოებული ინსტრუმენტების რისკის პოზიციები</b>	<b>0.6</b>	<b>0.44</b>	<b>36.36%</b>
<b>სულ ლევერიჯის კოეფიციენტის პოზიციები</b>	<b>6,045.8</b>	<b>4,908.2</b>	<b>23.18%</b>
<b>პირველადი კაპიტალი</b>	<b>623.4</b>	<b>499.1</b>	<b>24.90%</b>
<b>ლევერიჯის კოეფიციენტი</b>	<b>10.3%</b>	<b>10.2%</b>	<b>0.98%</b>

## 8 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი მხარის მიერ შეთანხმებული პირობების შესაბამისად ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკი. როგორც წესი, აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენენ ბანკის ტრადიციული არასავაჭრო საკრედიტო საქმიანობის, კონკრეტულად სესხების, შემადგენელ ნაწილს.

საკრედიტო რისკის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი - დეფოლტის რისკი წარმოადგენს კონტრაგენტი მხარეების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული დანაკარგის რისკს. ბანკი აფასებს ცალკეული ჰომოგენური ჯგუფების ჭრილში კონტრაგენტების დეფოლტის რისკს სოფისტიცირებული მიდგომების გამოყენებით, რომლებიც ითვალისწინებს ბანკის კლიენტების ისტორიულ ქცევას და ქვეყანაში მოსალოდნელ მაკროეკონომიკურ ცვლილებებს. ბანკი მრავალი წელია ხელმძღვანელობს ესპანური დინამიური დარეზერვების პრინციპებით, რომლის მიხედვით სესხების რისკის გაზომვა უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ ფაქტიური სესხების დანაკარგების მიხედვით, არამედ გამოჩენილი იქნას წინდახედულობა, რადგანაც „ცუდი სესხები“ სწორედ „კარგ დროს“ გაიცემა. შედეგად, სესხების შესაძლო დანაკარგების დონე ნაკლებად ცვალებადი ხდება დროის განმავლობაში.

ბანკი ქვეყნის რისკს გამოყოფს, როგორც საკრედიტო რისკის ცალკე სახეობას. ბანკთან მიმართებაში, ქვეყანასთან დაკავშირებული რისკი წარმოადგენს საქართველოს მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან საკრედიტო ხარისხის მოულოდნელი გაუარესების შედეგად წარმოშობილ რისკს, რომელიც გამოწვეულია სოციალური არეულობით, პოლიტიკური არასტაბილურობით, ომით ან ქვეყანაში მიმდინარე სხვა არახელსაყრელი მოვლენებით.

საკრედიტო რისკის არეალი შესაძლებელია გაფართოვდეს კონცენტრაციის რისკით, რომელიც წარმოიშობა ერთი მსესხებლის, დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფის, ცალკეული დარგის, რეგიონის ან პროდუქტის ფარგლებში არსებული რისკის პოზიციის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში. ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რისკის პოზიციების კონცენტრაციას ე.წ. პროციკლურ სექტორებში. ბიზნეს დაკრედიტების სტრატეგიის შესაბამისად, ბანკი პროციკლურ სექტორებს მიაკუთვნებს შემდეგ ეკონომიკის სექტორებს:

- უძრავი ქონების დეველოპმენტი,
- უძრავი ქონების მენეჯმენტი,
- სამშენებლო (არა-დეველოპერული) კომპანიები,
- სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა,
- გრძელვადიანი მოხმარების საქონლის წარმოება და ვაჭრობა.

აღნიშნული ხუთი სექტორისთვის 2018-2019 წლების განმავლობაში ბანკმა შექმნა შესაბამისი პროციკლური ბუფერი საერთო რეზერვის ფორმით, რომლის მატერიალიზაციამ 2020-2021 წლებში შედარებით ნაკლები საკრედიტო დანაკარგებით გადაატანინა COVID 19 კრიზისით გამოწვეული შოკები. კოვიდ პანდემიის დასრულების შემდეგ რისკების დეტალური ანალიზის საფუძველზე ბანკმა ნაწილობრივ შეარბილა მიდგომები პროციკლურ სექტორებთან მიმართებაში, თუმცა ეს რისკის პოზიციები კვლავინდებურად რჩება, როგორც მაღალი საკრედიტო რისკის კატეგორიის აქტივებად.

## 8.1 საკრედიტო რისკის პოზიცია

ბანკს შემუშავებული აქვს პოლიტიკა, სადაც საკრედიტო რისკის პოზიციები განსაზღვრული და კლასიფიცირებულია თანმიმდევრულად და შესაბამისად. საკრედიტო რისკის პოზიციის იდენტიფიკაციასთან და რისკის მიტიგაციის ელემენტების კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ მონაცემებზე დაკვირვება ხორციელდება რეგულარულად. აღნიშნული პოლიტიკა და პროცედურები ეგზავნება საქართველოს ეროვნულ ბანკს და ექვემდებარება რეგულარულად გადახედვას და მონიტორინგს.

პილარ 1-ის რეგულაციის საფუძველზე, ბანკის საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 6,019.8 მილიონ ლარს, წინა წელთან შედარებით 23.3%-იანი ზრდით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის წარმოდგენილი საკრედიტო რისკის პოზიციები პილარ 1-ის რეგულაციის შესაბამისად.

### საკრედიტო რისკის პოზიცია პილარ 1-ის რეგულაციის საფუძველზე

ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 Dec 2025	31 Dec 2024	ცვლილება
მთავრობები ან ცენტრალური ბანკები	873,067	581,700	50.1%
მრავალმხრივი განვითარების ბანკები	-	-	-
საერთაშორისო ორგანიზაციები	5,407	155	3388.4%
კომერციული ბანკები	114,053	109,696	4.0%
კორპორატიული კლიენტები	976,464	855,821	14.1%
საცალო	2,652,435	2,031,562	30.6%
საცხოვრებელი ქონების იპოთეკით უზრუნველყოფილი	662,649	694,105	-4.5%
ვადაგადაცილებული სესხები	58,980	32,002	84.3%
მაღალი რისკის კატეგორია	2,445	2,045	19.6%
სხვა ერთეულები	588,988	510,747	15.3%
<b>საბალანსო ელემენტები</b>	<b>5,934,493</b>	<b>4,817,835</b>	<b>23.2%</b>
გარესაბალანსო ელემენტები	85,288	63,126	35.1%
კონტრაგენტის საკრედიტო რისკი	209	445	-53.0%
<b>საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა</b>	<b>6,019,783</b>	<b>4,881,407</b>	<b>23.3%</b>

ფინანსური ანგარიშების აქტივებსა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილ ბალანსის მუხლებს შორის კავშირი იხილეთ დანართის მე-5 ცხრილში. სავალდებულო ანგარიშგების მიზნებისთვის გამოყენებული თითოეული სტანდარტიზირებული საბალანსო უწყისის აქტივების საბალანსო ღირებულებებსა და კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულ რისკის მოცულობებს შორის სხვაობა იხილეთ დანართის მე-6 ცხრილში.

## 8.2 საკრედიტო რისკების მართვა

ბანკში საკრედიტო რისკების მართვას ხელმძღვანელობს რისკების დირექტორი (გენერალური დირექტორის მოადგილე), დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობით. საკრედიტო რისკის მოცულობის შესაფასებლად მოწმდება კონტრაგენტის სხვადასხვა ტიპები და განისაზღვრება კონტრაგენტის დარჩენილი რისკი პორტფელის თითოეულ შემთხვევაში ან

თითოეულ სეგმენტთან მიმართებაში. რისკის მოხდენის გავლენისა და ალბათობის თვალსაზრისით, მუდმივად ხორციელდება რისკ ფაქტორებისა და შედეგების შეფასება ემპირიული მონაცემების ანალიზის, ექსპერტის დასკვნის და შიდა საკრედიტო რეიტინგის შეფასების საფუძველზე.

### 8.2.1 გადაწყვეტილების მიღების პროცედურები

ბანკში დანერგილია სისტემები, პროცედურები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამი ძირითადი სეგმენტისთვის:

- კორპორატიული და საშუალო ბიზნესის მსესხებლები,
- მიკრო და მცირე ბიზნესის მსესხებლები,
- საცალო ბიზნესის მსესხებლები.

კონტრაგენტის შეფასება და კრედიტის დამტკიცების პროცედურები (ეტაპები) ითვალისწინებს შემდეგს:

კორპორატიული/MSME კლიენტები	საცალო კლიენტები	საცალო კლიენტებზე გაცემული ავტომატიზირებული კრედიტები
<ul style="list-style-type: none"> <li>• კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ განაცხადის მიღების პროცესი და კომპლექსური ანალიზი - ხორციელდება კორპორატიული ბანკირების / უფროსი საკრედიტო ექსპერტების/საკრედიტო ექსპერტების მიერ;</li> <li>• კლიენტის ბიზნეს ოპერაციების სპეციფიკაციები/მართვის შეფასება - ხორციელდება კორპორატიული ბანკირების / უფროსი საკრედიტო ექსპერტების/საკრედიტო ექსპერტის მიერ;</li> <li>• კლიენტის სამართლებრივი კომპლექსური ანალიზი (საჭიროების შემთხვევაში) – ხორციელდება ბანკის იურიდიული განყოფილების მიერ;</li> <li>• უზრუნველყოფის შეფასება/ანალიზი – ხორციელდება ბანკის უზრუნველყოფის შეფასების ერთეულის მიერ (ფრონტ ოფისისგან დამოუკიდებლად);</li> <li>• კლიენტის რისკის შეფასება და ანალიზი (ანგარიშის საფუძველზე, კლიენტის ფულადი საშუალებების თავისუფალი ნაკადის ადეკვატურობა მოთხოვნილი სესხის მომსახურებისთვის) – ხორციელდება ბანკის საკრედიტო რისკის მართვის დეპარტამენტის მიერ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განაცხადის მიღების პროცესი და კლიენტისგან პირდაპირი, პირველწყაროდან მიღებული დოკუმენტაციის შეროვნება (შემოსავლის დამადასტურებელი მოწმობა, ვალდებულებები, შემოსული თანხები და ოჯახის ხარჯები, სხვა საჭირო ინფორმაცია) - ხორციელდება ბანკის საკრედიტო ექსპერტების მიერ მომსახურების ცენტრებსა და ფილიალებში;</li> <li>• უზრუნველყოფის შეფასება/ანალიზი – ხორციელდება ბანკის უზრუნველყოფის შეფასების ერთეულის მიერ (ფრონტ ოფისისგან დამოუკიდებლად);</li> <li>• კლიენტის საკრედიტო რეიტინგის გადახედვა და დადგენა - ხორციელდება საკრედიტო რისკებთან დამოუკიდებელი ჯგუფების მიერ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განაცხადის მიღების პროცესი და კლიენტის პირადი ინფორმაციის მოგროვება - ხორციელდება პირველი ხაზის თანამშრომლების (ოპერატორები / გაყიდვების აგენტები) მიერ;</li> <li>• შეფასება ხორციელდება ავტომატური დაშუქების (დამტკიცება და უარყოფა) სისტემის მეშვეობით, რომელიც ონლაინ აანალიზებს კლიენტის მიერ წარმოდგენილ შემოსავალს და ვალდებულებებს, ამოწმებს კლიენტზე კრედიტის გაცემის შესაძლებლობას (მათ შორის საკრედიტო რეიტინგს) და ამ მონაცემების საფუძველზე ამტკიცებს ან აუარებს განაცხადს - მეთოდოლოგია და საკრედიტო რეიტინგები გადაიხედება და მტკიცდება დირექტორთა საბჭოს მიერ.</li> </ul>

დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია ბანკის კორპორატიული, საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო სესხების, ბითუმი ლომბარდის კრედიტების, საკრედიტო ბარათების, საბანკო გარანტიების, აკრედიტივების, ფაქტორინგის, ოვერდრაფტის დამტკიცებაზე, ასევე ბანკის მიერ კორპორატიული ფასიანი ქაღალდების შეძენაზე გადაწყვეტილების მიღების წესი; გადაწყვეტილების მიღების წესით განსაზღვრულია საკრედიტო კომიტეტების სტრუქტურა, შემადგენლობა, საკრედიტო კომიტეტებისა და სხვა უფლებამოსილი პირებისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები; გადაწყვეტილება

ითვლება მიღებულად სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. კომიტეტის თავმჯდომარეს აქვს ვეტოს უფლება;

ბანკში ფუნქციონირებს გადაწყვეტილების მიმღები შემდეგ კომიტეტები:

- კორპორატიული და საშუალო სესხების საკრედიტო კომიტეტი;
- მიკრო და მცირე სესხების საკრედიტო კომიტეტი;
- საცალო სესხების საკრედიტო კომიტეტი;
- ბითუმი ლომბარდის სესხების საკრედიტო კომიტეტი.

ზემოთ მოცემული საკრედიტო კომიტეტის დონეები და შემადგენლობა განისაზღვრება თანხობრივი ლიმიტით ან/და განაცხადის წარმომდგენი რგოლით. ლიმიტების შესაბამისად, გადაწყვეტილებები შესაძლოა მიღებულ იქნას სქორინგის სისტემის მეშვეობით ავტომატურად, ან ერთპიროვნულად საკრედიტო რისკების მენეჯერის მიერ.

საკრედიტო კომიტეტზე დამტკიცებულ განაცხადს განიხილავს და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო:

- ა) თუ მსესხებლის თანხობრივი ლიმიტი აღემატება ბანკის საკუთარი კაპიტალის 5%-ს;
- ბ) ეროვნული ბანკის ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების შესაბამისად

### **8.2.2 მონიტორინგი, პორტფელის მართვა და ანგარიშგება**

დირექტორთა საბჭო აფასებს და ზედამხედველობას უწევს საკრედიტო პორტფელის მართვას. საკრედიტო რისკების ჯგუფი ახორციელებს საკრედიტო პორტფელის გადანაწილებისა და დაჯგუფების, ასევე რისკის ხარჯის ანალიზს, ტენდენციის გაანგარიშებას და ანგარიშგებას. პორტფელის ხარისხის ადმინისტრაციისა და ანგარიშგების დეპარტამენტი აერთიანებს მონაცემებს და რეპორტის სახით წარუდგენს შემდეგ მიმღებებს:

- ფილიალის/სტრუქტურული ერთეულის დონეზე - საოპერაციო რეპორტები, რომლებიც გამოიყენება ყოველდღიური სარისკო პორტფელის (Portfolio at Risk - “PAR”) და საკრედიტო ზარალის დასაფარად განკუთვნილი რეზერვის (Loan Loss Provision - “LLP”) გადახედვის და მართვის მიზნით;
- საშუალო დონის მენეჯმენტი / პროდუქტის მფლობელები - სხვადასხვა რეპორტები პროდუქტის და მისი ხარისხის (PAR, LLP, ცვლილებები შემადგენლობასა და კონცენტრაციებში) შესახებ;
- უმაღლესი მენეჯმენტი - რეპორტები ბიზნეს ხაზის / რეგიონალურ დონეზე პორტფელის უფრო კონსოლიდირებული ჯგუფებისთვის.

ბანკში დანერგილია სისტემა, რომლის საფუძველზეც არსებობს პორტფელის მართვის და მონიტორინგის სამი დამოუკიდებელი დონე:

- ბიზნეს ხაზები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კონკრეტული პროდუქტის კომერციული საქმიანობების შესახებ ყოველდღიურ/ყოველთვიურ ანგარიშებზე, რომლებიც ასევე ასახავს პორტფელის საერთო სტატისტიკას და ხარისხს (PAR და LLP);
- საკრედიტო რისკების მართვის ჯგუფი, კომერციული საქმიანობის მფლობელისგან დამოუკიდებლად, პასუხისმგებელია პორტფელის ხარისხის ყოველთვიურ მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე. ანგარიშები ასახავს PD-ს, LGD-ს, DPD-ს, PAR-ს და LLP-ს სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტებთან მიმართებაში. საკრედიტო რისკების მართვის ჯგუფი ვალდებულია დირექტორთა საბჭოს შეატყობინოს ისეთი გარემოების შესახებ, თუ

პორტფელის პარამეტრებში აღინიშნება პროგნოზირებული დონეებიდან გადაცდომის შემთხვევები;

- ბანკში მოქმედებს ანგარიშგების და პორტფელის გადახედვის სისტემა ფინანსური დეპარტამენტის დონეზე, რომელიც ბიუჯეტირების და დაგეგმვის მიზნებიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია საკრედიტო პორტფელის გადანაწილებასა და ანალიზზე.

### 8.2.3 საკრედიტო რისკის შეფასება

საკრედიტო რისკების შეფასება და გაზომვა ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმადაც ქვემოთ მოცემული ფაქტორები იცვლება მსესხებლის სხვადასხვა ტიპის მიხედვით:

- კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები;
- ხელმისაწვდომი მონაცემთა წყაროები;
- საკრედიტო რისკების დონეები.

როგორც უკვე აღინიშნა, ბანკმა მიიღო საკრედიტო პორტფელის სეგმენტაციის სტანდარტები კონკრეტული რისკის საფუძველზე ბანკის ყველა მსესხებლის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად.

ბანკმა გამოყო და განსაზღვრა შემდეგი საერთო სეგმენტები:

- სუვერენული სახელმწიფოები/ცენტრალური მთავრობები;
- ბანკები/დაწესებულებები;
- კორპორატიული კლიენტები;
- საცალო კლიენტები, მათ შორის მასობრივი ბაზრის საცალო კრედიტები;
- კერძო საბანკო მომსახურების კლიენტები.

ბანკში დანერგილია სისტემა, რომლის საშუალებითაც საკრედიტო რისკის შეფასება ხდება კრედიტის გაცემის დროს. რისკი განიხილება, როგორც დეფოლტის ალბათობა დაფარვის მოლოდინის გარეშე კონკრეტულ პროდუქტებთან და კლიენტის ჯგუფებთან დაკავშირებით. როგორც წესი, სტატისტიკური მონაცემების გადახედვა და მოსალოდნელი დანაკარგების კორექტირება (შესაბამისად კორექტირებები შედის საკრედიტო რეიტინგებშიც) ხდება ყოველკვარტალურად. საკრედიტო რისკის მართვის ჯგუფი პასუხისმგებელია დააკვირდეს ზარალის შემთხვევებს, მათ სტატისტიკას და შეამოწმოს საკრედიტო რეიტინგები და ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების მიზნით გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყვეტები.

### 8.2.4 გაუფასურება

#### 8.2.4.1 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების ჩარჩო

2024 წლიდან ბანკი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 დეკემბრის #192/04 ბრძანებით დამტკიცებული "ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის" და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს 9) მოთხოვნების შესაბამისად. ბანკი იყენებს დარეზერვების უნიფიცირებულ მეთოდოლოგიას როგორც საზედამხედველო ისე შიდა ანგარიშგების მიზნებისთვის.

დარეზერვების მიზნებისთვის მეთოდოლოგიური ჩარჩო ორ ნაწილად იყოფა:

- ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციების (ISRE – Individually significant Risk Exposures) დარეზერვების მეთოდოლოგია,

- კოლექტიურად დასარეზერვებელი რისკის პოზიციების (CARE – Collectively Assessed Risk Exposures) დარეზერვების მეთოდოლოგია.

სესხების გაუფასურების ზარალის რეზერვების ფორმირება ფასს-9 მიდგომის შესაბამისად ეფუძნება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ECL (Expected Credit Losses) აღრიცხვის მოდელს და არა უკვე დამდგარი ზარალის აღრიცხვის მოდელს. ბანკის განახლებული ფასს 9 დარეზერვების ჩარჩო მოიცავს შემდეგ ძირითად ფუნდამენტურ პრინციპებს:

- ბანკის ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციას საკრედიტო რისკის მიხედვით გაუფასურების სტადიების შესაბამისად, მათ შორის:
  - 1-ლი დონის საკრედიტო რისკის კატეგორიაში (Stage 1) ხვდება სტანდარტული საკრედიტო ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის გაუფასურებული ან რომლებზეც საკრედიტო რისკი არ არის მნიშვნელოვნად გაზრდილი საწყისი აღიარების შემდეგ.
  - მე-2 დონის საკრედიტო რისკის კატეგორიაში (Stage 2) ხვდება საკრედიტო ინსტრუმენტები, რომლებზეც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა საწყისი აღიარების შემდეგ.
  - მე-3 დონის საკრედიტო რისკის კატეგორიაში (Stage 3) ხვდება საკრედიტო რისკის მიხედვით სრულად გაუფასურებული (დეფოლტური) საკრედიტო ინსტრუმენტები.
- კოლექტიურად შეფასებული რისკის პოზიციებისთვის ჰომოგენური ჯგუფების ჭრილში საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის და დეფოლტის თრიგერებად, როგორც გამოიყენება ვადაგადაცილებული დღეების ისე DSCR & PTI & LTV კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლები.
- მოქმედებს კლიენტების ჭრილში კონტამინაციის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მსესხებლის ერთ-ერთი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა/გაუფასურება, იწვევს ამავე მსესხებლის სხვა ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას/გაუფასურებას, მიუხედავად იმისა, ეს ინსტრუმენტები ერთ ჰომოგენურ ჯგუფში ხვდება თუ სხვადასხვაში.
- რისკის პოზიციის გაუფასურების სტადიის გაუმჯობესება ეფუძნება მსესხებლების ფინანსურ ანალიზსა და ასევე 3, 6, 12 თანმიმდევრული დემონსტრაციული გადახდების ისტორიებს.
- მოქმედებს საყურადღებოდ მოდიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტებისა (სმფი), განმეორებითი რესტრუქტურირაციებისა და რეფინანსირებული სესხების რეკლსიფიკაციისა და დარეზერვების სპეციალური მიდგომები.
- კოლექტიურად შეფასებული გარესაბალანსო რისკის პოზიციების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შესაფასებლად გამოიყენება კრედიტ კონვერსიის ფაქტორის (CCF - Credit Conversion Factor) კონცეფცია, რომელიც ეფუძნება ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მიერ მიღებულ პრაქტიკას.

**8.2.4.2 ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციები**

ბანკი თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს განსაზღვრავს ინდივიდუალურად. ბანკის დარეზერვების ჩარჩოს მიხედვით ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციებს მიეკუთვნება:

- კორპორატიული და საშუალო სეგმენტის მსესხებლებზე გაცემული ფინანსური ინსტრუმენტები, როდესაც ვალდებულების ჯამური მოცულობა დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფის ფარგლებში აჭარბებს 1 მლნ ლარს,
- ოქროს საბითუმო ლომბარდის სესხები თანხის მოცულობის მიუხედავად და

- ბანკის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები.

ბანკი თითოეული ინდივიდუალური რისკის პოზიციისა თუ რისკის პოზიციათა ჯგუფის შეფასებისთვის გამოიყენებს S&P Global ის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიებს, რომელიც მოიცავს ეკონომიკის სექტორების მიხედვით შემდეგ მოდელებს: PD Scorecard - სარეიტინგო სისტემა, რომლითაც ხდება მსესხებლის დეფოლტის ალბათობის დადგენა, LGD Scorecard - დეფოლტის შემთხვევაში ზარალის ოდენობის დადგენა და IFRS Macroeconomic Overlay - მაკროეკონომიკური საპროგნოზო პარამეტრების გავლენა მსესხებლის დეფოლტის ალბათობაზე.


კომპანიის რისკის პროფილის შეფასება (PD Scorecard) წარმოადგენს არაფინანსური კორპორატიული მსესხებლებისთვის ინდივიდუალური საკრედიტო რისკის პროფილისა და საბოლოო რეიტინგის განსაზღვრის სტრატეგიას. ეს შეფასება ასახავს კომპანიების ბიზნეს რისკის პროფილს, ფინანსური რისკის პროფილს და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კომპანიის ინდივიდუალური საკრედიტო პროფილის რეიტინგზე.

კომპანიის ბიზნეს რისკის (BR) პროფილი შედგება:


- კომპანიისთვის რისკისა და პოტენციური შემოსავლისგან იმ ბაზრებზე, სადაც იგი ოპერირებს;
- ამ ბაზრებში კონკურენტუნარიანობის გარემოს/კლიმატისგან;
- ამ ბაზრებზე ქვეყანასთან დაკავშირებული რისკისგან და უშუალოდ კომპანიის შედარებითი უპირატესობებისა და სისუსტეებისგან.

კომპანიების ბიზნეს რისკის პროფილის შეფასება მოიცავს ინდუსტრიისა და ქვეყნის რისკის, კონკურენტული გარემოსა და ბიზნესის წარმოების შეწონილი ქულების ჯამს, რომლებიც მიიღება ეკონომიკური სექტორების რისკიანობის შეფასების საფუძველზე.

ფინანსური რისკის (FR) პროფილი წარმოადგენს მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგს ბიზნეს რისკის პროფილის და ფინანსური რისკის ტოლერანტობის კონტექსტში, რომლებიც ასახავს მენეჯმენტის მიერ დაფინანსების მოპოვების ალტერნატიულ გზებს და ფულადი სახსრების დინების დამოკიდებულებებს კომპანიის ფინანსური ვალდებულებებიდან გამომდინარე. ფინანსური რისკის ქულა მოიცავს რისკის მხოლოდ ერთ განზომილებას („ფულადი სახსრების ნაკადები/ლევერეჯი“), რომელიც კვლავ იყოფა რისკის ფაქტორებად და, როგორც წესი, შეიწონება სტატისტიკურად.



PD Scorecard აერთიანებს მსესხებლის ბიზნეს რისკისა (BR) და ფინანსური რისკის (FR) კომბინირებულ ქულას, რომ განსაზღვროს კომპანიის საწყისი რეიტინგი (Anchor). დამატებით სარეიტინგო ფაქტორებს, ე.წ. მაკორექტირებლებს (Modifiers) აქვთ ზეგავლენის შესაძლებლობა საწყის რეიტინგზე, როგორც ნეგატიური ან პოზიტიური მხრიდან. მათ შეუძლიათ გააუმჯობესონ/გააუარესონ ერთი ან მეტი ქულით კომპანიის საწყისი რეიტინგი. ეს მაკორექტირებელი ფაქტორებია: "დივერსიფიკაცია / პორტფელის ეფექტი", "კაპიტალის სტრუქტურა", "ფინანსური პოლიტიკა", "ლიკვიდურობა" და "მენეჯმენტი და მმართველობა".



კომპანიის დეფოლტის შემთხვევაში ზარალის (LGD) კომპონენტების შესაფასებლად ბანკი იყენებს დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასების სტატისტიკას (LGD Scorecards), რომელიც ეფუძნება მოლოდინს ზოგად ეკონომიკური მდგომარეობაზე. განიხილება სამი სცენარი - პოზიტიური, ნეიტრალური, ნეგატიური. დეფოლტის შემთხვევაში ზარალი (LGD) გამოითვლება ამ სამი სცენარის საპროცენტო განაკვეთის საშუალო შეწონილით.

მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებზე დაფუძნებული დეფოლტის ალბათობის კონვერტორი (CCPO - Credit Cycle Projection Overlay) მაკროეკონომიკური ცვლადების გამოყენებით დეფოლტის ალბათობის საშუალო განაკვეთებს გარდაქმნის დეფოლტის მოსალოდნელ ალბათობად. დეფოლტის მოსალოდნელი ალბათობის (PD) გამოსათვლელად ბანკი იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემოთავაზებული მაკროეკონომიკური პროგნოზის სცენარებს. პროგნოზი მოიცავს სამ წელს და სცენარები ახლდება წელიწადში ორჯერ. ეს სცენარები აღწერს ქვეყანაში მაკროეკონომიკურ სიტუაციებს და მოიცავს ყველა მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ცვლადს. თუმცა, კრედიტის შესაძლო დანაკარგის შეფასების მოდელში არ არის აუცილებელი ყველა ცვლადის გათვალისწინება.

საბოლოო მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად (ინდივიდუალურად მნიშვნელოვან რისკის პოზიციებზე) საბაზისო სცენარს ბანკი ანიჭებს 50%-იან ალბათობას, ხოლო ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს - 25%-იან ალბათობას.

### 8.2.4.3 კოლექტიურად შეფასებული რისკის პოზიციები

აღნიშნული კატეგორიის რისკის პოზიციებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაანგარიშებები ხორციელდება ჰომოგენური პროდუქტების ჭრილში.

**ჰომოგენური ჯგუფების ფორმირება** - ნიშნავს, რომ ბანკში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები/პროდუქტები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს ჯგუფები ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობის მხრივ იმდენად დიდია და ფინანსური ინსტრუმენტების სახეობების მრავალფეროვნების მხრივ იმდენად მცირე, რომ უზრუნველყოფს ჯგუფზე რელევანტური სტატისტიკური ანალიზის საკმარის სანდოობას.

კოლექტიური რისკის პოზიციების დარეზერვების მოდელი აგებულია მსესხებელთა ქცევის დაკვირვებაზე. კლიენტზე დაკვირვებიდან (დაკვირვება ხდება კლიენტის ჭრილში) გამომდინარე ინდივიდუალურად პროდუქტის ჭრილში ყველა მსესხებელს ენიჭება მისი შესაბამისი MOB და AGE კომბინაცია.

MOB (Month on Book) - აღნიშნავს კონკრეტულ ჰომოგენურ ჯგუფში კლიენტის უწყვეტად დაკვირვების ხანგრძლივობას თვეებში, ხოლო AGE - აღნიშნავს კონკრეტულ ჰომოგენურ ჯგუფში მსესხებლის დეფოლტის (არსებობის შემთხვევაში) თარიღიდან გასული თვეების რაოდენობას.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის მიზნით, ბანკი იყენებს გადეფოლტების ზღვრულ განაკვეთს (Marginal Mortality Rate - “MMR“) იმისთვის, რომ განსაზღვროს დეფოლტის ალბათობა სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტის ჭრილში, მათი ისტორიული დაკვირვების ხანგრძლივობის შესაბამისად.

- დეფოლტის ალბათობის (PD) დადგენა ხდება ე.წ. Months on Book მიდგომის გამოყენებით, კოლექტიურად შეფასებული რისკის პოზიციებისთვის (CARE).

აღნიშნულთან ერთად მომავლის საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინების მიზნით, ხორციელდება ბიზნეს ციკლებისა და სტანდარტული/არასტანდარტული პორტფელების გადეფოლტების ალბათობების ურთიერთდამოკიდებულების მოდელირება. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა მაკროეკონომიკური ცვლადები, მაგ: მთლიანი შიდა პროდუქტი, უმუშევრობის დონე, ინფლაციის დონე, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, ლარის გაცვლითი კურსი და სხვა. მოდელში ჩართული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საპროგნოზო სცენარების ნაწილს წელიწადში ორჯერ აქვეყნებს საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო დანარჩენი ცვლადების პროგნოზირება ხდება დროითი მწკრივების სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

- დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების მოცულობის (LGD) განსაზღვრისთვის CARE-ს შემთხვევაში გამოიყენება დეფოლტის მდგომარეობაში ყოფნის პერიოდების (AGE) მიხედვით სესხების ამოღების მაჩვენებლების (Recovery Rate) შეფასების მიდგომა.
- დეფოლტის მომენტისთვის დავალიანების მოცულობის (EAD) შესაფასებლად ბანკმა 2024 წელს დაწერა სოფისტიცირებული მოდელი, რომელიც სამი ძირითადი დეტერმინანტისგან შედგება:
  - TTD (Time to default) - დეტერმინანტით დგინდება კონკრეტულ ჰომოგენურ ჯგუფში, რეპორტირების თვიდან საშუალოდ, შემდეგი 12 თვის განმავლობაში, მერამდენე თვეს დეფოლტდება რისკის პოზიცია. ამ მაჩვენებლის გადათვლა ხდება წელიწადში ერთხელ, წლის დასაწყისში, კერძოდ იანვრის თვეში. TTD - დროის მაჩვენებელია და ის თვეებში იზომება.
  - FPAG (Future Payments According to the Graphics) - სესხის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების მოცულობა.
  - Prepayment Rate – რისკის პოზიციის წინსწრებით დაფარვის პროცენტული მაჩვენებელია, რომელიც გვიჩვენებს კონკრეტულ ჰომოგენურ ჯგუფში მსესხებლის მიერ რისკის პოზიციის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების გარდა, დამატებით ვალის შემცირების რეალურ პოტენციალს. წინსწრების მაჩვენებელი გვიჩვენებს გრაფიკის მიხედვით კლიენტს რა თანხის გადახდა უწევდა და რეალურად რა გადაუხადა ბანკს. თუ რეალურად გადახდილი თანხა აღემატება გრაფიკით გათვალისწინებულს, მაშინ მათ შორის სხვაობა წინსწრებაში ჩაითვლება, წინააღმდეგ შემთხვევაში წინსწრება = 0. აღნიშნული განაკვეთი პროცენტული მაჩვენებელია.

საკრედიტო რისკის პარამეტრების გამოთვლის და მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასების პროცესი ტექნიკურ დონეზე ხორციელდება ავტომატურად, მინიმალური მანუალური ჩარევით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკის საოპერაციო რისკების ინფერენტულ რისკს და მის ერთ-ერთ ძლიერ მიტიგანტს წარმოადგენს. ავტომატიზებული პროცესი მოიცავს MOB, AGE, PD, LGD, EAD, STAGE პარამეტრების კალკულაციას სხვადასხვა მეთოდოლოგიის ჭრილში. კალკულაციის ავტომატური პროცესი ბანკს საშუალებას აძლევს ტექნიკურად გაამარტივოს ჰომოგენური ჯგუფების დაშლის და ახალი ჯგუფების ფორმირების პროცესი, რაც ბანკის ახალი ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე ახალი გამოწვევების შესაბამისი ჰომოგენური ჯგუფების ფორმირების შესაძლებლობებს წარმოშობს.

## 8.2.5 საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტები

საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩოს თანახმად, ბანკებს უფლება აქვთ გამოიყენონ საკრედიტო რეიტინგის მომსახურება საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტებისგან (External Credit Assessment Institutions - "ECAIs"), რათა განსაზღვრონ რისკის წონა. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილია შესაბამისი ECAI-ების ჩამონათვალი, რომლებიც პასუხობენ ობიექტურობის, დამოუკიდებლობის, უწყვეტი განხილვისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს, რაც, შესაბამისად, საშუალებას იძლევა, კრედიტუნარიანობის კუთხით მიღებული შეფასებები აკმაყოფილებდნენ სანდოობის და გამჭვირვალობის მოთხოვნებს. ბანკს შეუძლია დაასახელოს ერთი ან მეტი შესაბამისი ECAI, რომელიც გამოიყენება აქტივებისა და გარესაბალანსო პუნქტებისთვის რისკის წონითი კოეფიციენტის დასადგენად. თუ გამოვლინებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი ECAI-ს საკრედიტო შეფასება, მაშინ მისი რისკის წონა განისაზღვრება "კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დებულებების" შესაბამისად და გამოიყენება ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების გაანგარიშების მიზნით.

გარე საკრედიტო რისკების შეფასების მიზნით ბანკს შერჩეული აქვს Fitch Ratings-ის, Standard & Poor's Rating-ისა და Moody's Rating-ის სერვისები. ეს რეიტინგები გამოიყენება საკრედიტო ხარისხის ეკვივალენტური საფეხურების განსაზღვრისას და იმ სათანადო რისკ-წონის მინიჭებისას, რომელიც შეესაბამება სებ-ის საკრედიტო ხარისხის შეფასების შკალას. ბანკი უწყვეტ რეჟიმში იყენებს შესაბამისი ECAI-ს მიერ მომზადებულ საკრედიტო შეფასებებს გარკვეული კლასის საქონლისთვის და აქედან გამომდინარე – ამ კლასს მიკუთვნებული ყველა რისკისთვის.

ბანკი იყენებს საკრედიტო რეიტინგის სააგენტოების ინფორმაციას კომერციული და ცენტრალური ბანკების პოზიციების შესაწონად.

ადგილობრივ ვალუტაში გამოსახული რისკის პოზიციები საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიმართ 0% რისკის წონით ფასდება.

### 8.3 საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები

პილარ 1-ის რეგულაციის საფუძველზე, ბანკებს უფლება აქვთ გამოიყენონ მხოლოდ საკრედიტო რისკების სტანდარტიზირებული მიდგომა (Standardised Approach to Credit Risk - “SACR”), რომელიც ეფუძნება რისკების მიხედვით ერთიან შეწონვას ან გარე რეიტინგებს. საკრედიტო რისკების სრულად მიტიგაციისთვის, ბანკი განიხილავს მხოლოდ დეპოზიტებს. ამასთანავე, რომ საცხოვრებელი ქონების სახით წარმოდგენილი უზრუნველყოფა ამცირებს რისკის მიხედვით შეწონვას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განსაზღვრულია საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის მიტიგაციის (“CRM”) გამოყენებამდე, საკრედიტო რისკის მიტიგაცია და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის მიტიგაციის შემდეგ.

#### საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები

2025 წლის 31 დეკემბერი									კრედიტის RWE CRM-მდე	CRM	კრედიტის RWE CRM-ის შემდეგ
ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	0%	20%	35%	50%	75%	100%	150%	250%			
მთავრობები ან ცენტრალური ბანკები	756,512	-	-	-	-	116,555	-	-	116,555	-	116,555
მრავალმხრივი განვითარების ბანკები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
საერთაშორისო ორგანიზაციები	-	-	-	-	-	5,407	-	-	5,407	-	5,407
კომერციული ბანკები	-	95,610	-	6,318	-	11,497	629	-	34,721	-	34,721
კორპორატიული კლიენტები	-	-	-	-	-	976,464	-	-	976,464	26,152	950,313
საცალო კლიენტები	-	-	307,390	-	2,345,046	-	-	-	1,866,371	27,500	1,838,871
საცხოვრებელი ქონების იპოთეკით უზრუნველყოფილი	-	-	662,650	-	-	-	-	-	231,927	1,324	230,604
ვადაგადაცილებული სესხები	-	-	-	1,776	-	38,061	19,143	-	67,664	354	67,310
მაღალი რისკის კატეგორია <sup>(2)</sup>	-	-	-	-	-	-	-	2,446	6,114	-	6,114
სხვა აქტივები	392,482	-	-	-	-	196,507	-	-	196,507	-	196,507
<b>საბალანსო ელემენტები</b>	<b>1,148,994</b>	<b>95,610</b>	<b>970,040</b>	<b>8,094</b>	<b>2,345,046</b>	<b>1,344,492</b>	<b>19,772</b>	<b>2,446</b>	<b>3,501,731</b>	<b>55,329</b>	<b>3,446,403</b>
გარესაბალანსო ელემენტები	69	-	-	-	6,564	78,656	-	-	83,579	2,928	80,651
კონტრაგენტის საკრედიტო რისკი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
<b>სულ</b>	<b>1,149,063</b>	<b>95,610</b>	<b>970,040</b>	<b>8,094</b>	<b>2,351,610</b>	<b>1,423,148</b>	<b>19,772</b>	<b>2,446</b>	<b>3,585,310</b>	<b>58,256</b>	<b>3,527,054</b>

2024 წლის 31 დეკემბერი									კრედიტის RWE CRM-მდე	CRM	კრედიტის RWE CRM-ის შემდეგ
ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	0%	20%	35%	50%	75%	100%	150%	250%			
მთავრობები ან ცენტრალური ბანკები	471,122	-	-	-	-	110,579	-	-	110,579	-	78,808
მრავალმხრივი განვითარების ბანკები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
საერთაშორისო ორგანიზაციები	-	-	-	-	-	155,754	-	-	155,754	-	155,754
კომერციული ბანკები	-	47,631	-	60,024	-	1,824	217	-	41,688	-	41,688
კორპორატიული კლიენტები	-	-	-	-	-	855,821	-	-	855,821	5,245	850,575
საცალო კლიენტები	-	-	279,603	-	1,751,958	-	-	-	1,411,930	15,149	1,396,681
საცხოვრებელი ქონების იპოთეკით უზრუნველყოფილი	-	-	694,105	-	-	-	-	-	242,937	1,216	241,721
ვადაგადაცილებული სესხები	-	-	-	6,414	-	23,486	2,102	-	29,847	132	29715
მაღალი რისკის კატეგორია <sup>(2)</sup>	-	-	-	-	-	-	-	2,045	5,112	-	5,112

სხვა აქტივები	324,676	-	-	-	-	186,072	-	-	186,072	-	186,072
<b>საბალანსო ელემენტები</b>	<b>795,797</b>	<b>47,631</b>	<b>973,709</b>	<b>66,437</b>	<b>1,752,958</b>	<b>1,177,938</b>	<b>2,320</b>	<b>2,045</b>	<b>2,884,041</b>	<b>21,743</b>	<b>2,862,298</b>
გარესაბალანსო ელემენტები	33	-	-	-	10,835	52,259	-	-	60,385	3,896	56,488
კონტრაგენტის საკრედიტო რისკი	-	-	-	-	-	445	-	-	445	-	445
<b>სულ</b>	<b>795,830</b>	<b>47,631</b>	<b>973,709</b>	<b>66,437</b>	<b>1,763,793</b>	<b>1,230,642</b>	<b>2,320</b>	<b>2,045</b>	<b>2,944,871</b>	<b>25,639</b>	<b>2,919,231</b>

საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართის მე-7 ცხრილში. საკრედიტო რისკის მიტიგაციის დეტალური ჩამონათვალი იხილეთ დანართის მე-8 ცხრილში, ხოლო საკრედიტო რისკის მიტიგაციის შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართის მე-9 ცხრილში. კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია დანართის მე-10 ცხრილში.

### 8.4 საკრედიტო რისკის კონცენტრაცია

კონცენტრაციის რისკი ძირითადად წარმოიქმნება აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურაში არასრულყოფილი დივერსიფიკაციის საფუძველზე. მნიშვნელოვანია შიდა მონიტორინგისა და მართვის პროცედურების დაწესება კონცენტრაციის რისკის იდენტიფიკაციისა და მიტიგაციისთვის.

ბანკი დგას ორი სახის კონცენტრაციის რისკის წინაშე.

- პირველი ტიპი, სახელობითი კონცენტრაცია, უკავშირდება პორტფელისთვის დამახასიათებელი რისკის არასრულყოფილ დივერსიფიკაციას, კონკრეტულ პირებზე ან პირთა ჯგუფზე დიდი პოზიციების ქონის გამო.
- მეორე ტიპი, სექტორული კონცენტრაცია, უკავშირდება რისკის სისტემური კომპონენტების არასრულყოფილ დივერსიფიკაციას, კერძოდ, სექტორულ ფაქტორებს, რომლებსაც უმეტესწილად იწვევს კონკრეტულ ეკონომიკურ სექტორებში ჭარბი პოზიციების ქონა.

ბანკი იყენებს მრავალგვარ შიდა პროცედურას და პოლიტიკას კონცენტრაციის რისკის მართვისთვის და იცავს კონცენტრაციის რისკის საზედამხედველო მოთხოვნებს. რისკის დასაშვები დონის სტრუქტურის მიხედვით, ბანკი აწესებს ლიმიტებს საკრედიტო, დაფინანსებისა და საინვესტიციო ოპერაციებისთვის, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ კონცენტრაციის არასასურველი რისკი.

სებ-ის მოთხოვნების მიხედვით ბანკი კონცენტრაციის რისკს ითვლის Herfindahl-Hirschman Index (“HHI”) მეთოდოლოგიით და ანგარიშგება ხდება ყოველთვიურად.

### 8.5 რესტრუქტურირებული სესხები

ბანკმა მიიღო და დანერგა რესტრუქტურირების მკაცრი პოლიტიკა. ECL-ის დათვლის მიზნებისთვის ბანკი განსაზღვრავს „რეფინანსირებულ კრედიტებს“ - კრედიტი, რომელზეც ბანკისა და მსესხებლის შეთანხმებით შეიცვალა გადახდის პირობები და ეს ცვლილება არ არის გამოწვეული მსესხებლის ფინანსური პრობლემებით და „რესტრუქტურირებულ კრედიტებს“ - კრედიტი, რომელზეც ბანკისა და მსესხებლის შეთანხმებით შეიცვალა გადახდის პირობები და ეს ცვლილება გამოწვეულია მსესხებლის იურიდიული ან ფინანსური პრობლემების გამო. აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, უზრუნველყოფის გარეშე საკრედიტო რისკის რესტრუქტურირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ნათლად განსაზღვრავს შემოსავლის შემოწმებულ წყაროს, რომელიც საკმარისია რესტრუქტურირებული გრაფიკის ფარგლებში კრედიტის დასაფარად. ECL-ის

კალკულაციის მიზნებისთვის რესტრუქტურიზებული სესხები ექვემდებარება მე-2 და მე-3 დონის საკრედიტო რისკის შეფასებას.

## 8.6 საკრედიტო რისკის ჰეჯირება და მიტიგაცია

ბანკი იყენებს საკრედიტო რისკის ჰეჯირების სხვადასხვა ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს მოვალის გადახდის უზუნარობის რისკისგან ნაწილობრივ ან სრულად დაცვას. ორი ძირითადი კატეგორია არის პირადი გარანტიები და უზრუნველყოფა. პირადი გარანტიები წარმოადგენს მესამე მხარის მიერ გაკეთებულ ვალდებულებებს პირველი რიგის მოვალის შეცვლასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. კრედიტის დამტკიცების პროცესის განმავლობაში, ფასდება გარანტიის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა. ბანკის უზრუნველყოფა პირველ რიგში მოიცავს შემდეგს:

- საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონება
- ოქრო და სხვა ძვირფასი მეტალები
- სატრანსპორტო საშუალებები
- ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები (დეპოზიტები, CDs)

უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება რისკის ფაქტორები, რომელიც ასახავს მის ხარისხსა და ლიკვიდობას. უზრუნველყოფის საგნის შეფასების პროცესი მიმდინარეობს საკრედიტო განაცხადის წარდგენისა და ასევე მისი ფინანსური მონიტორინგის პროცესისგან დამოუკიდებლად. საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია გარანტიის და უზრუნველყოფის შეფასების საოპერაციო ინსტრუქციის დამტკიცებაზე კრედიტის გაცემის ეტაპის განმავლობაში ან საკრედიტო განაცხადის განახლების შემდეგ.

ბანკი იყენებს საკრედიტო რისკის მიტიგაციის ინსტრუმენტებს, დეპოზიტის სახით, რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების შესამცირებლად. საკრედიტო რისკების მიტიგაცია შესაბამისობაშია ბანკის მიერ მიღებულ და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულ საკრედიტო რისკების მიტიგაციის პოლიტიკასთან.

## 9 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასის ან კურსის, მათ შორის არახელსაყრელი საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზარალის რისკი. საბაზრო რისკი წარმოიშობა ძირითადად სავაჭრო საქმიანობებიდან. ამ რისკებს მართავს ხაზინისა და ფინანსების დეპარტამენტები და შედეგების ანგარიშგება ხდება დირექტორთა საბჭოსთან.

### 9.1 სავალუტო რისკი

#### 9.1.1 სავალუტო პოლიტიკა და ლიმიტები

სავალუტო პოლიტიკის მიზანია სავალუტო რისკების მართვასთან დაკავშირებით პარამეტრების განსაზღვრა. სავალუტო კურსის რისკის მართვის პროცესი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებას სავალუტო რისკის დადგენისა და რაოდენობრივი გაზომვის მიზნით;
- ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს;
- სავალუტო რისკების მინიმუმამდე დაყვანას დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის გზით;
- გაზრდილი სავალუტო რისკის არსებული და მოსალოდნელი ნეგატიური ტენდენციების გამოვლენას, რასაც მოსდევს მისი გამომწვევი მიზეზების და შედეგების ანალიზი;
- სავალუტო რისკის მართვის სტრატეგიის შესახებ რეკომენდაციების უზრუნველყოფას;
- სავალუტო ოპერაციებში გამოყენებული ინსტრუმენტების სახეობების და ლიმიტების განსაზღვრას;

შიდა ლიმიტების დადგენის საფუძველია: აქტივობა ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე, ბანკების და მათი კლიენტების აქტიურობა ინდივიდუალურ ვალუტებში, ოპერაციების ფაქტობრივი მოცულობა და შესაბამისი პერიოდებისთვის გაცვლითი კურსის ცვალებადობა. სავალუტო პოზიციის ლიმიტები განისაზღვრება როგორც მთლიანი ღია სავალუტო პოზიციისთვის (open FX position - “OCP”), ასევე ინდივიდუალური სავალუტო პოზიციებისთვის. მთლიანი ღია სავალუტო პოზიცია შემოიფარგლება სებ-ის რეგულაციების მიხედვით განსაზღვრულია მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის 20%-ით. ღია სავალუტო პოზიციას ცენტრალიზებულ დონეზე მართავს ხაზინის დეპარტამენტი.

ამასთანავე, ბანკში მოქმედებს RAS (Risk Appetite Statement) ლიმიტებიც, რომლებიც განისაზღვრება მაჩვენებლით –კრებსითი ღია სავალუტო პოზიცია საზედამხედველო კაპიტალთან. აღნიშნული ინდიკატორისთვის დადგენილია შემდეგი ზღვრული დონეები:

#### ცხრილი 9.1.1.1 RAS ლიმიტები

აღწერა	სასურველი დონე	მისაღები დონე	საგანგაშო დონე
ღია სავალუტო პოზიცია	≤ 5%	5%-10%	10%-20%

სავალუტო პოლიტიკა ადგენს მოცულობის ლიმიტებს თითოეულ სავაჭრო ოპერაციაზე, მათ შორის სავალუტო ფორვარდებთან და სავალუტო სვოპებთან დაკავშირებით. სავალუტო პოლიტიკა ასევე განსაზღვრავს სავაჭრო პოზიციის მთლიანი შიდა დღიური ვაჭრობის ლიმიტებს და სავაჭრო პოზიციების ლიმიტებს. ლიმიტები ასევე განსაზღვრულია დილერებისა და ხაზინის დეპარტამენტისთვის.

RAS განსაზღვრავს ყოველდღიურ Value at Risk (VaR) ლიმიტებს OCP-ზე, რომლებიც იზომება მხოლოდ აშშ დოლარში დენომინირებულ ღია პოზიციებზე, ვინაიდან სავალუტო ოპერაციების ჩვეულებრივი მიმდინარეობის ფარგლებში ბანკი არ ფლობს მნიშვნელოვან ღია პოზიციებს სხვა უცხოურ ვალუტებში. ღია სავალუტო პოზიციების სარისკო ღირებულება გამოითვლება და წარედგინება დირექტორთა საბჭოს დღიურად, ხაზინის დეპარტამენტის მიერ. საჭიროებისამებრ, ხაზინის დეპარტამენტი შეიმუშავებს შესწორების გეგმას და წარადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის სხდომაზე.

### 9.1.2 რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია და კაპიტალის მოთხოვნა

პილარ 1-ის რეგულაციის საფუძველზე, გამოიყენება საბაზრო რისკის ვიწრო განმარტება, რადგან ის ითვალისწინებს მხოლოდ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკთან დაკავშირებით რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია უდრის საერთო ღია სავალუტო პოზიციას, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციაში, “კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების დადგენის, გაანგარიშების და დაცვის წესის” შესახებ. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია შეადგენდა 6.0 მილიონ ლარს.

## 9.2 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთების მოძრაობა გავლენას ახდენს წმინდა საპროცენტო შემოსავალზე (“NII”) და შესაბამისად, წმინდა საპროცენტო მარჟაზე („NIM“). საპროცენტო აქტივებიდან მიღებული შემოსავალი და საპროცენტო ვალდებულებების ხარჯები მჭიდრო კავშირშია საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობასთან, რადგან საპროცენტო განაკვეთების ცვლილება გავლენას ახდენს ბანკის აქტივების, ვალდებულებების და ბალანსგარეშე ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

ძირითადი საპროცენტო რისკი წარმოქმნება დაფარვის ვადებს შორის სხვაობებით ფიქსირებულ საპროცენტო აქტივებსა, ვალდებულებებსა და ბალანსგარეშე პოზიციებს შორის.

### 9.2.1 საპროცენტო რისკის შეფასება და მართვა

2020 წლის მარტიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა საპროცენტო რისკის მართვის დებულება. საზედამხედველო ანგარიშგების მიზნებისთვის, საპროცენტო რისკი ბანკების მიერ გამოითვლება კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების ცვლილებისა და წმინდა საპროცენტო შემოსავლის მეთოდის გამოყენებით, სხვადასხვა შოკისა და სტრეს სცენარების გათვალისწინებით, რომელსაც განსაზღვრავს ეროვნული ბანკი. ეკონომიკური ღირებულების ცვლილება, სხვადასხვა შოკისა და სტრესის სცენარების გათვალისწინებით, არ უნდა აღემატებოდეს პირველადი კაპიტალის 15%-ს. ამის გათვალისწინებით, ბანკი უზრუნველყოფს საპროცენტო რისკზე ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მოთხოვნასთან შესაბამისობას და მონიტორინგს.

საბანკო წიგნის საპროცენტო რისკს მართავს და ანალიზებს ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილება, ხოლო საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის კოეფიციენტის დათვლა და დარეპორტება ხდება ეროვნულ ბანკთან ურთიერთობისა და ანგარიშგების განყოფილების მიერ.

საპროცენტო რისკის ანალიზის პროცესში ყურადღება ექცევა საპროცენტო განაკვეთების მრუდების ცვლილებას ვალუტებსა და დროით ერთეულებში. ამასთან, დეტალურად ანალიზდება კოეფიციენტში შემავალი თითოეული საპროცენტო ინსტრუმენტი მათი მოცულობების, დროით პერიოდებში გადანაწილების, ვადიანობის, ვალუტის სტრუქტურისა და წარმოქმნილი კაპიტალის დანაკარგის/სარგებელის ჭრილში.

საპროცენტო რისკის ეფექტურად სამართავად გროვდება ინფორმაცია ყველა დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულისაგან, რის საფუძველზეც კეთდება რამდენიმე თვის საპროცენტო რისკის პროგნოზი. საპროცენტო რისკის პროფილის განსაზღვრის შემდეგ ხდება შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება რისკის აპეტიტის გათვალისწინებით.

## 9.2.2 საპროცენტო რისკის ჰეჯირება

ხაზინის დეპარტამენტმა საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისა და ჰეჯირებისთვის შესაძლოა გამოიყენოს საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებულ ფორვარდული შეთანხმებები. ვინაიდან, შიდასაბანკო წარმოებული ინსტრუმენტების ბაზარი ლარებში დენომინირებულ პროდუქტებთან დაკავშირებით კვლავ შემუშავების პროცესშია, საპროცენტო განაკვეთის რისკის მიტიგაციის მიზნით ძირითად ქმედებას წარმოადგენს ბანკის პროდუქტების საპროცენტო განაკვეთებში შესაბამისი ცვლილება. საპროცენტო რისკის მინიმიზაციისთვის, ბანკი ორიენტირებულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთიანი სასესხო პორტფელის ზრდაზე.

## 10 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი შეიძლება დადგეს გაუმართავი შიდა პროცესებით, ადამიანური ქმედებებით, სისტემების გაუმართაობით ან მათში დაფიქსირებული ხარვეზებით, ან გარე ფაქტორებით (მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შიდა და გარე თაღლითობით, წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით, ტერორისტული ან კიბერ-შეტევებით).

### 10.1 საოპერაციო რისკების მართვის სტრუქტურა

ბანკმა განსაზღვრა საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩო და იღებს ყველა შესაძლო ზომას, რათა შეისწავლოს სხვადასხვა ზეგავლენის ფაქტორები საოპერაციო რისკზე, რომელიც წარმოიშობა არაადეკვატური შიდა პროცესების, ადამიანური რესურსის და სისტემების ან გარე ფაქტორების შედეგად. საოპერაციო რისკის მართვის მექანიზმის მთავარი მიზანია უზრუნველყოს ბანკის მიერ საოპერაციო რისკის დროული იდენტიფიცირება, შეფასება, კონტროლის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, მონიტორინგი, ანგარიშგება.

ბანკის საოპერაციო რისკების მართვის დეპარტამენტი ექვემდებარება რისკების დირექტორს და წარმოადგენს ბანკის საოპერაციო რისკების დაცვის მეორე ხაზს. სამეთვალყურეო საბჭო/რისკების კომიტეტი, დირექტორთა საბჭო/საოპერაციო რისკების კომიტეტი და საოპერაციო რისკების მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებლები არიან შემდეგ საკითხებზე:

სამეთვალყურეო  
საბჭო/რისკების კომიტეტი

- რისკის მართვის ჩარჩოს და ძირითადი პოლიტიკების განსაზღვრა, დამტკიცება და პერიოდულად გადახედვა;
- ბანკის რისკის სტრატეგიების/დასაშვები დონის დამტკიცება არსებული რეგულაციების, ბანკის შიდა და სტრატეგიული განვითარების საფუძველზე.


დირექტორთა საბჭო

- საოპერაციო რისკების მართვის პოლიტიკის, პროცესებისა და სისტემების თანმიმდევრული შესრულების მხარდაჭერა, რაც მოიცავს ყველა პროდუქტს, მომსახურებას და ოპერაციას;
- საოპერაციო რისკების მართვის დეპარტამენტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
- საოპერაციო რისკების მართვის დეპარტამენტის საქმიანობის შეფასება.

საოპერაციო რისკების  
მართვის დეპარტამენტი

- საოპერაციო რისკების მართვა და კონტროლი ძირითადი ინდიკატორების და ბიზნეს პროცესების ჭრილში;
- რისკების მართვის მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა ბანკის მასშტაბით საოპერაციო რისკების გამოვლენის, შეფასების და შემცირების მიზნით;
- ნებისმიერი ახალი ან მნიშვნელოვნად შეცვლილი პროდუქტის, ბიზნეს პროცესის, საინფორმაციო სისტემის, პროცედურის შეფასება და დამტკიცება;
- საოპერაციო რისკის კულტურის განვითარება, ცნობიერების ამაღლება და ხელშეწყობა ბანკის მასშტაბით.

საოპერაციო რისკები მოიცავს შემდეგ სფეროებს:



საოპერაციო რისკის პროფილი იყოფა შემდეგ რისკებად:

- ბიზნეს პროცესთან დაკავშირებული რისკი;
- საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები
- გარე თაღლითობა;
- შიდა თაღლითობა;
- ინფორმაციული უსაფრთხოების რისკი;
- ადამიანური შეცდომის რისკი;
- ჰაკერული შეტევები;
- ფორს მაჟორი.

ბანკისთვის მნიშვნელოვანია თაღლითობის რისკის შემცირება, შესაბამისად საოპერაციო რისკების მართვის ფუნქციის გაძლიერების მიზნით, 2021 წლიდან შემუშავდა და 2022 წლის განმავლობაში სრულად განხორციელდა ანალიტიკური სისტემების დანერგვის პროცესი. სისტემების შინაარსობრივი არსი ეყრდნობა სტატისტიკური და ექსპერტული ანალიზის სინთეზს და საბანკო ოპერაციებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს საყურადღებო და მომატებული რისკის დონის ადრეულ ინდეტიფიცირებას და პრევენციას. 2025 წელს გაგრძელდა მეთოდოლოგიების შექმნის/განახლების/ოპტიმიზაციის პროცესი თითოეული ბიზნეს ხაზისთვის. შემუშავდა ავტომატიზაციის მეთოდები.

